



საქართველოს თავად-ეკლესიათა საკრებულოს ალმანახი

საგუფთო ტექსტები

„მამულიშვილის გვირგვინი სამშობლოს სამსახურადოცა უკიდია“
ილია შავჭავჭავაძე



№2
ქართული
2015



გლოცავთ
ძობა-ახალ წელს!

2016

საქართველოს თავად-აზნაურთა საკრებულოს ალმანახი



საგუფო

ტექსტილი

The Aristocracy of Georgia №2
„ROYAL CROWN“
წიგნაკრები
2015

სარჩევი

მონარქია - სტაბილურობის გარანტი 3
ვეძებოთ პასუხი ერთად!

ჰანს ფონ საქსენ-ალტენბურგი 6
საქართველოს უბვირგვინო მეფე 11
თავადაზნაურობა ბრძოლის ველზეა 15
თავადი თარხან-მოურავები 24
ინაშვილები 31
რანდი შალვა აბაშიძე 34
საქართველოს სახელმწიფო და სამოჯახო
არქივებიდან 38
„ოცნებისა და ბრძოლის ნაყოფი“
მანანა გაბაშვილი 43
„ქართველოლოგიის პრობლემები და
პერსპექტივები“ 49
უცხოოვიდან თუსოგამდე მანანა ტაბიძე 51
„ქართული ენა თავისი განვითარებით“
ნინო მარკოზია 56
ჩვენი იუბილარები 61
SOS! ქართული მუსიკალური კულტურა
საფრთხეშია! გულბათ ტორაძე 66
გამოქვაბულიდან კოსმოსამდე...
გუდუ სირგილაძე 69
სიყვარულის პალიტრა 71
„ზღვაური“ დეკანოზი არჩილ მინდიაშვილი 73
საქართველოს საუნჯე 80
ფსალმუნი მალხაზ მაჭავარიანი 81
„სამეფო გვირგვინი“ - ერის სადარაჯოზე
ნია ფიფია 82
აქციები, შეხვედრები, კონფერენციები... 90
ხმა ღვთისა, ხმა ერისა! 92
გახსენება 95

მისამართი:
თბილისი, ჯანო
ბაგრატიონის ქ. №6

ტელ:
2 38 01 24; 599 42 30 11;

E-mail: nikobagratiioni@gmail.com

ISSN 2346-7886

9 772346 788003

რედაქტორი
ია ბაგრატიონ-მუხრანელი

მხატვარი
გიორგი წერეთელი

ტექნიკური რედაქტორი
ვაჟა აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია

მეუფე ანანია (ჯაფარიძე)
პროტოპრესვიტერი
გიორგი (ზვიადაძე)
ოთარ ჟორდანია
ვაჟა აბაკელია
მანანა გაბაშვილი
იური ჩიკოვანი
მანანა ტაბიძე
ელენე ბარათაშვილი
ვაჟა ძიგუა-რობაკიძე
ცოტნე ნაკაშიძე

Editor
IA BAGRATION-MUKHRANELI

Design
GEORGE TSERETELI

Technical Editor
VAJA ABASHIDZE

Bishop

ANANIA (DJAPARIDZE)
Protopresviter
GEORGE (ZVIADADZE)
OTAR JORDANIA
VAJA ABAKELIA
MANANA GABASHVILI
IURI CHIKOVANI
MANANA TABIDZE
ELENE BARATASHVILI
VAJA DZIGUA-ROBAKIDZE
TSOTNE NAKASHIDZE

გარეკანის პირველ გვერდზე
მაცხოვრის ხატი
„უფალი ღმერთი და მაცხოვარი იესო ქრისტე,
მღვდელმთავარი მღვდელმთავართაჲ
და მეფე მეფეთაჲ“
ხატმწერი ღვთისმეტყველების თარხან-მოურავი

თავად-აზნაურთა საკრებულოს აღდგენის 25 წელი



1990 წლის 23 ნოემბერს თბილისის „მსახიობთა სახლში“ გაიმართა ისტორიულ საგვარეულოთა შთამომავლების, თავად-აზნაურთა და მათ თანამდგომთა საკრებულოს დამფუძნებელი კრება. გაგრძელდა ტრადიცია თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების თავად-აზნაურთა საკრებულობისა, გაიშალა მოძრაობა მონარქისტული, ეროვნული იდეალების ხორცშესხმისათვის.

3 ირველ წინამძღოლად არჩეულ იქნა არქიტექტორი, თავადი ედიშერ ბაგრატიონი, ვიცე-წინამძღოლად თავადი ია ბაგრატიონ-მუხრანელი, მთავარ გენერალ-სამართალმცემად - თავადი იური ჩიქოვანი.

1991 წ. 15 აგვისტოს საქართველოს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას შემწეობით, დაარსდა აფხაზეთის, სოხუმის თავად-აზნაურთა საკრებულო, აფხაზთა მთავრების შთამომავლის ექიმ გიორგი შერვაშიძის ხელმძღვანელობით.

1995 წ. საკრებულოს ქვეგანაყოფები შეიქმნა საქართველოს რეგიონებში, დაწესდა კუთვნილი ნოდებების დამადასტურებელი მონობების გაცემა. ბატონი ედიშერ ბაგრატიონის შემდეგ წინამძღოლის პატივი ერგო თავად დავით ფავლენიშვილს, ცნობილ გეოლოგს, ეროვნული მოძრაობის აქტიურ წევრს, საფრანგეთის ემიგრაციის (ახალი ტალღის) თვალსაჩინო წარმომადგენელს.

1998 წ. წინამძღოლად აირჩა თავადი კოტე ჩოლოყაშვილი - ცნობილი ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე.

1998 წლიდან დამკვიდრდა ტრადიცია ვაკის პარკის მიდამოებში, სადაც 1923 წლის 20 მაისს უმოწყალოდ დახვრიტეს ქართველი ერის საამაყო შვილები, დიდი მხედართმთავრები და პატრიოტები, გენერლები: კოტე აფხაზი, ვარდენ წულუკიძე, ალექსანდრე ანდრონიკაშვილი, როსტომ მუსხელიშვილი, პოლკოვნიკი გიორგი ხიმშიაშვილი, პორუჩიკი სიმონ ბაგრატიონ-მუხრანელი, 15 მამულიშვილი, სამ-

გლოვიარო მიტინგების და სულის მოსახსენიებელი პანაშვიდების ჩატარებისა. საბჭოთა მთავრობამ იქ საზოგადოებრივი ტუალეტი ააშენა. საკრებულოს წევრთა ძალისხმევით, ეს ტუალეტი დაინგრა, მაგრამ ჩვენი თხოვნა წმ. ილია მართლის სახელობის ეკლესიისა და დახვრეტილთა ხსოვნის მემორიალის აგების პროექტის განხორციელებისა დღემდე შეუსრულებულია.

2001 წელს გამოიცა კრებული - „მე - ვადაზნაურთა შაულე“, რომელიც ასახავდა პუტჩისტების დანაშაულს 1991-92 წლების დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ, ბუკლეტი - „გზა მონარქიისაკენ“, გაზეთი „გვირგვინი“, „სამეფო გვირგვინი“, გაიმართა მრავალი კონფერენცია, სამეცნიერო სესია, შეხვედრა...

ს საქართველოს თავადაზნაურობა მუდმივად აწყობდა აქციებს, მიტინგებს, გამოხატავდა პროტესტს ე. შვეარდნაძისა და მ. სააკაშვილის რეჟიმების წინააღმდეგ, იცავდა ერისა და ქვეყნის ინტერესებს.

2003 წ. 6 მაისს საქართველოს ისტორიულ საგვარეულოთა შთამომავლების, თავად-აზნაურთა და მათ თანამდგომთა საკრებულოში იშვა პოლიტიკური მოძრაობა „სამეფო გვირგვინი“. მოძრაობის მიზნებში ჩაიწერა: მონარქისტულ-ქრისტიანული იდეოლოგიის დამკვიდრება, ეროვნული იდეალების ხორცშესხმა, ბაგრატოვანთა დინასტიის აღდგენა კონსტიტუციური მონარქიის სახით, საქართველოს გამთლიანება, იბერიულ-კავკასიური ხალხების შეკავშირება...

2010 წ. გამოიცა უნიკალური სქელტანიანი (500 გვ.) კრებულის „საქართველოს თავადაზნაურობის“ I ტომი. 2012 წ. გამოიცა „საქართველოს თავადაზნაურობის“ II ტომი.

2014 წ. 23 ნოემბერი საქართველოს თავადაზნაურთა საკრებულოს წინამძღოლად აირჩა თავადი დავით თარხან-მოურავი.

მონარქია - სტაბილურობის ბარანტი

(რამდენიმე მოსაზრება მონარქიის უპირატესობის შესახებ)

მონარქი თავისი ერის ცოცხალი სიმბოლოა. მონარქის ღირსებები ზრდის ერის ავტორიტეტს.

მონარქს არ სჭირდება საზოგადოების რომელიმე ფენის ხმათა მოსყიდვა. მას შეუძლია გააერთიანოს ერი - ყველა რასის, აღმსარებლობის, კლასისა და პოლიტიკური მრწამსის ადამიანთა ერთობანი.

მონარქი ყოველთვის უფრო პოპულარულია, ვიდრე პრეზიდენტი, რომელსაც ზოგჯერ ხმას აძლევს ამომრჩევლის 50%-ზე ნაკლები, ანუ მოსახლეობის უმცირესობა.

არჩეული პრეზიდენტები, უპირველეს ყოვლისა, თავიანთ პოლიტიკურ მომავალზე ფიქრობენ და ძალაუფლების შენარჩუნებისათვის ზრუნავენ. მათ შეუძლიათ ისარგებლონ დროებით ხელისუფლებაში ყოფნით (როგორც ეს ხდებოდა, მაგალითად, ბრაზილიაში), რათა გამდიდრდნენ. მონარქზე არ მოქმედებს გავლენა, რომელსაც შეუძლია აცდუნოს ხანმოკლე ვადით არჩეული პრეზიდენტი. მონარქი ერის საკეთილდღეოდ იხედება როგორც უკან, ასწლეულების სიღრმეში, ისე წინ, მომავლისკენ, ფიქრობს მემკვიდრეზე.

მონარქი, ხანგრძლივი მეფობის პირობებში, აგროვებს უზარმაზარ გამოცდილებას და უზიარებს მას დროებით პოლიტიკურ თანამდებობაზე მყოფ პირებს ქვეყნის სასიკეთოდ. გაერთიანებულ სამეფოში დედოფალ ელისაბედს თავისი 40-წლიანი მეფობის განმავლობაში

ემსახურებოდა არაერთი პრემიერ-მინისტრი, პოლიტიკოსი თუ საზოგადო მოღვაწე.

გამოცდილ მონარქს შეუძლია ალაგმოს იმ პოლიტიკოსთა ქმედებანი, რომლებიც ქმნიან არარეალურად გრანდიოზულ გეგმებს, განუხორციელებელ თეორიებს. ასეთ შემთხვევაში მონარქი პრემიერ-მინისტრის საუკეთესო მრჩეველია რეალობას მონყვეტილი პოლიტიკოსების შესაჩერებლად.





მონარქი მუდმივად იცავს ქვეყანას სამოქალაქო ან სამხედრო დიქტატურისაგან. უ. ჩერჩილის თქმით, 1918 წლის შემდეგ იმპერატორი ვილჰელმი რომ ყოფილიყო გერმანიის სახელმწიფოს სათავეში, ჰიტლერი ვერ შეძლებდა ძალაუფლების ხელში ჩაგდებას. იტალიაში 1943 წელს მეფე ვიქტორ იმანუელმა თანამდებობიდან გადააყენა მუსოლინი. რუმინეთის მეფე მიხეილმა გააძევა დიქტატორი ანტონესკუ და გადაიყვანა ქვეყანა „ღერძის სახელმწიფოების“ (ფაშისტური ქვეყნების ალიანსი) მხრიდან მოკავშირე ქვეყნების მხარეს, რისთვისაც ის დაჯილდოვდა მოკავშირეთა ორდენებით. ბულგარეთშიც მეფე ბორის III-მ (მიუხედავად იმისა, რომ მოუწია ბრძოლა ღერძის ქვეყნების მხარეს) უარი თქვა ებრაელების დევნაზე ბულგარეთში და არ გაუყვანია თავისი ჯარები ქვეყნის საზღვრებს გარეთ. ესპანეთსა და ტაილანდში მონარქებმა შეძლეს დაეცვათ დემოკრატიული პრინციპები, საომარი გადატრიალების მიუქარის მიუხედავად. დიდი ბრიტანეთის ისტორიაში სამხედრო დიქტატურის ერთადერთი მოკლე პერიოდი დაემთხვა ქვეყანაში რესპუბლიკური წყობილების დამყარების მცდელობას.

მონარქები, განსაკუთრებით ევროპაში, ერთიანდებიან ნათესაობრივად დაკავშირებული სამეფო სახლების დიდ ოჯახში, რაც მჭიდროდ აკავშირებს ერთმანეთთან ერებსაც: „ერთმანეთს უკავშირდებიან ხალხთა მწვერვალები“ (ბორკი).

მონარქი ბავშვობიდანვე ემზადება სახელმწიფოს მეთაურის თანამდებობისათვის. ხალხმა იცის, ვინ არის მემკვიდრე და ეს გულდაჯერებულობა უზრუნველყოფს სტაბილურობას.

მონარქიული მმართველობისას არ იმართე-

ბა ძვირადღირებული საპრეზიდენტო არჩევნები.

ფრანგული სისტემის მიხედვით, პრეზიდენტი შეიძლება იყოს ერთი პარტიის წევრი, ხოლო პრემიერ-მინისტრი - მეორისა, რის გამოც ჩნდება კონფლიქტი ქვეყნის მართვისას. მონარქიის პირობებში დაპირისპირება გამორიცხებულია, რადგანაც მონარქი არ მართავს ქვეყანას ხელისუფლებასთან კონფლიქტურ ვითარებაში, არამედ მეფობს თავის ერზე ზრუნვით.

თუ პრეზიდენტი ფაქტობრივად არ მართავს ქვეყანას და მისი თანამდებობა მხოლოდ საპატიო მისიით შემოიფარგლება, სახელმწიფოს მეთაურის თანამდებობას ხშირად იკავებს ყოფილი პოლიტიკოსი ან მეცნიერი, ან გადამდგარი დიპლომატი - ხშირად არასასურველი წარსულით - რომლებიც შეუძლებელია იყვნენ სრულყოფილი ზნეობრივად თუ პროფესიულად. ასეთი მეთაური ნაკლებად ცნობილია ქვეყნის შიგნით და თითქმის სრულიად უცნობია საზღვარგარეთ. ის არ წარმოადგენს ერს, ქვეყანას და ვერ გაუტოლდება მონარქს.

ოჯახის წევრების დახმარებით, მონარქს შეუძლია აღასრულოს მრავალი ვალდებულება და მონაწილეობა მიიღოს არაერთ ღონისძიებაში - საზეიმო, საქველმოქმედო, ეკოლოგიის დაცვის და ა. შ. - რისთვისაც მმართველ პრეზიდენტს არ ექნებოდა დრო, ხოლო „საპატიო“ პრეზიდენტი უპირატესობას არ მიანიჭებდა ამას.

მონარქი და სამეფო სახლის წევრები თავისუფალი არიან პოლიტიკური ზენოლისაგან. მაგალითად, გაერთიანებულ სამეფოში უელსის პრინცს შეუძლია ხალხის სახელით გამოთქვას აზრი გარემოს დაბინძურების თაობაზე, მაგრამ კონსერვატიულ პარტიას

არ შეუძლია ილაპარაკოს ამაზე, რამდენადაც სახსრებს იღებს დაწესებულებებისგან და ფირმებისგან, რომლებიც ხშირად თვითონ აბინძურებენ გარემოს. სხვა პარტიები ასევე წარმოადგენენ განსაზღვრულ დაჯგუფებებს, რომელთა ინტერესებსაც ისინი ანგარიშს უწევენ.

ყოველი ერი შედგება ოჯახებისგან და სავსებით ბუნებრივია, თუ სამეფო ოჯახი უმეტაურებს ერს.

დღეს ნაკლებად აღნიშნავენ ღვთისგან მირონცხებული განსაკუთრებული უფლებების შესახებ, მაგრამ მეფე მეფობს ღვთის მადლით და ხალხის სულიერ ცხოვრებაში მეფეები დღესაც განსაკუთრებულ როლს ასრულებენ. ამ მისიის შესრულება პრეზიდენტებს არ შეუძლიათ.


მონარქის შენახვა ქვეყანას გაცილებით უფრო იაფი უჯდება, ვიდრე პრეზიდენტის,

მაგალითად, ცნობილია, რომ ბრაზილიელი პრეზიდენტის შენახვა 5-ჯერ უფრო ძვირია, ვიდრე მთელი ბრიტანეთის სამეფო სახლისა.

ის სამეფო სახლებიც კი, რომლებიც ახლა არ მეფობენ, თავიანთი ხალხის სამსახურში არიან, მაგალითად, ბრაგანსის ჰერცოგი - პორტუგალიაში და პარიზის გრაფი - საფრანგეთში. სამეფო სახლის წევრები, რომლებიც იძულებული იყვნენ ეცხოვრათ როგორც დევნილებს, ძალიან ხშირად ორგანიზებას უწევენ საქველმოქმედო საქმიანობას ქვეყნის სასარგებლოდ.

პრეზიდენტი - მართავს, მეფე - მეფობს, ზრუნავს ქვეყანაზე, როგორც ერთ დიდ სამეფო ოჯახზე, აერთიანებს და კრავს სამშობლოს.

*თეზისები გამოვზავნილია
დიდი ბრიტანეთიდან
ნინო მარკოზიას თარგმანი*



ნორვეგიის სამეფო ოჯახი (გლიუსსურგები)



ჰანს ფონ საქსენ-ალტენბურგი

ვეკუთ პასუხი ერთად!

(მონაქვის ჰიოხიტეტი)

ბამოცდილება მიჩვენებს, რომ საზოგადოების რეაქცია შედეგება სამი კომპონენტისაგან: პირველი - იმნამიერი, მეორე - კრიტიკული, მესამე - საკუთარი აზრებით გაჯერებული და არა მიზნობრივი. მე არ გაგცემთ პასუხს ამ შეკითხვაზე, რა სიკეთის მომტანია მონარქია ხალხისათვის, რადგან მჯერა, რომ პასუხი უნდა ვეძებოთ რეალურ კეთილდღეობასა და ბედნიერებაში და არა ზედაპირულ ტოკშოუებში, მყვირალა, პრეტენზიული და უმეცარი გამომსვლელებით. მოგახსენებთ, თუ რა შევისწავლე საერთაშორისო მონეტარული ფონდის, სმფ-ის (IMF), მიერ გამოქვეყნებული 2013 წლის ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე, რა ობიექტური სურათი გადამეშალა ხალხის რეალური, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური ცხოვრების შესწავლის შედეგად. მინდა დავამატო ისიც, რომ ეს ინსტიტუტი მთელი მსოფლიოს მიერ მიჩნეულია ყველაზე დემოკრატიულ და ობიექტურ შემფასებლად.


სმფ-ის (IMF) მონაცემებში წარმოდგენილია მსოფლიოს 190 ქვეყანა. ნიშანდობლივია შეფასების კრიტერიუმი, თუ როგორ ხდება სხვადასხვა ქვეყნის შედარება ერთმანეთთან, როდესაც ყველა ქვეყანა განსხვავებულია. საერთაშორისო შეთანხმებით, მთავარი კრიტერიუმი არის საერთო ადგილობრივი პროდუქცია - საპ (GDP), რომელიც ასახავს

ყველა წარმოებისა და სერვისის ჯამს. მაგალითად, პროდუქციას ქმნის კახელი მეღვინეც და თბილისის ოფისში მომუშავე მდივანიც. საპ () იყოფა იმ ქვეყანაში მცხოვრებ ადამიანებზე და მიიღება საერთო ადგილობრივი ინდექსი - საი (GDI).

საქართველო ამ 190 ქვეყანას შორის, სადღაც, შუაშია მოქცეული. მთავარი ის არის, რომ საერთო ადგილობრივი ინდექსი - საი (GDI) ხალხის კეთილდღეობის, მათი ცხოვრების დონის მაჩვენებელია. თუ ადამიანებს სამუშაო აქვთ - ფულიც აქვთ, ფულით კი არჩენენ ოჯახს, იღებენ განათლებას, მოგზაურობენ... თუ ხალხს არა აქვს სამუშაო... თუმცა დარწმუნებული ვარ, არ არის საჭირო ქართველ მკითხველს გავახსენო მათი ცხოვრების მძიმე პერიოდი. მოკლედ, ყველა ქვეყანას აქვს ასეთი ინდექსი, რომელიც მონიშნავს, რომ ჯონ სმიტი ან გიორგი რაქვიაშვილი აწარმოებს გარკვეულ ღირებულებას. რაც უფრო მაღალია ეს ღირებულება, მით უფრო მდიდარია ქვეყანა, - ადასტურებს საერთაშორისო მონეტარული ფონდი. მეც ვეთანხმები ამ დეფინიციას.

განვიხილოთ მხოლოდ პირველი 34 ქვეყანა ამ 190-დან, რით განსხვავდებიან, რა პრიორიტეტები ახასიათებთ?


ვიდრე ჩემს აზრს მოგახსენებდეთ, კიდევ ერთხელ შეგახსენებთ თავისებურებებს მონარქიული ქვეყნისა, რომელშიც პირველი პირი, არ




ბაგრატიონთა დინასტიის
საგვარაულო გერბი



დიდი ბრიტანეთის (გაერ-
თიანაზული სამეფოს) გერბი



ესპანეთის სამეფოს გერბი



შვედეთის სამეფოს გერბი



ირჩევა და არ იცვლება ყოველ ხუთ წელიწადში, არამედ ქვეყნის სათავეშია გრძელვადიანი პერსპექტივით, რელიგიაზე, ტრადიციაზე, ისტორიაზე, კულტურაზე დაყრდნობით. ქვეყნის მთავრობა, თუნდაც დემოკრატიულად არჩეული, პერიოდულად იცვლება, მაგრამ მეფობა და დედოფლობა და მათი ფუნქციები უწყვეტია და გადადის თაობიდან თაობაში. ამ ქვეყნებში დინასტიების გაგრძელება და მონარქების მართვა სტაბილურობის გარანტიაა. ქვეყნებს, რომელთაც პრეზიდენტები ჰყავთ, სხვადასხვა განზომილებაში უწევთ ცხოვრება ყოველ ხუთ წელიწადში; მონარქიული ქვეყნები, გრძელვადიანი მმართველობით, მომავალზე, პერსპექტივაზე აგებენ ქვეყნის განვითარების სქემებს. ახლა გადავხედოთ ციფრებს, გავაანალიზოთ სტატისტიკური მონაცემები:

პირველი 34 ქვეყნიდან 15 არ მდებარეობს ევროპაში. ამ 15 ქვეყნიდან 7 ნავთობის მომპოვებელია. ნიშანდობლივია, რომ ამ 7-ვე ქვეყანაში სახელმწიფო წყობა კონსტიტუციური მონარქიაა. დარჩენილი 8 არაევროპული ქვეყნიდან 4 არ აწარმოებს ნავთობს, მაგრამ კონსტიტუციური მონარქიის წყობა აქვთ, ანუ 15-დან 11 კონსტიტუციური მონარქიის ქვეყანაა. გავიხსენოთ ქართული გამოთქმა: „შემთხვევით არაფერი ხდება“.

34 ქვეყნიდან 19 მდებარეობს ევროპაში და შედარებისთვის მეოცე ქვეყნად დავამატოთ აშშ. ამ 20-დან 12 არის მონარქიული წყობის. დავსვათ კითხვა: ვინ არის პირველ ექვსეულში? პასუხი მრავლისმეტყველია: მონაკო, ვატიკანი, ანდორა, ლიხტენშტეინი, ლუქსემბურგი და ნორვეგია. ისინი ისე მაღლა დგანან თავისი საი-ით (GDI), რომ მათი შედარება სხვებთან შეუძლებელია, ვინაიდან დანარჩენი ქვეყნები მხოლოდ არსებობენ.

პატარა საბანკო ქვეყნებმა თუ სამთავრობო ადმინისტრაციებმა, ქვეყნებმა, მცირე რაოდენობის მოსახლეობით, მიაღწიეს პირველობას, მოხვდნენ პირველ ექვსეულში. მომდევნო ქვეყანაა შვეიცარია - პირველ შვიდეულში ერთადერთი, რომელშიც არ არის მონარქია. მას მოსდევს მონარქიული ქვეყნები: დანია და შვედეთი, შემდეგ აშშ და ჰოლანდია. ესენი არიან გამორჩეულად მაღალი საი-ის (GDI) მქონე ქვეყნები.

ქვეყნები მომდევნო ჯგუფში დიდად არ განსხვავდებიან ერთმანეთისგან: ფინეთი, ირლანდია და ისლანდია, შემდეგია მონარქიული ბელგია, მას მოჰყვება გერმანია, საფრანგეთი და ინგლისის გაერთიანებული სამეფო. საკმაოდ ისტანციის შემდეგ მოდის იტალია, ფაშისტური წარსულით და რეგიონული გაურკვევლობით, რომელსაც მოჰყვება ესპანეთი, სამხედრო დიქტატურით 1923-დან 1975 წლამდე, ჩემი დაბადების ჟამს, მონარქიის აღდგენამდე. და აი, კონსტიტუციური მონარქიის აღდგენიდან 38 წლის შემდეგ ეს ქვეყანა მოწინავეთა შორისაა. ჩემი წინასწარმეტყველებით, ესპანეთი ყველა პარამეტრით გაუსწრებს იტალიას ჯერ კიდევ ჩემს სიცოცხლეში.

ესპანეთის და სხვა მონარქიული ქვეყნების წარმატების მიზეზი მხოლოდ მონარქიული მმართველობაა? არა, მე ასე არ ვფიქრობ. მაგრამ მჯერა, რომ წინსვლის მიზეზი არის ხალხის დამოკიდებულება, მათი რწმენა უწყვეტობისა და სტაბილურობისადმი. მე მჯერა, რომ ხალხი უნდა ენდობოდეს გრძელვადიან ფასეულობებს, როგორებიცაა: ოჯახი, შვილები, განათლება, სამსახური, ქვეყანა. როდესაც ხალხს ამის სჯერა, ის სტაბილური და ბედნიერია, ისინი დებენ ინვესტიციებს და აწარმოებენ პროდუქტს ამ მიზნისთვის, ცხოვრო-

ბენ და უყვართ ის, რასაც ენდობიან. პრინცი, ანუ მომავალი მეფე, ათწლეულების მანძილზე სწავლობს, როგორ აკეთოს საქმე ქვეყნის სასიკეთოდ, როგორ მართოს სამეფო. როდესაც მისი დრო მოვა, ის მზად არის გადალახოს ყველა გამოწვევა. ის ვალდებულია - პატივი სცეს წარსულს, გააუმჯობესოს აწმყო, მოამზადოს ხალხი ცვლილებებისათვის მომავალში. სუსტი მეფე უნდა წავიდეს, ძლიერი მეფე უნდა დარჩეს, მთელი თავისი ცხოვრებით, თავდადებულად იღვანოს ხალხისათვის, გააძლიეროს ქვეყანა და სამშობლოს სამსხვერპლოზე მიიტანოს რწმენა, განათლება, პატრიოტული სულისკვეთება. ქართველებმა იციან გიორგი მეფისა და მისი შვილის, დავით აღმაშენებლის გამეფების უნიკალური მაგალითი. მეფე გიორ-

გიმ ტახტზე 16 წლის ჭაბუკი აიყვანა ქვეყნის გასაძლიერებლად, საქართველოს მერმისზე ზრუნვით.

პოლიტიკოსებს მოკლე ვადა აქვთ სამოქმედოდ და მრავალი მათგანი კიდევაც ტოვებს თავის ქვეყანას, როდესაც სათავისოდ გამოიყენებს და გამოსწოვს მთელ რესურსს. ვის შეუძლია დაასახელოს ყველა პრემიერ-მინისტრი, პრეზიდენტი და მთავრობის მეთაური ბოლო ოცი წლის განმავლობაში? ან თუნდაც ოქტომბრის რევოლუციიდან ასი წლის შემდეგ ხალხმა სასაფლაოების, მსხვერპლის გარდა, რა მიიღო? ან ქვეყნის დღევანდელი მცხოვრებლები არიან უკეთესები, ვიდრე იმ ქვეყნების წარმომადგენლები, რომლებიც პირველ 34 ადგილზე არიან საი-ით (GDI)? საი (GDI) არის დემოკრა-



შვედეთის სამეფო ოჯახი (ბერნადოტები)



ტიული ფასეულობებით შექმნილი ინდექსი. საერთაშორისო მონეტარული ფონდის მიზანი არ არის მონარქიების მხარდაჭერა, მაგრამ მათი სტატისტიკა საოცარი სარკეა, მეტყველებს წარსულზე და აწმყოზე, ჩვენზე, თქვენზე, ჩვენს ოჯახებზე, ჩვენს ქვეყნებზე. კიდევ ერთი აღმორჩენა: ამ 34 სახელმწიფოდან არცერთი არ არის, არც ყოფილა კომუნისტური იდეოლოგიით მონამლული ქვეყანა. დღეს სლოვენია ყველაზე მაღალ საფეხურზეა ყოფილი საბჭოთა ქვეყნებიდან, უკრაინა ყველაზე დაბალ საფეხურზეა, რუსეთი და ჩინეთი - სადღაც, შუაში. არაევროპულ, ყოფილ კომუნისტურ ქვეყნებს შორის, სამწუხაროდ, არის საქართველოც, სადღაც უკრაინის შემდეგ. ჭეშმარიტი სტატისტიკა შეიძლება ძალიან დებრესიული იყოს. სამმა ევროპულმა დიქტატორულმა ქვეყანამ: გერმანიამ, იტალიამ და ესპანეთმა - წარმატებას მიაღწია მხოლოდ მას შემდეგ, რაც დემოკრატიის გზას დაადგა. და ეს ყველაფერი აღბეჭდილია საერთაშორისო მონეტარული ფონდის ეკონომიკურ მონაცემებში, რომელიც ყოველ წელს ქვეყნდება. სტატისტიკა, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენც მისი დაკვირვების ობიექტი, მისი ნაწილი ვართ, მშრალი, მოსაწყენი მეცნიერებაა.

მსურს კიდევ ერთი ჩემი მოსაზრება მოგახსენოთ: სანყენია, რომ საქართველო არ არის

პირველ ოცეულში, არც ოცდაათობმეტში - უფრო სანყენია, საქართველო უკრაინის შემდგომი ქვეყანაა - რიცხვი 108-ც სტატისტიკაა, ასევე 143-ც - ძალიან სანყენია. ჩემთვის, პირადად, და ჩემი ოჯახისათვის, ის მუდამ პირველ ადგილზეა. ძალიან მინდა დახმარება, მსურს საქართველო, მართლაც, პირველი გახდეს. სამწუხაროდ, არც ისე ბევრს სჯერა ამის. კიდევ უფრო ნაკლებს სჯერა სტატისტიკის.

ცივმა, მშრალმა, ბიუროკრატიულმა სტატისტიკამ ჩემ მაგივრად გვიპასუხა. ამ სტატისტიკაში არაფერი ახალი არ არის. მის მონაცემებს ოც წელზე მეტია ვაანალიზებ და ვფიქრობ, მხოლოდ დისტანცია იცვლება, იზრდება მანძილი წარმატებულსა და სხვა ქვეყნებს შორის. მომავალ წელს ისევ გავაანალიზებ ციფრებს, ან იქნებ თქვენ გააანალიზოთ და გამოიტანოთ თქვენეული დასკვნები წარმატებულ მონარქისტულ და სხვა ქვეყნებს შორის. სტატისტიკა საჯაროა, თუმცა მშრალი, ფიქრი კი - ყოველთვის შეუზღუდავი, ემოციური, მიმართული მომავლისაკენ! მონარქიზმი მხოლოდ წარსულში ხედვა როდია, ვფიქრობ, ის მომავლის იმედია!

*თარგმანი ნანა ანდრონიკაშვილისა,
პრინცესა ფონ საქსენ-ალტენბურგისა*

საქართველოს უბირბჰინო გეჱ



„გამახჯობა თქენი, ახლად მომავდ-
ნო! მე, ეჱვე მიმავდი, გეთხოვებით და
ვსწეხვახ, ხომ საგულისხმო ანდეხდად ვე-
ხას გიტოვებთ, გახდა მახტო სვენნა-ვე-
დებისა: გიყვახდეთ თქენი სამშობლო...,
თქენი ეხი, ხოგოხც ჰიხველი საფეხეხი
ჱაცობიხობის მისწხაფებისა, ხადგანაც სი-
ყვახედშია ადამიანის ბედნიეხება!.. მაგხამ
მისთანა სიყვახედში ჱი, ხომელსაც სახ-
ჩედად სიმახიტე და გუნწიფელობა ექვეს.
ეამისოდ ყოვედგვახი შხომა ამაოა და მშ-
ხომელს ახა აქვს უფლება სთქვას: „უფალია
ჩემთან! აღილეია!“...

1913 წ.

*აჱაჱის სიტყვა, ჩანეხილი
გხამოფონის ფიხიფიტაზე*

სულმნათი აჱაკის იუბილე ხალხის ეროვნული დღესასწაულია, რადგან პოეტის მთელი ცხოვრე-
ბა ერის უანგარო სამსახურის მკაფიო მაგალითს წარმოადგენს. ჩვენი ისტორიის ძნელბედობის
ჱამს პოეტი, დიდ ილიასთან ერთად, სათავეში ედგა ქართველ სამოციანელთა ყველაზე მამაც-
ურ კოჰორტას, რომელმაც ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნების გამოლვიძებისათვის
კოლოსალური შრომა გასწია. აჱაკის მრავალმხრივი მოღვაწეობიდან აღსანიშნავია მისი საგა-
მომცემლო საქმიანობა, კერძოდ, ერთ-ერთი პირველი ქართული სატირულ-იუმორისტული პე-
რიოდის დაარსება, რამაც პირველი რევოლუციის გარიჱრაჱზე ჩვენი საზოგადოების სულიერ
ცხოვრებაში გარკვეული რეზონანსი გამოიწვია.

ათას ცხრაას ხუთში, იმ დიდი ძვრებისა და ქარტეხილების წელს, დიდმა აჱაკიმ თხოვნა მიართ-
ვა მეფისნაცვალს, რომელშიც იგი ლაკონურად და არგუმენტირებულად ასაბუთებდა ქართულ
ენაზე ამგვარი გაზეთის გამოსვლის აუცილებლობას.



**Его сиятельству наместнику Его императорского
величества на Кавказе.
Князя Акакия Ростомовича Церетели.**

ПРОШЕНИЕ

Желая издавать в г. Тифлисе на грузинском языке под своим же редакторством еженедельную подцензурную юмористическую газету с иллюстрациями под названием «Хумара» /«юморист»/, покорнейше прошу, Ваше сиятельство, дать мне разрешение на означенное издание по прилагаемой программе.

При сем имею честь довести до сведения Вашего сиятельства, что подобного издания на грузинском языке пока не существует и чувствуется в нем большая потребность. 17 мая 1905 г., г. Тифлис. Кн. Акакий Церетели

ЦГД ГССР, ф 480, оп I, д. 2056, л. 2.

აკაკის ამ თხოვნას უარი არ ეთქვა. საცენზურო კომიტეტის კონფიდენციალურ წერილებში აშკარად ჩანს ის მოკრძალება დიდი მწერლის მიმართ, რასაც ჩვეულებისამებრ ვერ გადააბიჯა თავისუფალი აზრის ინკვიზიტორმა და იძულებული გახდა ეშუამდგომლა ხელისუფლების წინაშე.

ამ ჟურნალით, რომელიც გამოიცა 1907 წელს, მკვლევართა უმეტესობა იწყებს ქართული სატირულ-იუმორისტული ჟურნალისტიკის „ქორონიკონის“ ჟამთა აღწერას. ეს გამოცემა იმიტომ იქცა ნიშანსვეტად, რომ იგი ამ ხასიათის ეროვნული პერიოდიკის პირველ ნიმუშთა შორის ყველაზე საუკეთესოა, ყველაზე მეტად აკმაყოფილებს ეროვნულ, სოციალურ, პროფესიულ, კულტურულ მიზანდასახულობას.

აკაკის მოღვაწეობის ამ მხარეს რომ ვეხებით, არ შეიძლება არ გავიხსენოთ ის ადამიანები, რომლებიც პოეტს მხარში ამოუდგნენ და მასთან ერთად ზიდეს ქართული იუმორისტული ჟურნალის გამოცემის ჭაპანი. მათ შორის უნდა დავასახელოთ თვითნასწავლი მხატვარი გიგო ზაზი-აშვილი, რომლის ნახატები აკაკის ძალზე მოსწონებია და მასთან თანამშრომლობაც შეუთავაზებია. აი როგორ იგონებს დიდ მწერალთან შეხვედრას თვით მხატვარი:

„ჯარისკაცობა ახლად გათავებული მქონდა, სოსიკო მერკვილაძემ თავის მაღაზიისათვის აბრა რომ შემიკვეთა. ზამთრის დღე იყო, თოვდა, მე სახლში ვმუშაობდი, როცა ფანჯრიდან და-



ვინახე, რომ ეზოში ვილაც შემოსვლას ლამობდა, მაგრამ ჭიშკარში ვერ ეტეოდა. მგოსანი დიდი ტანისა იყო, საყელოზე ბენვშემოვლებული პალტო ეცვა და ბენვისავე ქუდი ეხურა. მან სოსიკო მერკვილაძესთან ერთად დაათვალიერა აბრა. დიდად ვისიამოვნე მგოსნის ჩემს სახლში მოსვლით. ჩემს პატარა ბავშვებს დიდხანს ეალერსა, ჩვენც დიდხანს გვესაუბრა და ბოლოს მერკვილაძეს უთხრა, თუმცა მხატვარს არსად უსწავლია, მაგრამ ქართულ ნივთებს ისე მშვენივრად ხატავს, თითქოს აკადემია ჰქონდეს გათავებულიო, ყოველი ნივთი ცოცხლად არის დაწერილიო. ლაპარაკში ოხუნჯობდა, მაშინ მგოსანი შუახანს იყო მიტანებული. ეს იყო 1902 წელს, განვლო წლებმა, 1907-1908 წლებში აკაკის ჟურნალი უნდა გამოეცა, „ხუმარა“, იუმორისტული, კარიკატურებით. სწორედ ამისათვის დამიბარა თავისთან. თან წამყვა სევასტი გაჩეჩილაძე. აკაკი ცხოვრობდა სასტუმრო „ფრანციაში“, როცა მან ჟურნალის სათაური და ბენიასა და ბემტიას კარიკატურები ნახა, თქვა, ძალიან მშვენივრად არიან დახასიათებულნიო, ასე მგონია, ზაზიაშვილი ჩემს გულში ყოფილაო, ისინი მეც ასეთებად მქონდა წარმოდგენილიო... მე შეკვეთილი მქონდა რედაქციისაგან დაშნაკელების პარტიის ემბლემის „ლომის“ კარიკატურის დახატვა, როცა ჟურნალში გამოვიდა მჭლე, ცარიელი ძვლების ამარა გაძვალტყავებული „ლომი“. მე არ ვიცი საიდან გაიგეს დაშნაკელების პარტიის წევრებმა ჩემი მისამართი, მომიცვივდნენ და მუქარის კილოთი პასუხი მომთხოვეს, როგორ გაბედე და ამგვარად დახატე ჩვენი უძლეველი ლომიო, როგორ გაბედე ჩვენი პარტიის გალანძღვაო“.

იოსებ გრიშაშვილი იგონებს: „აკაკიმ თავისი განზრახვა მხოლოდ 1907 წელს განახორციელა“.

„ხუმარა“ არ იყო რომელიმე პარტიის ორგანო. „ხუმარა“ აცხადებდა, რომ იგი ყველას მიიღებს თანამშრომლად. აი, ეს განცხადებაც... „ხუმარა“ ერთი რომელიმე პარტიის ორგანო არაა, ისაა კარლია გაზეთი, აზრთა შეჯახება - აი რაა ჭეშმარიტების გამომრკვეველი. დაე, დაეჯახონ სხვადასხვა მიმართულების შეხედულებანი ერთმანეთს - ეს საჭიროა და კარგიც. „მოყვარეს პირში უძრახე“ თუ ზნეობრივი სიბრძნეა, მტერს რომ პირში უძრახო, ეს ხომ კიდევ მეტი ხარისხის სიბრძნე იქნება...

ასე და ამგვარად, „ხუმარას“ კარი ყველასათვის იყო ღია... ამიტომაც იყო, რომ იუმორისტმა თავისი პირველი სახუმარო პოემა დაშნაკცაკანებზე („ეს ლომია და არა ძაღლი“) აკაკის „ხუმარაში“ მოათავსა ხელმოუწერლად.

„ხუმარა“ თანამშრომლებს ჰონორარსაც ჰპირდებოდა.

აკაკიმ თავის „ხუმარაში“ პირველად გააცოცხლა ორი ქართველი ხუმარა - ბენია და ბემტია. მათს დიალოგებში პოეტმა გადაიტანა მაშინდელი ყოველდღიური მტკივნეული საკითხები...

„ხუმარას“ პირველი ტომი თამამი ტონით გამოვიდა და ბევრიც გაჰკენწლა, იგი არავის ერიდებოდა, ამიტომ მალე მიჰკეტეს კიდევ. აი, „ხუმარას“ დაკეტვის მოკლე ისტორია:

„ხუმარას“ პირველ გვერდზე დახატული კარიკატურა ეხებოდა ტფილისის გუბერნატორს რაუმ-ფონ-ტრაუბენბერგს. ფონ რაუში ერთი რაღაც ქარაფშუტა პიროვნება იყო. გარდა ამისა, უყვარდა „ჩაღლევა“ და როცა ღვინო თავში შეუჯდებოდა, ათასგვარ უტაქტობას სჩადიოდა. იგი ბრიყვულად მოიქცა ქართულ საზოგადოებაში და აკაკიმაც თავისი ჟურნალის პირველი ნომრისათვის ეს პირადული ინციდენტი გამოიყენა და საზოგადო ხასიათი მისცა. მან მუშა მხატვარ გიგო ზაზიაშვილს დაახატვინა კარიკატურა და ქვეშ შემდეგი ლექსი მიაწერა:

„დიდუჩაანთ ყიყინას ჩვენები ეჯახება, საიდანაც მოსუდა იქით მიერჩახება. და ნიშადუხს ეცესავს გუდმოსული მახმადი, ხომ აქ აღახსად დაჩრეს იმ ვიხის გზა და ევადი. ეინტო ეი გაოცებით შესცქეხია ამ ამბავს და ხმამაღლა იძახის ამოუსვით ხაუმა-ვს“.



ეს ხაზგასმული სიტყვა არ გამოეპარა ხელისუფლებას, რომელმაც არ აპატია მის ავტორებს მაღალჩინოსანი პირის გაქილიკება და ჟურნალის აკრძალვასთან ერთად რედაქტორიც დააპატიმრეს. ეს მოხდა 1907 წელს, 10 თებერვალს.

საინტერესოა ერთი ეპიზოდიც, როცა აკაკი ციხეში მიიყვანეს, მთელი ციხე აფორიაქდა... პატიმრები განურჩევლად მათი დანაშაულის ხასიათისა, დემონსტრაციულად გამოვიდნენ ეზოში, ჰყვიროდნენ, მთელ ციხეს აზანზარებდნენ და მოითხოვდნენ საყვარელი პოეტის დაუყოვნებლივ გათავისუფლებას. ეს პროტესტი სამხედრო გუბერნატორის ტიმოფეევის ყურამდეც მივიდა, რომელმაც მაშინვე გასცა განკარგულება აკაკის განთავისუფლებისა. ქალაქი დაბინდებისას მივიდა ციხეში, აკაკიმ არ მოისურვა ღამით გამოსვლა ციხიდან: „არა, ქაჯან, ნუ მანუხებთ, ამაღამ აქ დავრჩები და ხვალ დილით ნავალ და მეორე დღით გამოვიდა დიდი ზეიმ-ზარით, ნამდვილად აკაკი სულ ერთი საათით იყო დაპატიმრებული...“ (ი. გრიშაშვილი, „პირველი იუმორისტული ჟურნალი საქართველოში“, „ნიანგი“, №2, 1933 წ.).

გზა უკვე გაკვალული იყო, ამიტომ აკაკის გაზეთი შემდგომში ჟურნალად გადაკეთდა, რომელსაც სახელად „მასხარა“ ეწოდა. სწორედ ამ კრებულში გამოაქვეყნა გიგო ზაზიაშვილმა თავის მორიგი იუმორისტული ნახატი, რომელშიც აკაკის დაპატიმრების ამბავია გადმოცემული.

ოთარ ციციშვილი

*(გადმობეჭდილია გამოცემიდან
„თვითნასწავლი მხატვრის გიგო ზაზიაშვილის კარიკატურები“,
თბილისი, 1990).*



თავდაზნაურობა ბრძოლის ველზეა...

(რევოლუცია, პოლიტიკური მიზანი და ღვთიური ნება)

ინტერვიუ საქართველოს თავდა-აზნაურთა საკრებულოს წინამძღოლთან, პატრიოტთა ალიანსის თავმჯდომარესთან, გ-ს დავით თარხან-მოურავთან

- ბატონო დავით! გთხოვთ შეაფასოთ დღეს არსებული ძალზე რთული პოლიტიკური ვითარება.

- ვნუხვარ, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ საქართველოს მკაფიოდ ჩამოყალიბებული პოლიტიკა არ გააჩნია, არ გააჩნდა არც სააკაშვილის ხელისუფლებას და არც შევარდნაძისას.

საგარეო პოლიტიკა მხოლოდ ზოგადი თეორიული მიდგომები როდია. პოლიტიკა აგვირგვინებს მთელ სპექტრს - იდეოლოგიას, ეკონომიკას, სოციალურ სფეროს, განათლებას, კულტურას, მომავლის პერსპექტივას... ჩვენ მკაფიოდ უნდა ჩამოვყალიბოთ და ხალხსაც გავაგებინოთ ჩვენი პოლიტიკის ძირითადი



ნიშანსვეტები, მთავარი გზავნილები მეზობლებთან. დაფიქსირება მხოლოდ იმისა, რომ ჩვენ ვართ მეგობრები, საკმარისი არ არის - ეს არაა პოლიტიკა. მაგალითად, რას ველით ჩვენ თურქეთისგან? თურქეთისგან ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, გვინდა, რომ ეთნიკურმა ქართველებმა, რომლებიც დღეს ცხოვრობენ ისტორიულ ქართულ მიწა-წყალზე, ვგულისხმობ ქართველსაც და ლაზებსაც, გაიხსენონ, გაითავისონ საკუთარი ფესვები. ზოგი არ მიიჩნევს თავს ქართველად, მაგრამ ნახევარ მილიონზე მეტი თავს ქართველად თვლის. ერთია, რომ ეს მიწა ნაგვართვა თურქეთმა, მაგრამ, მეორეა, რომ მათ წაართვეს გვარები, სახელები, რწმენა. თურქეთში მათთვის არ ხსნიდნენ სკოლებს, კულტურულ ცენტრებს... მხოლოდ ახლახან, 97 წლის შემდეგ, გაიხსნა ორი სკოლა მრავალი დაბრკოლების გადალახვის შემდეგ. თურქეთმა უნდა აღიაროს მათი ქართველობა და დაიცვას მათი იდენტობა. დღეს ამ მიწების დაბრუნება არარეალურია. მე უფრო შორს მივდივარ და ვამბობ, რომ თურქეთმა ქართველთა გენოციდიც უნდა აღიაროს. ამასთან, უნდა შეწყდეს აჭარის ექსპანსია, უნდა შეწყდეს საუბარი, რომ ბათუმი და ახალციხე თურქეთს ეკუთვნის. ყოფილი პრემიერ-მინისტრი დაუდოლლუ პირდაპირ ეთერში საუბრობდა ამის შესახებ. უნდა შეწყდეს თურქეთის ხელისუფლების მხრიდან ილუზორული სურვილები ყარსის ხელშეკრულების ას წლისთავთან დაკავშირებით რეფერენდუმის გამართვის თაობაზე. ძალიან დიდი სამუშაო გველის, რაც მიზანმიმართულად უნდა დავსახოთ და ეტაპობრივად შევასრულოთ ჩანაფიქრი.

რაც შეეხება სომხეთს, მიმაჩნია, რომ ჩვენ ღიად, საჯაროდ უნდა ვისაუბროთ ორ

მნიშვნელოვან საკითხზე: ჯავახეთში უნდა შეწყდეს სეპარატული მოძრაობები და მეორე - აფხაზეთში უნდა შეჩერდეს სომხების მასობრივი დასახლება; ისინი უკვე რაოდენობრივად მეტნი არიან აფხაზეთზე. აქ შეიძლება შეთანხმების მიღწევა, მაგრამ ჩვენ ჩამოყალიბებული პოლიტიკა არ გავაჩნია. იგივე ხდება ირანთან მიმართებით. განა ქართველთა გენოციდი არ იყო აბას პირველის დროს? აქ კიდევ ერთი პრობლემაა. მე დღესაც მივიჩნევ, რომ ირანი იღვწის ატომური იარაღის შესაქმნელად; ამისთვის ამდიდრებს ურანს; ამავე დროს ამბობს, რომ ეს მხოლოდ მშვიდობიანი იარაღის შესაქმნელად ხდება. ყველას ესმის, რომ ეს ტყუილია, მაგრამ ახლა ამერიკა ცდილობს, ირანს მოუხსნას სანქციები და, სინამდვილეში, ეს იმისთვის კეთდება, რომ ირანის იაფი ენერგორესურსები ევროპაში მოხვდეს და რუსეთმა მიიღოს დარტყმა. მაგრამ აქ მთავარი პრობლემა თვითონ ირანია. ყველას ესმის, რომ ირანი შექმნის ატომურ იარაღს, მათ შორის, ამას ამბობს ისრაელი და მე ვეთანხმები ისრაელის პრემიერ-მინისტრს, რომ ამის დაშვება ისტორიული შეცდომაა, ძალიან დიდი შეცდომა, რომელიც გამოიღებს უარყოფით შედეგებს მსოფლიოსათვის.

საერთოდ, მიმაჩნია, რომ ობამას ადმინისტრაციის მიერ გადადგმული ყველა ნაბიჯი იყო მცდარი. მისი არჩევაც შეცდომა იყო, არცერთი პროექტი არ დამთავრდა მშვიდობით. ერაყში, ლიბიაში, სირიაში, ეგვიპტეში აშშ-ს გაუაზრებელმა პოლიტიკამ შექმნა ახალი სახელმწიფო - ხალიფატი, რომელიც კავკასიასაც მოსწვდა და აპირებს მის მოქცევას თავის ფარგლებში. ამერიკის ადმინისტრაციას ჰგონია, რომ ეს იქნება რუსეთის წინააღმდეგ



მიმართული დარტყმა, მაგრამ, სინამდვილეში, ეს იქნება მსოფლიო მშვიდობის წინააღმდეგ მიმართული ქმედება. ამერიკის ადმინისტრაციას, სამწუხაროდ, არ ესმის ამ მოვლენების არსი და მათი შედეგები. ასე რომ, სიკეთე არ მოუტანია ობამას ადმინისტრაციას. მაგრამ ჩვენ გავწერეთ ჩვენი პოლიტიკა ამერიკასთან? მხოლოდ ნატოში განვწვრიანების სურვილი ჩამოყალიბდა, თუმცა იქ არავინ გვეპატიჟება. ვერ ვიყენებთ ჩვენს პრიორიტეტებს საგარეო პოლიტიკის დასახვეწად, მათ შორის „აბრემუმის გზას“ - ჩვენ ვაგზავნით ჩვენს სამხედრო კონტინგენტს ავღანეთში, ერაყში და ამას არ მოუტანია არავითარი შედეგი, თუნდაც იმიტომ, რომ არ მომხდარა ინტეგრაცია ცი - ქართველ სამხედროებს ნატოს ქვეყნების დაზვერვა არავითარ ინფორმაციას არ აწვდიდა. მხოლოდ ახლა დათბა ურთიერთობა. ჩვენ ამას ვაკეთებდით იმიტომ, რომ დავმსხდარიყავით ერთ პოლიტიკურ მაგიდასთან, ამერიკასთან, გერმანიასთან, საფრანგეთთან ერთად, მაგრამ ჩვენ მაინც ვერ აღმოვჩნდით ერთ სივრცეში, მიუხედავად იმისა, რომ პროცენტულად ჩვენ იქ უფრო მეტი ჯარისკაცი გავგზავნეთ, ვიდრე გერმანიამ.

ჩინეთმაც კი მოახერხა, რომ ამერიკასთან აენყო ეკონომიკური ურთიერთობა. შეიძლება, ახალ თაობას არ ახსოვს, მაგრამ მე მახსოვს, ოთხმოცდაათიან წლებში არაერთხელ ვიყავი ჩინეთში და ამ დროს ჩინეთი იყო წარმოუდგენლად დაბალი განვითარების ქვეყანა, ავტომობილების გარეშე. დღეს ჩინეთი ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანაა ეკონომიკური მაჩვენებლებით, ანუ ჩინეთმა მოახერხა, რომ ამერიკისგან მიეღო ფული და ტექნოლოგია და ფეხზე დადგა. ჩინეთი კომუნისტური ქვეყანაა. ჩვენ

ვითვლებით ამერიკის სტრატეგიულ პარტნიორად, მაგრამ არ მიგვიღია ფული და ტექნოლოგიები. მართალია, ჩვენ მივიღეთ დაახლოებით რვა მილიარდი, რომელიც სააკაშვილმა ჩაიდო ჯიბეში; შესაძლოა, დახარჯა ორი მილიარდი, მაგრამ დანარჩენი მოიპარა. ასე რომ, ჩვენ ვერ გამოვიყენეთ ამერიკის გავლენა პრობლემების მოსაგვარებლად, დევნილების დასაბრუნებლად ცხინვალსა და აფხაზეთში, თუნდაც, იმ პერიოდში, როდესაც შედარებით ნორმალური ურთიერთობა იყო რუსეთსა და ამერიკას შორის.

ჩვენ დღემდე არავითარი პოლიტიკა რუსეთთან ჩამოყალიბებული არა გვაქვს. თუმცა, რუსეთი 15 წელია გვეუბნება, რომ მას სჭირდება ნავთობი და გაზსადენები, ამასობაში გაზსადენი გაჰყავს შავი ზღვის ფსკერზე, თურქეთთან. რუსეთს უნდა შავი ზღვის შელფი, ჩვენ გვინდა დევნილების დაბრუნება, მაგრამ ამაზე არ ვსაუბრობთ. ასეთი საკითხები არ წყდება აბაშიძე-კარასინის შეხვედრებზე, ასეთი საკითხები წყდება პირველი პირების დონეზე. ამ დაძაბულ პერიოდშიც კი შეიძლება ურთიერთობის განსაზღვრა. პუნქტობრივად ჩამოყალიბებული პოლიტიკა არც რუსეთთან გვაქვს, არც ამერიკასთან. საქართველო უნდა გახდეს ის ველი, სადაც რუსეთ-ამერიკის ურთიერთობა მოგვარდება. სამი თვეა ვამბობთ, რომ თურქმენეთს ძალიან სჭირდება, რომ თურქმენეთის გაზი საქართველოს გავლით აღმოჩნდეს ევროპაში. სამი თვეა ხელისუფლებას ვეუბნებით, ჩავიდეს ევროპაში და კვოტა მოითხოვოს, საქართველოს გავლით, ათ-თხუთმეტ მილიარდ კუბმეტრ გაზზე. ხელისუფლებამ არაფერი გააკეთა ამ მიმართულებით, მაგრამ აგერ თურქმენეთის პრეზიდენტი ჩამოვიდა



იმავე წინადადებით. ჩვენი პარტია ჩუქნის ხელისუფლებას იდეებს, პოლიტიკურ სტრატეგიას, კონკრეტულ მიმართულებებს, კლიპები გადის „ობიექტივის“ ეთერით და ეს ხელისუფლების ყურამდე დიდი ხანია მისულია.

- ბატონო დავით, საინფორმაციო ტელე-სივრცეში, პრესაში გახშირდა ქართველთა ხსენება უარყოფით კონტექსტში. როგორ ახსნით ამ მოვლენას, გადაგვარება-გახრწნის მართვადი პროცესი ხომ არ არის?

- სამწუხაროდ, ეს ხდება ყველა ქვეყნის ისტორიაში. ზოგჯერ ხელისუფლებაში აღმომჩნდებიან ე. წ. „კულტურული რევოლუციონერები“, უცოდინარი ადამიანები, ამბიციური პირები, რომლებსაც არავითარი ავტორიტეტი არ გააჩნიათ, მაგრამ თავხედურად იწყებენ თვითშემოქმედებას და ყველაფერს ანგრევენ. ასეთი „კულტურული რევოლუციონერები“ შეკავშირდებიან, ირჩევენ ლიდერებს, რომელთათვისაც არ არსებობს ეროვნული ღირებულებები, ზნეობრივი პრინციპები. განსაკუთრებით ფეხმოკიდებული იყო ეს ტენდენცია სააკაშვილის პერიოდში. ჩვენთან ისინი სხვა უცნაურობებითაც გამოირჩევიან - ვერც ქართველებად გაიზარდნენ, ვერც ამერიკელები გახდნენ. ამიტომ თავიანთი ძალიან ვიწრო ჭკუით ეგონათ, რომ აშენებდნენ კარგ საქართველოს. სავალალოა, რომ მათ დღემდე აქვთ ლიდერობის პრეტენზია, დღესაც არსებობს მოსახლეობის მცირე ნაწილი, რომელსაც მათი სჯერა. ამან გამოიწვია ეს ტრაგიკული მოვლენები ჩვენს ისტორიაში. ეს, სამწუხაროდ, ორჯერ მოხდა: პირველად ბოლშევიკურ პერიოდში, რომელიც როგორც გადავიტანეთ და ახლა ეს მეორე ტალღაა, რომელიც დღემდე გრძელდება. არ გაგვაჩნია არც ეკონომიკური პოლიტიკა, არც

კულტურული. ეს ხალხი მას ვერ შექმნიდა, მაგრამ ჩვენ უნდა დავინყოთ მშენებლობა, განათლების და მეცნიერების, ეკონომიკის აღორძინების თვალსაზრისით.

სახელმწიფოს უნდა უხაროდეს ხალხის გამდიდრება, საშუალო ფენის შექმნა. მთელი რიგი ეკონომიკური ნაბიჯებია გადასადგმელი. ყველაზე მარტივი გამოსავალია, რომ ნვრილ მენარმეს დაუდგინდეს ფიქსირებული გადასახადი და, რაც მთავარია, ის უნდა იყოს თავისუფალი. აი, ეს უშველის ქვეყანას და ეს მხოლოდ ერთი ასპექტია. სახელმწიფო მოხელეებმა არ უნდა შეუქმნან ხელოვნური ბარიერები მენარმებს. ასე შევქმნით საშუალო ფენას. რაც მთავარია - განათლება და მეცნიერება, ეროვნული ღირებულებების ნამონევვა აუცილებელი. ასეა გერმანიაშიც და საფრანგეთშიც. დღეს ჩვენთან პირიქით ხდება - დღეს გარკვეული ჯგუფები მიზანმიმართულად ცდილობენ დაგვიმტკიცონ, რომ არ გაგვაჩნია ისტორია, ვართ ზარმაცები, უმეცრები, ჩვენი ფილოსოფია, ლიტერატურა, მხატვრობა მეორადია, არ გვყავდა ეროვნული გმირები... ბევრი ხალხია ქართველთა დისკრედიტაციაში ჩართული. ახლა, მაგალითად, გვაუნყეს, რომ თურმე ცოტნე დადიანი არ იყო რეალური ფიგურა. დაიწყო ახალი ბრძოლა გიორგი სააკაძის წინააღმდეგ. ახლახან გარდაიცვალა ჭაბუა ამირეჯიბი და მთელი მოძრაობა ჩამოაყალიბეს, რომ ის იყო მოღალატე. თურმე უნდა გადავხედოთ ჩვენს ღირებულებებს, არადა, მსოფლიო აღიარებს მას. ჩვენ მივეციტო უამრავი მოღვაწე ქვეყნიერებას, მსოფლიო ცივილიზაცია გავამდიდრეთ...

- უკაცრავად, ჩაგერთვებით, თავად-აზნაურთა საკრებულო გეგმავს გამოფენის

მომზადებას, სახელწოდებით „დიდი ადამიანები, დიდი ქართველები - მსოფლიოს“.

- ღვინისა და ვაზის, მეტალურგიის, მედიცინის, უნიკალური ხორბლის, ფუტკრის, ცხვრის ენდემური ჯიშების სამშობლოა საქართველო. მან მრავალი ღვთისმეტყველი, წმიდანი, მხედართმთავარი, მეცნიერი, პოეტი... გაუზარდა მსოფლიოს: პეტრე იბერი, გიორგი და ექვთიმე მთაწმიდელები, დავით აღმაშენებელი, შოთა რუსთაველი, ოპიზრები, ქეთევან წამებული, ილია, ვაჟა-ფშაველა, გალაკტიონი, ელენე თარხნიშვილი, ბალანჩივაძე - მსოფლიო კულტურის მნათობები, უზნაძე, ვეკუა - თანამედროვეობის უდიდესი მათემატიკოსი, ივანე თარხან-მოურავი, რომელიც ფიზიოლოგიის ფუძემდებელი იყო... ასე რომ, ჩვენ გვყავს ეროვნული გმირები, გვაქვს ღირებულებები, რომლებსაც არავითარი გადახედვა არ სჭირდება. როგორ უნდა დავუპირისპირდეთ ამ შემოტევას? მხოლოდ პოპულარიზაციის გზით, ცოდნის ამალგების, ეროვნული შეგრძნების დამკვიდრების, აღზრდის გზით...

- საყდრისის უძველესი საბადო ააფეთქეს ახლახან, თანამედროვე ჰეროსტრატები კი მშვიდად ცხოვრებას განაგრძობენ...

- ისინი აუცილებლად ციხეში დაასრულებენ სიცოცხლეს. მათ ქართველი ხალხი დასჯის!

- თქვენ ახსენეთ ტრაგიკული 1921 წელი. მაშინ ერის დარაზმვაში უდიდესი როლი ჰქონდა თავადაზნაურობას: გენერალ კოტე აფხაზს, გიორგი ხიმშიაშვილს, შალვა ამირეჯიბს, ივანე ჯავახიშვილს, კონსტანტინე გამსახურდიას... 21 იანვარს გაიმართა დიდი კონფერენცია, რომელსაც ბევრი ადამიანი ესწრებოდა, მაგალითად, ნიკო ნიკოლაძე. მათ შექმნეს საქართველოს გადარჩენის

საინტერესო დოკუმენტი. არსებობს კოტე აფხაზის მოხსენება ფინანსების თაობაზე, საშუალო ფენაზე. თქვენ ბრძანეთ, რომ ეს თემა დღესაც აქტუალურია. ამ პატრიოტებს ებრძოდნენ, რადგან ისინი დარჩნენ საქართველოში და ისინი ქმნიდნენ ეროვნულ იდეოლოგიას. ეს ხალხი დახვრიტეს. ჩვენი სურვილია, რომ ეს გმირები წინ წამოვწიოთ. ჩვენს ლიცეუმში კი ვცდილობთ ბავშვები პატრიოტულად აღვზარდოთ, მაგრამ ჩვენი მცდელობა გმირების სახელების უკვდავ-საყოფად ზღვაში წვეთია.

- ეს დროებითია, ჩვენ აუცილებლად მივალწვეთ წარმატებას. ხალხმა არ იცის მათი ღვანლის შესახებ. ხალხს მთელი საბჭოთა კავშირის პერიოდში ეუბნებოდნენ და უმტკიცებდნენ, რომ თავადაზნაურობა, სამღველოება იყო დამნაშავე. ეს სიცრუეა. ფაქტია, რომ ისინი იბრძოდნენ ამ ქვეყნისთვის. სწორედ ამ ფენის მოსპობით იყო დაკავებული საბჭოთა კავშირი და ძალიან დიდ სიცრუეში დაარწმუნეს ხალხი. ჩვენ ყოველთვის ერთნი ვიყავით.

- კლასთა ბრძოლა გამოგონილი, შემოგდებული თემა იყო საქართველოში. გავიხსენოთ, თუნდაც ნათელ-მირონის, ძუძუმტეობის ინსტიტუტის არსებობა...

- რა თქმა უნდა, კლასობრივი დაპირისპირების თემა მარქსისტების მიერ იყო გავრცელებული. თუნდაც ვახტანგ მეექვსის კანონთა კრებულში თითოეული ადამიანის სისხლი იყო დაფასებული. ეს სწორედ მაშინ ხდება საქართველოში, როდესაც იმავე უფლებებისთვის იბრძვიან ინგლისში. საზოგადოების ნაწილმა შეიძლება არ იცის, მაგრამ კონსტიტუციურ მონარქიაზე, პარლამენტარიზმზე, რომელიც თამარის დროს ჩაისახა, სწორედ



გიორგი სააკაძემ განაახლა საუბარი. ასე რომ, ჩვენთან მსგავსი კლასობრივი დაპირისპირება არ არსებობდა და ეს საზოგადოებამ უნდა იცოდეს.

- ჩვენ, ბატონო დავით, თქვენი მეცადინეობით და საზოგადოების ინიციატივით, გამოვუშვით ალმანახი „სამეფო გვირგვინი“. თქვენ ბრძანეთ: „თავადაზნაურობა უნდა იდგეს ბრძოლის ველის წინა ხაზზე“. დიდი სურვილი გვაქვს გავხსნათ „გვართა მუზეუმი“. ეს უნდა იყოს ერის სულიერი საუნჯე. მრავალი გმირი ჰყავს თითოეულ გვარს. სწორედ მათი გაცოცხლება, ბრძოლაში ჩართვა ჩვენი სისხლის ყივილია. ბატონო დავით, ისევ 1921 წლის თემას, ანტიქართულ შეტევებს, მინდა მივუბრუნდე. ძალიან ბევრი ღალატის მონმე გავხდით იმ დროს. მაგალითად, ჩამობრძანდა ნოე ხომერიკი და აპირებდა მუსავატელებთან შეხვედრას. აღმოჩნდა, რომ ეს მუსავატელი ჩეკას თანამშრომელი იყო, მოლაღატეები ყველგან იყვნენ... ორჯონიკიძეზე აღარაფერს ვამბობ. 2021 წელს ბოლშევიზმის სისხლიანი ტერორის დამკვიდრების ასი წლისთავი აღინიშნება.

- მე დიდი იმედი მაქვს, რომ ამ დრომდე, 2016 წელს საქართველოს ხელისუფლებაში მოვლენ ეროვნული იდეოლოგიით გამსჭვალული პოლიტიკოსები; პატრიოტები ააღორძინებენ სამშობლოს, გააძლიერებენ ხალხს, რომელთათვისაც უმთავრესი იქნება საკუთარი ქვეყნის დაცვა.

- საქართველომ დაკარგა კავკასიის ღერძის ფუნქცია, ქვეყნის სულიერი მისია...

- ჩვენ დიდი ამოცანის წინაშე ვდგავართ: უნდა გადავირჩინოთ თავი, შევკრათ ქვეყანა, გადავრჩეთ ფიზიკურად. მერე მივხედავთ კავ-

კასიას - ჩვენს საერთო სახლს..

- მაგრამ, ალბათ, არ შეიცვლება მთავარი ვექტორი...

- ჩვენი პარტიის მთავარი ვექტორი ქართული ინტერესების დაცვაა ყველგან - ესაა ხალხის სურვილი, ესაა პოლიტიკური მიზანი და ღვთიური ნება!

- ბატონო დავით, თქვენ ამომწურავად ისაუბრეთ საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე. ენის კანონზე შევჩერდეთ. როგორ ფიქრობთ, ეს კანონი ისევ ფარატინა ქალაქად დარჩება? მოგეხსენებათ, როგორაა დაკნინებული ქართული ენა. დიდი ილია წერდა, რომ ენა ისტორიაა ერისა... სულხან-საბა ამბობდა, რომ ენა არის ლიტერატურის ძალა. ძალიან მომწონს ეს განმარტება. რას იტყოდით ამ კანონზე?

- ძალიან მიჭირს გიპასუხოთ, იქნება თუ არა ეს კანონი ფარატინა ქალაქი. თქვენი კითხვა ბევრ ასპექტს მოიცავს. ბოლო ათი წელი იყო პერიოდი ტოტალური გადაფასებისა. ძალიან ბევრი ნიჰილისტი გაჩნდა, რომელიც არაფერს ცნობდა. სწორედ ეს უნდა გავიაზროთ, რომ ჩვენს ქვეყანაში მორიგი „კულტურული რევოლუცია“ მოხდა. „კულტურულ რევოლუციონერებს“ აქვთ ზედაპირული ცოდნა, ისინი არავითარ ავტორიტეტს არ ცნობენ. ეს ხალხი ცდილობს ყველაფერი გადააფასოს, შეცვალოს. ისინი მოდიან ხელისუფლებაში, რათა მოსპონ ტრადიციული ღირებულებანი...

ანტიქართული იდეოლოგიის პროპაგანდისტების მიზანია, საბოლოოდ გადააფასონ, წაშალონ ეროვნული აზროვნების წესი. ამიტომ შეამცირეს ან მთლიანად ამოიღეს სკოლებში ქართული ენის, ლიტერატურის, ისტორიის, ჰაგიოგრაფიის, ფილოსოფიის, კლასიკოსების



სწავლება. ახალი თაობა აღარ იზრდება ქართული აზროვნების წესით. ეს დაიწყო ათი-თხუთმეტი წლის წინ და ჩვენ ახლა ვიმკით ამ შედეგებს. გაიზარდა ახალგაზრდა თაობა, რომელმაც არ იცის, ვინ არის ვაჟა - პოეტი, რომელიც სწორედაც არის ქართული ბუნების, ქართული ლიტერატურის თვითმყოფადობის საუკეთესო განსახიერება. ეს არის საკითხის ერთი მხარე და ის უნდა შეიცვალოს. არსებობს მეორე მომენტიც: ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრდა ყველაფრის შეცვლის მოდა. მაგალითად, განათლების საბჭოთა სისტემა, რომელიც ეფუძნებოდა გერმანულს და საკმაოდ ეფექტური იყო, უცხო ენების სწავლის გარდა, შეცვალეს მრავალი „ცრუ-ნოვატორული“ სქემით. არსებობს მეორე მეთოდიც: ვასწავლოთ მოსწავლეს აზროვნება, დამოუკიდებლად არჩევა. თავისთავად, ამაში ცუდი არაფერია, მაგრამ კლასიკური მეთოდებისა და ნოვაციების შერწყმა ვერ მოხერხდა. ჩვენ ჩავატარეთ ექსპერიმენტები, სწავლება-ათვისების პროცესი შევცვალეთ სუროგატული, ზედაპირული „მიღწევებით“, ტესტური მშრალი პასუხებით, უაზრო სქემებით და მივიღეთ უმეცარი, უნიგნური ახალგაზრდა თაობა, განათლების, ეროვნულობის, სიყვარულის გარეშე. საჭიროა სასწრაფო ცვლილებები. არსებობს მესამე საკითხი: მშობლიური ენის დაბინძურება, როცა ქართულის ნაცვლად ვიყენებთ სხვა ენის ლექსიკას. მაგალითად, ტელევიზიით ვისმენთ ფრაზას: „მოენყო ფართი“...

ჩვენ ვერ ვაკონტროლებთ ცხინვალს, აფხაზეთს და იქ ძალდატანებით მიმდინარეობს ქართული ენის გამოდევნა. ამ კონფლიქტის გადასაჭრელად, რომელიც ოცდამეხუთე წელია მიმდინარეობს, ჩვენმა ხელისუფლებამ

ვერაფერი გააკეთა. რაც შეეხება დევნილთა ინტერესების „დამცველს“ - პაატა ზაქარეიშვილს, მას არაფრის გაკეთება არ შეუძლია. იგი გასაოცარ განმარტებებს იძლევა, გამოგონილ, პრიმიტიულ კონცეფციებს აყალიბებს, რაც ხალხს სასაცილოდ არ ჰყოფნის. ოკუპირებულ ტერიტორიებზე სუფევს სრული განუკითხაობა - იდეენება ენა, ითელეა ღირსება, ნადგურდება რწმენა.

ჩვენ მძიმე, ძალიან მძიმე ათი წელი გვექონდა სააკაშვილის დროს. დააკვირდით: კონფლიქტი მოხდა ცხინვალში და რატომღაც, სააკაშვილის ბრძანებით, ჯარმა დატოვა კოდორის ხეობა, მაშინ როცა იქ არ იყო არავითარი საომარი მოქმედება და ამაზე არავინ ხმას არ იღებს და იქ შედიან რუსი სამხედროები. როგორ აიხსნება ეს? ძალიან მარტივად: ჩააბარა მტერს კოდორი! ჯერ დაარქვა ზემო აფხაზეთი და მერე ჩააბარა ეს ხეობა, წარმოუდგენელი ავანტიურის ხარჯზე. იქ უკვე დამთბარი იყო ურთიერთობანი. აფხაზეთში 2008 წლის 18 მაისს გახლდით და იქაც მიმდინარეობდა მსგავსი საუბარი. რატომ ვამბობ ამას? უნდა შეგახსენოთ ფაქტი, რომ ლენინმა რევოლუცია მოახდინა რუსეთის იმპერიაში და დღეს უკვე დადასტურებულია, რომ ის გერმანიის აგენტი იყო, მან სამოცდაათი მილიონი მიიღო ამ საქმეში. სააკაშვილი გახლავთ რუსეთის აგენტი, მაშინ როცა ამერიკელებს თავიანთი ჰგონიათ. ეს გენიალური ვარიანტია რუსეთისთვის. მან ჩააბარა ტერიტორიები რუსეთს, მაშინ როდესაც ამის არანაირი საფრთხე არ იყო. დააკვირდით: ამ პერიოდში „რუსთავი-2-მა“ ყველაფერი გააკეთა და ჩვენს ხალხს შეაზიზლა დასავლეთი. ახლა აგერ უკრაინას აშლევინებენ.

დღეს ნამდვილად გვაქვს კონფლიქტი...



მაგრამ საოცარია, რომ შუალამისას გადმოიბრუნეს ვილაც, დაარჯობს ჯოხს და ცვლის საზღვარს... ეს ყველაფერი მხოლოდ „რუსთავი-2-მა“ იცის. რატომ ხდება ეს? იმიტომ რომ რუსეთი „ნაციონალური მოძრაობის“ სახით კარგავს საუკეთესო აგენტურას... ამ გზით ცდილობენ „ნაციონალურ მოძრაობას“ გაუხანგრძლივონ, შეუნარჩუნონ სიცოცხლე. თუმცა ეს არ მოხდება. დაიშლება ეს პარტია და სამართლიანობის აღდგენის დროც მოვა. არსებობს უამრავი მიდგომა ჩვენი მოსახლეობის დასაცავად აფხაზეთში და ეს უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ. თუ არ ძალუძს, უნდა დატოვოს ხელისუფლება არჩევნების გზით. ჩვენ, ჩვენი პარტია, ვაძლევთ ხალხს პირობას, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში აფხაზეთშიც და ცხინვალშიც აღდგება საქართველოს იურისდიქცია...

...საუბარი, კამათი, პოლემიკა ყოველთვის უნდა იყოს სამართლიანი, შეჯერებული კონკრეტული. მე ვსაუბრობ ფაქტებით და ფაქტები მეტყველებენ დიდ ლალატზე, ქვეყნის ინტერესების გათვლავზე. ყოველი ნაბიჯი, რომელიც კი გადადგა სააკაშვილის ხელისუფლებამ, საზიანო იყო ქვეყნისთვის. ფაქტია, რომ დაინყო ომი ცხინვალში და ჩააბარა კოდორი და ამ ტრაგედიის გაანალიზება, საუბარი ყველა ეტაპზე აუცილებელია.

რაც შეეხება ამერიკის სტრატეგიას, მის პოლიტიკურ გეგმას, მე არ ვფიქრობ, რომ იქაურ დაზვერვაში სუპერჭკვიანი ხალხი ზის. 27-28 თებერვალს შეხვედრა მქონდა სწორედ დაზვერვისა და უშიშროების ყოფილ ხელმძღვანელებთან, სენატორებთან, კონგრესმენებთან. მარტო არ ვიყავი... ამ ხალხს ვეუბნებოდი, რომ რუსეთი აუცილებლად აიღებს ყირიმს და

ისინი არ იჯერებდნენ, მპასუხობდნენ, რომ რუსეთი თითო არ გაანძრევდა... სანამ იქიდან ჩამოვედით, რუსეთმა ყირიმი აიღო. ამერიკის სამხედროების სრულიად გაუაზრებელი ქმედებების შედეგად შეიქმნა ხალიფატი. არცერთი ფაქტი არ არსებობს მათი ქმედებების ეფექტური სტრატეგიისა.

- ბატონო დავით, თავადაზნაურობის სულიერი მისია ყოველთვის იყო მეფის, ქვეყნის, ერის, ქრისტიანობის დაცვა. ბოლშევიკების რეჟიმმა უკუაგდო ჩვენი მუდმივი მიზნები. ამჟამადაც ჩვენ ვიბრძვით ჩვენი ღირებულებების პოპულარიზაციისათვის. ქილიკის მიუხედავად, ვაგრძელებთ ბრძოლას: დავაარსეთ ლიცეუმი, გამოვეცით ორტომეული „საქართველოს თავადაზნაურობა“, აღმანახი, ვმართავთ კონფერენციებს... ჩვენი საკრებულო თავდაუზოგავად მუშაობს ერის ღირსების აღსადგენად, შეგნებული დაკნინების წინააღმდეგ. რას იტყვით, ბატონო დავით? რას ეტყვით ქართველებს სოხუმსა და ცხინვალში?

- ჩვენ, ყველას, ვინც ამ ტერიტორიაზე ვსახლობთ, ყველას გენეტიკურად ერთი წინაპარი გვყავდა, ერთი და იგივე გენეტიკა გვაკავშირებს ჩვენ, აფხაზებს, ლაზებს... ჩვენ არასდროს დაგვიპყრია სოხუმი, ყოველთვის იქ ვცხოვრობდით, ისევე როგორც ისინი. ძირძველი მოსახლეობა ვართ ჩვენც და ისინიც, ვისაც თავი აფხაზად მიაჩნია და არა ქართველად... მინდა კიდევ ერთი თემა წამოვწიო წინ - თავადაზნაურობის ეროვნული თავგანწირვის, თავდადების თემა. რუსეთში მუდამ იყო ეს დაპირისპირება ხალხსა და თავადაზნაურობას შორის. ეს არ მომხდარა არასდროს საქართველოში... დღესაც კი ხალხი პატივისცე-



მით ეპყრობა ამ გვარების წარმომადგენლებს, იმიტომ რომ იცის მათი დამსახურება ხალხისა და ქვეყნის წინაშე. თავადაზნაურობა სისხლს ღვრიდა ერისა და სამშობლოს დასაცავად და არასდროს დაზოგავს თავს...

1918 წელს კოტე აფხაზისა და დავით ნიჟარაძის თაოსნობით, თავადაზნაურობის მთელი ქონება გადაეცა ქართველ ერს. ეს მსოფლიოში უპრეცედენტო ფაქტი არ არის ჯეროვნად შეფასებული. 26 000 ოქროს რუბლის ფასეულობა, ანუ 8 მლნ ფრანკის ქონება: ბანკები, გიმნაზიები, ბიბლიოთეკები, მუზეუმები, კახეთის რკინიგზა გადაეცა ქართველ ერს.

- ბატონო დავით, რა ფუნქცია აქვს თავადაზნაურობას XXI საუკუნეში? რას იტყვით კონსტიტუციურ მონარქიაზე?

- საქართველოში ხალხს მეფისთვის თავი არ მოუკვეთია. ქართული მონარქიზმის ერთ-ერთი თავისებურებაა ის, რომ მონარქიისა და ეროვნული იდეალების, სახელმწიფოებრიობის საოცრად შერწყმული, ჰარმონიული სინთეზი იყო. მეფე და ხალხი, ერი და ბერი, სამღვდლოება, თავადაზნაურობა ერთ მუშტად იკვრებოდა რწმენის, სამშობლოს, ქვეყნის დასაცავად. რუსეთის იმპერიამ 1801 წელს გააუქმა სამეფო, ორ გუბერნიად გაყო და ძალადობრივად მიიერთა. XIX ს.-ში თავადაზნაურობასა და სამ-

ღვდლოებას გამოაცალეს მთავარი ფუნქცია ქვეყნის დაცვისა და მართლმადიდებლობის განმტკიცებისა. დღეს ჩვენ უცილობლად უნდა გავაგრძელოთ თავადაზნაურობის ფუნქცია მეცნიერულ-ინტელექტუალური, ზნეობრივი ფენისა, უნდა შევინარჩუნოთ ქართველი თავადაზნაურობა, როგორც ისტორიის ნაწილი. მინდა გითხრათ, რომ ჩვენ ვამზადებთ კლიპებს ქართულ გვარებზე. გვსურს, რომ ხალხმა კიდევ ერთხელ ირწმუნოს, რომ გმირები გვყავდა და დღესაც არიან ყველგან... უნდა მოვიცვათ ყველა გვარი (25 000) და გავუშვათ კლიპები ტელევიზიით... გავიხსენოთ, ჩვენ გვაქვს საინტერესო ისტორია და ბევრისთვის ეს აღმოჩენა იქნება, მითუმეტეს, დღეს, როდესაც განათლების დონემ ქვეყანაში იკლო...

რაც შეეხება კონსტიტუციურ მონარქიას, საუბარი ჯერ ნაადრევია, საზოგადოება ახლა არ არის ამისთვის მზად. ამ მხრივ ჯერ სხვა ამოცანები გვაქვს გადასაწყვეტი, უნდა აღვადგინოთ ქვეყნის მთლიანობა და უნდა შევძლოთ შევქმნათ ისეთი ვითარება, რომ ხალხმა გაიხაროს ამ ქვეყანაში... ჯერ ეს ბრძოლა გვაქვს მოსაგები...

*„ობიექტივის“ ტელეგადაცემების
ჩანაწერების მიხედვით
ია ბაბრატიონ-მუსხრანელი*

გვარები

თავადი თანხან - მოურავი

(თარხნიშვილები, მოურავიშვილები)

(გაგრძელება)



თარხან-მოურავთა გერბი
(თარხნების შტო)

მოურავობა და თარხნობა

1604 წლის დასაწყისში შაჰ-აბას I-მა ალყაშემორტყმული ერევნის ციხისას აღებად სომხეთში დაიბარა ქართლ-კახეთის მეფენი - გიორგი X და ალექსანდრე II. ალყა ცხრა თვეს გაგრძელდა და 1604 წლის 9 ივნისის ციხის აღებით დასრულდა. ბრძოლებში თავი გამოიჩინა და საყოველთაო აღტაცება გამოიწვია გიორგი სააკაძემ, რის გამოც გიორგი X-მ დიდებული თავადის ტიტული უბოძა **პლატონ იოსელიანი. დიდი მოურავი გიორგი სააკაძის ცხოვრება. თბილისი, 1973, გვ. 14-15; დ-14418 კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი; საქართველოს ისტორიის საზოგადოების მოამბე, IV, 1962, გვ. 253.** ერევნიდან დაბრუნებული სააკაძე განდგომილ დვალელებსა და ოვსებს აშოშმინებს და ცხინვალის, დვალეთისა და ოვსეთის მოურავი ხდება. ცოტა ხანში კი ჯერ თბილისის მოურავობას და შემდეგ სრულიად ქა-

რთლის მოურავობასაც ითავსებს. ამ დროიდან სააკაძის შვილები (და ხშირად შთამომავლებიც) მოურავიშვილებად იწოდებოდნენ. ზემოთქმულს ვახუშტი ბატონიშვილიც ადასტურებს: „**მოურავისშვილი არს სააკაძე და მეფისაგან გამთავრებული**“.

1605 წლის 7 ნოემბერს უეცრად გარდაიცვალა გიორგი X და ტახტზე მისი ვაჟი - ლუარსაბ II ავიდა. ამ დროისათვის გიორგი სააკაძე ქართლის უძლიერესი დიდებულია, რასაც ვახუშტი ბატონიშვილიც ადასტურებს: „**ამ ჟამებთა შინა განმკვიდრებულ იყვნენ მთავარნი და დაეპყრათ ხევნი და ხეობანი თვისად და უმეტეს ყოველთა სააკაძე გიორგი, მოურავი თფილისისა, ქცხინვალისა და დუალეთისა**“. იმავეს ამბობს ბერი ეგნატაშვილი: „**ამ ჟამში გამდიდრებული იყო ქართლის მოურავი სააკაძე გიორგი, რომელი იყო მოურავი ტფილისისა, და ესრეთ გამდიდრებულიყო, რომე შემდგომად მეფისა იგი იყო**“.

1619 წელს ქართლის ტახტზე სიმონ II ავიდა. მისი ვექილ-მეურვე და მრჩეველი, დიდი მოურავი გიორგი სააკაძე კი ქვეყნის ფაქტობრივ გამგებლად იქცა. ამ დროიდან ქართლის დიდებულები და თავადაზნაურობა დიდ მოურავს ემორჩილებოდნენ. დიდი მოურავის „უფროსობის“ გასამყარებლად და აღმატების დასადასტურებლად 1622 წელს აბას I ანიჭებს დიდ მოურავს **თარხნის** ტიტულს, რომელიც დიდებულთა დარბაზის (მეჯლისის) წინამძღოლობასა და სხვა პრივილეგიებსაც გულისხმობდა: 1) გვარის უფროსი შთამომავლობით მეჯლისის თარხანია; 2) იგი გათავისუფლებულია პასუხისმგებლობისაგან ცხრა დიდი დანაშაულისათვის; 3) იგი თავისუფალია გადასახადებისაგან ცხრა თაობაში; 4) იგი არ იხდის საომარი ნადავლის მეთაედს; 5) ის უნებართვოდ შედის მეფეთ მეფესთან საათათ-

ბიროდ; 6) მას ცხრა ჭიქა ღვინოს უწვდის მეფეთ მეფე სუფრაზე; 7) ლაშქრობისას იგი მეფეთ მეფის გვერდზეა; 8) მეფის ქალიშვილის გარდა, მას ნებისმიერი ქალი მოჰყავს ცოლად, მამის თანხმობის გარეშე; 9) მისი პატივი და დიდება ცას გაუტოლდება ცხრა სახის საჩუქრით.

მარტყოფის გამარჯვების შემდეგ დიდი მოურავი ქართლის სამეფოს ერთპიროვნულად მართავდა და ამიტომ ზოგიერთ წყაროში მოხსენიებულია, როგორც ხელმწიფე და ქართლის მთავარი. ვახუშტი ბატონიშვილის თქმით, „იყო მოურავი მოქმედი ყოვლისა და მორჩილებდეს მას ყოველნი ყმურად“. მეტიც, ქართლის ფეოდალები და მოსახლეობა დიდ მოურავს ტახტსა და გვირგვინსაც სთავაზობდნენ, მაგრამ მან უარი თქვა.

იორამ I თარხანი

წელს როსტომ მეფემ დიდი მოურავის შვილიშვილს - იორამს განუახლა თარხნობა და მას შემდეგ თარხნის ტიტულს ატარებდა თარხან-მოურავთა გვარის უფროსი. როსტომ მეფე იორამს მეჯლისის თარხანს უწოდებს: მეჯლისის, ანუ დარბაზის (იგივე სამეფო საბჭოს) წევრები სახელმწიფოს უმაღლესი თანამდებობის პირები და ქვეყნის დიდებულები იყვნენ. მეჯლისის თარხანი დარბაზის, ანუ სამეფო საბჭოს, მმართველია.

ფეშანგის ხითაროშვილი ახასიათებს იორამ თარხანს, როგორც ბრძენს და პლატონთან სადარს, სახელოვანს და მამაცს, მიმტვევებელსა და თავმდაბალ წინამძღოლს ქართლის მთავართა.

იორამი გიორგი სააკაძის უფროსი ვაჟის - ავთანდილისა და იმერეთის მეფის გიორგი III-ის ქალიშვილის - ხვარამზეს შვილი იყო (თუმცა ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ იორამი გიორგი სააკაძისა და მარეხ არაგვის ერისთავის უმცროსი შვილი იყო). მცირეწლოვან იორამს გიორგი III-ის სახლთუხუცესის თანამდებობა ეკავა, თუმცა მართვაში მას მრჩეველები ეხმარებოდნენ. მოგვიანებით იგი ერზურუმის მმართველად იხსენიება, ხოლო შემდეგ, როსტომის მეფობაში, ქართლში ბრუნდება.

საბუთებში იორამი მეჯლისის თარხნადაც იხსენიება, თბილისის მოურავადაც და სამეფო სადროშოს სარდლადაც. იგი ძალზე გავლენიანი სახელმწიფო მოღვაწეა: მან ბევრი იღვანა, რათა მისი ღვიძლი მამიდაშვილი, ვახტანგ მუხრანბატონი, როსტომ მეფეს თავის მემკვიდრედ დაესახლებინა; ბევრი იღვანა, რათა როსტომის სიკვდილის შემდეგ ვახტანგ V გამეფებულიყო; ბევრი იღვანა, რათა არჩილ II ჯერ იმერეთში, ხოლო შემდეგ კახეთში გამეფებულიყო **[ხელნაწერები Hd-14449, Hd-2274, Hd-1305a, Hd-144778, Hd-2545 და სხვა, კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი.**

ფეშანგის ცნობით, როცა იორამ თარხანი გარდაიცვალა, ვახტანგ V დიდად შენუხდა, „შავი“ ჩაიცვა და დიდხანს იმარხულა.

სათარხნო: დედაქალაქი, სოფლები, საგვარეულო ციხესიმაგრეები

სათარხნო ქართლ-კახეთის უმსხვილეს სამთავრო-სათავადოთა რიცხვში შედიოდა. სათარხნოში 94 სოფელი იყო. წითელქალაქი (დღევანდელი ახალქალაქი კასპის რაიონში) სათარხნოს პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცენტრი იყო.

გარდა ამისა, თარხან-მოურავები ფლობდნენ ყმა-გლეხს ოვსეთ-დვალეთში; ისინი ყველაზე მსხვილი მეპატრონეები იყვნენ ცხინვალში.

ჯამში თარხან-მოურავები ფლობდნენ 3500-ზე მეტ კომლ გლეხს, თუმცა ლუკა თარხან-მოურავი შესამჩნევად უფრო დიდ ციფრს ასახელებდა - 4934 კომლს.

საგვარეულო ციხესიმაგრეები იყო:

- 1) წითელქალაქის (ახალქალაქის) ციხე, ოთხსა თულიანი კოშკებით, სასახლითა და ეკლესიით;
- 2) ნოსტეს ციხე, ექვსსართულიანი კოშკებით, სასახლითა და ორი ეკლესიით;
- 3) ფელის ციხე, შვიდსართულიანი კოშკებით, სასახლითა და ეკლესიით;
- 4) კიკნათბერის ციხე, ოთხსართულიანი კოშკებით;
- 5) ცხირეთის ციხე (XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან), კოშკებითა და ეკლესიით;
- 6) კავთისხევის ციხე (კავთისხევის ციხისუბანში). მცირე ხანს (სულ 2 თაობა) თარხან-მოურავებს ეკუთვნოდათ აჩაბეთის ციხეც.



ნა. დიდმონამე ევსტათი პლაკიდა — თარხან-მოურავთა გვარის მფარველი

სათარხნოს აზნაურები

თარხან-მოურავთა აზნაურები იყვნენ: ცალქა-ლამანიძე, ჩივაძე, ჯაჯანაშვილი, ჯავარაშვილი, კარგარეთელი, თუხარელი, აბულვარდიშვილი, ჭონაშვილი, გოგიბაშვილი, მამაცაშვილი.

საგვარეულო ტაქრები

თარხან-მოურავთა საგვარეულო საძვალეს 15 ტაძარი წარმოადგენდა:

- 1) ერთანმინდის დიდმონამე ევსტათი პლაკიდა რომაელის სახელობის საკათედრო ტაძარი;
- 2) ერთანმინდის ხუცუბნის მღვდელმონამე თევდორე კველთელის სახელობის ეკლესია (ამჟამად აღდგენილია მცირე სამლოცველოს სახით);
- 3) ნოსტეს ყოვლადწმიდა სამების სახელობის ეკლესია;

- 4) ნოსტეს ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესია;
- 5) ნოსტეს წმიდა სტეფანეს სახელობის ეკლესია (სადგომი კორუმტყე);
- 6) ფავნინის დიდმონამე გიორგის სახელობის ეკლესია;
- 7) ახალქალაქის (წითელქალაქის) ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესია;
- 8) ახალქალაქის (წითელქალაქის) ეკლესია (ამჟამად მღვდელმონამე თევდორე კველთელის სახელობის);
- 9) ახალქალაქის (წითელქალაქის) წმიდა დავით გარეჯელის სახელობის ეკლესია (ამჟამად აღარ არსებობს);
- 10) გუდალეთის დიდმონამე ევსტათი პლაკიდა რომაელის სახელობის ეკლესია;
- 11) კავთისხევის დიდმონამე გიორგის სახელობის ეკლესია (სავარაუდოდ, ძღვევის ქედის ტაძარი);
- 12) სახდიდისის ეკლესია (აღარ არსებობს);
- 13) არაბეთის დიდმონამე ევსტათი პლაკიდა რომაელის სახელობის ეკლესია (აღარ არსებობს), მდებარე არაბეთის ციხეში, რომელიც მცირე ხანს (2 თაობა) ეკუთვნოდა თარხან-მოურავებს;
- 14) ლისის დიდმონამე ევსტათი პლაკიდა რომაელის სახელობის ეკლესია (ამჟამად აღდგენილია მცირე სამლოცველოს სახით);
- 15) ლისის დიდმონამე გიორგის სახელობის ეკლესია (ამჟამად აღდგენილია მცირე სამლოცველოს სახით).

ქვაბთახევის მონასტერი

ქვაბთახევის მონასტერი ერთადერთი იყო საქართველოში, როდესაც ტაძარში შესვლისას ფეხზე იხდიდნენ პატივსაცემად თემურლენგის მიერ აქ ცოცხლად დამწვართა დედათა და მამათა, რომელთა სხეულთა კვალი აღიბეჭდა და, ვახუშტის თქმით, „ჩანს დღესაც იატაკსა ზედა ხელნი, ფერხნი, თავნი და გუამნი. არავინ შევალს ფერხცმული, არამედ ფერხშიშუელნი, სინმიდისათვის“. ქვაბთახევის მონასტრის მნიშვნელობაზე ისიც მეტყველებს, რომ რელიგიური დღესასწაულების დროს პატრიარქის შემდეგ სხვა მონასტრების წინამძღვრებზე წინ ქვაბთახევის მონასტრის წინამძღვარი მოდიოდა.

ჯერ სააკაძეები და შემდეგ თარხან-მოურავები ყოველ თაობაში ერთ-ერთ ვაჟს ქვაბთახევის მონასტერს მიაბარებდნენ ხოლმე, რათა იგი ბერად

აღზრდილიყო. დიდი მოურავის ვაჟი დავითი და მოგვიანებით იორამ I თარხანის ვაჟი - ქრისტეფორე ამ მონასტრის წინამძღვრები იყვნენ. მეფე გიორგი XI ასეთ სიგელს აძლევს გიორგი I თარხანს: „**თქვენს სახლში თქვენი სახლობელი ბერი არ გამოსწყვიტოთ. ჩვენ იმისი წინამძღვრობა თქვენის სახლიშვილის მეტს არავის მივსცეთ და არც მოგიშალოთ რომელიც ბერი თქვენის სახლისა წინამძღვრად იქადაგებოდეს**“ [ხელნაწერები დ-2418 და დ-1969 კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი. მოყოლებული 1676 წლიდან, ვიდრე რუსეთმა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია არ გააუქმა, ქვაბთახევის მონასტრის თითქმის ყველა წინამძღვარი თარხან-მოურავი იყო.

სამხედრო სფერო

თავად თარხანს და მის აზნაურებს პირველ დაძახებაზე (ანუ ნახევარ დღეში) 600 მხედარი გამოჰყავდათ.

XV საუკუნეში ქართლში 4 სადროშო ჩამოყალიბდა: მენინავე, რომელსაც სარდლობდნენ ბარათაშვილები, რომლებიც შემდეგ ჯამბაკურ-ორბელიანებმა ჩაანაცვლეს, მემარჯვენე, რომელსაც სარდლობდნენ ამილახვრები, მემარცხენე, რომელსაც სარდლობდნენ მუხრანბატონები და მეოთხე, იგივე დამასრულებელი, იგივე მეფის სადროშო, რომლის სარდალსაც თვით მეფე ნიშნავდა (ძირითადად, ციციშვილებს ან თარხან-მოურავებს). XVII და XVIII საუკუნეებში სამეფო სადროშოს თარხან-მოურავები 5-ჯერ სარდლობდნენ. სამეფო სადროშოს უკანასკნელი სარდალი ლუარსაბ II თარხანი იყო.

ერეკლე II-ის სამხედრო რეფორმების ფარგლებში:

- არტილერიას სათავეში ჩაუდგა გიორგი II თარხანი (და ყველაზე გავლენიანი სამხედრო თანამდებობა დაიკავა ქართლ-კახეთში);
- საყარაულო (სასაზღვრო) ჯარს სათავეში ჩაუდგა იოანე თარხან-მოურავი;
- რვა მორიგე ათასეულიდან სამს სათავეში ჩაუდგნენ ლუარსაბ, დავით და დემეტრე თარხან-მოურავები.

XIX-XX საუკუნე: საინტარესო ინფორმაცია

თავადი დემეტრე თარხანიშვილი 1795-1798 წლებში ხელმძღვანელობდა ალასკას აბორიგენი

მოსახლეობის (ინდიელების) შემსწავლელ პირველ ევროპულ სამეცნიერო ექსპედიციას.

გიორგი თარხან-მოურავი პირველი ქართული სახელმძღვანელოების ავტორია მათემატიკაში. 1800 წელს მან დანერა სამი სახელმძღვანელო: „არიტმეტიკა“, „გეომეტრია“ და „არიტმეტიკის გამოყენება სავაჭრო საქმეში“.

ლუკა და თამარ თარხან-მოურავების სახლში 1854 წელს ამოქმედდა საყოველთაო განათლების პირველი ჯგუფი, რომელიც 1881 წელსაც მოქმედებდა. სხვადასხვა დროს ჯგუფს სტუმრობდნენ ელისაბედ (კეკე) თარხანიშვილი (ალექსანდრე ყაზბეგის დედა), ნიკო ავალიშვილი, ვანო სარაჯიშვილი, ვასო აბაშიძე, ვალერიან გუნიან, ეკატერინე გაბაშვილი (ქალიშვილობაში - თარხანიშვილი), ილია ჭავჭავაძე (რომელიც გიორგი თარხან-მოურავის შვილის ნათლია იყო) და სხვანი. აქ ხშირად საუბრობდნენ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების შექმნის აუცილებლობაზეც (როგორც ცნობილია, ამ იდეამ ხორცი შეისხა 1879 წლის მარტში).

სოფიო და გიორგი თარხან-მოურავებმა 1870 წელს პეტერბურგში დააარსეს პირველი კავკასიური საგან-



თავადიშვილები:
ნინო თარხან-მოურავი, მარიამ
ორბელიანი, ნინო ქობულაშვილი



თავადიშვილი ეკატერინე თარხან-მოურავი - „თეთრი გედი“

მანათლებლო ცენტრი. 1891-1894 წლებში კი გიორგი იყო ილია ჭავჭავაძის მიერ დაარსებული პირველი ქართული საადგილმამულო ბანკის დირექტორი.

ივანე თარხან-მოურავოვმა 1889 წელს პირველმა აღწერა კანის გაღვანური და ფსიქოგაღვანური რეფლექსები, მისი აღმოჩენა მსოფლიო ლიტერატურაში „თარხანოვის ეფექტის“ სახელწოდებითაა ცნობილი. 1896 წელს მან პირველმა შეისწავლა რენტგენული სხივების მოქმედება ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე. ალექსანდრე დიუმე თავის მოგზაურობის წიგნ „კავკასიაში“ ხატოვნად აღწერს შეხვედრას გენერალ-მაიორ რამაზ თარხან-მოურავთან და მის 12 წლის ვაჟთან - ივანესთან, რომელმაც გააოცა დიუმე ცოდნითა და განათლებით.

ალექსანდრე თარხნიშვილმა 1890-იან წლებში, ილია ჭავჭავაძის თხოვნით, შექმნა შოთა რუსთაველის პირველი ბარელიეფური ქანდაკება. აქვე აღვნიშნავთ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ აღდგენაში უდიდესი როლი ითამაშა „ვეფხისტყაოსნის“ თარხან-მოურავისეულმა ხელნაწერმა.

ელენე თარხნიშვილი „ლა სკალას“ პირველი ქართველი სოლისტი იყო. 1908 წლიდან მღეროდა მილანის ოპერის „ლა სკალას“ სცენაზე; მიწვეული იყო და ნამღერი აქვს ევროპისა და ამერიკის ყველა

„დიდ“ სცენაზე.

ეკატერინე თარხან-მოურავმა 1906 წლის 1 მაისს პარიზში გაიმარჯვა ევროპის არისტოკრატთა პირველ კონკურსში - „ყვავილებისა და სილამაზის ზეიმი“. მოხიბლულმა ევროპულმა არისტოკრატებმა ეკატერინეს „თეთრი გედი“ შეარქვეს. მეორე ადგილი ავსტრიის პრინცესამ დაიკავა.

მარიამ (მარო) და ეკატერინე თარხნიშვილებმა 1910 წელს ჩამოაყალიბეს ქართული ხალხური სიმღერის პირველი მუდმივმოქმედი ანსამბლი, რომელმაც 59 წელი იარსება.

ნინო, მარიამ, ნადეჟდა და ვერა თარხან-მოურავებმა 1918-1922 წლებში შეიმუშავეს ქართული სტენოგრაფიის სისტემა.

მიხეილ (მიქელ) თარხნიშვილმა 1951-1958 წლებში პირველმა წაიკითხა V საუკუნის ძველქართული წარწერები პალესტინის ტაძრებში.

გიორგი (ჟოჟო) თარხნიშვილის „მეთოდითა“ და უშუალო მონაწილეობით 1940 წელს წყალქვეშა ნავმა პირველად გადაკვეთა კვარკენის სრუტე ყინულქვეშ. მანვე შეიმუშავა ყინულის გაჭრის (გაკვეთის) ტექნოლოგია წყალქვეშა ნავებისა და გემებისათვის.



დიდი მოურავის სასახლე სტამბოლში

ТАРХАН-МОУРАВИ - грузинский княжеский род, относящийся к высшей феодальной касте Грузии - дидебулам. Представители старшей ветви князей Тархан-Моурави являются потомками последнего грузинского царя Георгия XII. Общим предком князей Тархан-Моурави является выдающийся государственный деятель и полководец, национальный герой Грузии Георгий Саакадзе, более известный в истории как Великий Моурави. Князья Тархан-Моурави являются единственными прямыми потомками Великого Моурави. В свою очередь, Великий Моурави принадлежал к угасшей ветви князей Саакадзе-Моурави, которые являлись потомками эмира Тбилиси - Исхака ибн-Исмаила ибн-Шуаба (эмир Сахак) из династии Омейядов.

Первым князем Тархан-Моурави и фактическим основателем фамилии является предводитель совета (меджлиса) дидебулов – Иорам I Тархан. Иорам был внуком Великого Моурави и Царя Имеретии Георгия III-го (по другой версии он был сыном Великого Моурави).

Тархан – это и титул и должность, которые наследовал лишь глава рода. Тархан руководил работой (обеспечивал деятельность) совета дидебулов. Моурави это, по сути, губернатор. Моуравами Тбилиси, а также Двалети, в основном, были представители рода Тархан-Моурави.

В полном или частичном владении князей Тархан-Моурави находились 107 населенных пунктов, более 3500 крестьянских семей (по другим данным 4934 крестьянских семей), 7 крепостей (замков), 15 фамильных церквей. В вассальной зависимости от князей Тархан-Моурави находились 10 дворянских родов. По первому зову (в течении 6 часов) князь Тархан-Моурави выводил 600 всадников. Для масштабов Грузии это очень впечатляющие цифры.



THE TARKHAN-MOURAVI PRINCES (TARKHNISHVILI, MOURAVISHVILI)

Tarkhan-Mouravi is the Georgian Princely Family, which belongs to upper feudal caste of Georgia – Didebuli. Representatives of the senior branch of the Tarkhan-Mouravi Princes are the descendants of the last Georgian King George XII. The common ancestor of the Tarkhan-Mouravi Princes is an outstanding statesman and military leader Giorgi Saakadze - the national hero of Georgia, better known in history as the Grand Mouravi. The Tarkhan-Mouravi Princes are the only direct descendants of the Grand Mouravi. And the Grand Mouravi belonged to an extinct branch of the Saakadze-Mouravi Princes, who were the descendants of the Emir of Tbilisi – Ishaq ibn Ismail ibn Shuaba (the Emir Sahak) of the Umayyad Dynasty.

Ioram Tarkhan I, the leader of the Council (the Majlis) of Didebuls, is the first Prince Tarkhan-Mouravi and the actual founder of the family. Ioram was the grandson of the Grand Mouravi and of the King of Imereti George III (according to another version, he was the son of the Grand Mouravi).

Tarkhan – is both title and position, which were succeeded only by the head of the family. Tarkhan supervised the work (secured activity) of the Council of Didebuls. Mouravi is, in fact, the governor. And mainly the representatives of the Tarkhan-Mouravi family were the Mouravs of Tbilisi and Dvareti.

The Tarkhan-Mouravi Princes were in full or partial possession of 107 settlements, more than 3,500 peasant families (according to other sources, 4934 peasant families), 7 fortresses (castles) and 15 family churches; 10 noble families were in vassalage to the Tarkhan-Mouravi Princes. On the first call (within 6 hours) Prince Tarkhan-Mouravi moved out 600 riders. For the scales of Georgia, these numbers are very impressive.



ეს ლომი სიმბოლურად განასახიერებს თავად თარხან-მოურავს. მას ყარყუმის ბეწვი აქვს, მარცხენა ხელში უკავია მოურავის კვერთხი; მარჯვენაში - სარდლის ხმალი. ფარზე გამოსახულია ცხრაქიმიანი ვარსკვლავი, რომელიც თარხნის ცხრა პრივილეგიას განასახიერებს.



ინაშვილები

ისტორიული საბუთები ცხადყოფენ, რომ ინაშვილები გოგოჭურთა განშტოებაა. გოგოჭურები კი ძირძველი ხევსურები არიან. 1386 წელს თემურ-ლენგმა თბილისი აიღო და მეფე ბაგრატ V ყარაბაღში წაიყვანა ტყვედ. ტყვეობაში ბაგრატი მოჩვენებით გამაჰმადიანდა, თემურ-ლენგის ნდობა მოიპოვა და აღუთქვა: ლაშქარი გამაყოლე, მთელ საქართველოს გაგიმაჰმადიანებ და ფეხქვეშ გაგიგებო. ხანმოკლე ფიქრის შემდეგ თემურ-ლენგი დასთანხმდა. ბაგრატი საქართველოში გამოუშვა და თან 12-ათასიანი ლაშქარიც გამოაყოლა. ტყვეობაში ბაგრატს უახლოესი გარემოცვა ახლდა, მათ შორის იყვნენ თბილისის ციხისთავი დონა სააკაძე და მრჩეველი რუსა ეგნატაშვილი. ბაგრატმა რუსა ეგნატაშვილი საიდუმლოდ აფრინა თბილისს, მცველად კი დონა სააკაძის უმამაცესი თანამებრძოლი, ღვთისო გოგოჭური გააყოლა და თან დააბარა: ბატონიშვილი გიორგი ჩასაფრებული ლაშქრით დამხვდეს და მტერი ერთად გავანადგუროთო. რამდენიმე დღეში ეგნატაშვილი და გოგოჭური ღრმა აზვირთებულ მდინარეს მიადგნენ, რომლის გადალახვაც შეუძლებელი აღმოჩნდა. მხედრები მზის ჩასვლამდე გადასასვლელს ეძებდნენ, მაგრამ ამაოდ. ღამე ძილში ღვთისო გოგოჭურს სამი წმიდანი გამოსცხადებია და უთქვამთ: „ჩვენ ვართ ინასი, პინასი და რიმასი, ქრისტესთვის მდინარესა შინა წამებულნი“. შემდეგ ინასმა განაგრძო: აღმა, ნახევარი დღის სავალში, მეჩხერზე გადახვალთ მდინარესო. ასეც მოიქცნენ: მდინარეც გადალახეს, თბილისსაც ჩააღწიეს, ბატონიშვილ გიორგის ამბავიც ჩაუტანეს, მტერსაც სძლიეს და მეფე ბაგრატიც დაიხსნეს. ამ ამბის შემდეგ ორი წელიც არ გასულა და ღვთისო გოგოჭურს ვაჟი შეეძინა, თანაც 20 იანვარს, ამ წმიდა ინასის, პინასის და რიმასის ხსენების დღეს. ღვთისომ ვაჟს ინასი დაარქვა, რაც ბერძნულად „ბოზოქარ დინებას“ ნიშნავს. სწორედ ამ ინას გოგოჭურის შთამომავლები გახლავთ ინაშვილები.

საგულისხმოა, რომ დიდი მოურავი გიორგი სააკაძე დონა სააკაძის შთამომავალი ყოფილა მეშვიდე





თაობაში. როცა გიორგი სააკაძეს ნუგზარ არაგვის ერისთავის ქალიშვილი - მარეხი შეურთავს ცოლად, მარეხის ამაღლაში ინას გოგოჭურის შთამომავალი - იოანე ინაშვილი ყოფილა, რომელიც შემდგომ დიდი მოურავის უახლოესი თანამებრძოლი გამხდარა. იგი დიდი მოურავის მხარდამხარ იბრძოდა, სხვერტისჭარის, ტაშისკარის, დვალეთის, მარტყოფის, მარაბდის, თბილისის, ლისის და სხვა ომებში და არაერთხელ გადაჰფარვია თავად დიდ მოურავსაც. იოანე ინაშვილის გმირობასა და მამაცობას ხოტბას ასხამს არაერთი ისტორიული წყარო.

საინტერესოა, რომ ამ იოანე ინაშვილის შთამომავალია ცნობილი ჟურნალისტი ირმა ინაშვილი და საინტერესოა ასევე, რომ ირმა ინაშვილი უახლოესი თანამებრძოლ-

ია დავით თარხან-მოურავისა, რომელიც, თავის მხრივ, გიორგი სააკაძისა და ერეკლე II-ის შთამომავალია. XV საუკუნეში ინაშვილებმა ხევსურეთიდან მთიულეთს დაინყეს ჩამოსვლა და XVI საუკუნეში ანანურის თემის სოფელ ქაისხევეში დამკვიდრდნენ, XVII საუკუნეში კი რამდენიმე ოჯახი კახეთში გადავიდა. დღეისათვის მკაფიოდაა გამოკვეთილი ინაშვილთა მთიულური და კახური შტოები. ამჟამად საქართველოში 700-ზე მეტი ინაშვილი ცხოვრობს, ძირითადად, თბილისში, დუშეთსა და სიღნაღში.

გოგოჭურების საგვარეულო სალოცავია ხახმატისჯვარი, იგივე ზენაჯვარი, რომელიც მდებარეობს პირაქეთა ხევსურეთში, ბარისახოს თემის სოფელ ხახმატის განაპირას. სალოცავი მცირე ზომისაა, მაგრამ მას კოშკი ამშვენებს. გასაბჭოებამდე ამ სალოცავში დღესასწაულებზე გოგოჭურებიც ადიოდნენ და ინაშვილებიც. გარდა ამისა, ინაშვილები ყოველწლიურად სულთმოფენობის მომდევნო ოთხშაბათს ლომისის წმ. გიორგის ტაძარში აღავლენდნენ ლოცვას. გოგოჭურთა საგვარეულო ხატზე გვარის მფარველები, მთავარანგელოზები - მიქაელი და გაბრიელი, არიან გამოსახული. ინაშვილებს კი სამი საგვარეულო ხატი აქვთ: ერთი - იგივე, რაც გოგოჭურებს, ანუ მასზე მთავარანგელოზები - მიქაელი და გაბრიელი არიან გამოსახული; მეორე ხატზე გამოსახული არიან წმიდა მონაწენი: ინასი, პინასი და რიმასი; მესამე ხატი კი ლომისის



ნმ. გიორგის ხატია. ინაშვილებმა არაერთი გამოჩენილი და საამაყო მამულიშვილი აღუზარდეს საქართველოს. 1711 წელს ავღანეთში, ყანდაჰარში, ქართლის მეფე ქაიხოსროსა და მრავალ ქართველთან ერთად, გმირულად დაეცა გიორგი ინაშვილი. 1860-იანი წლების საყოველთაოდ ცნობილი საეკლესიო მგალობელი გახლდათ ტიტო ინაშვილი.

გასაოცარია, როგორ გადაჯაჭვა ისტორიამ ინაშვილები თარხან-მოურავებსა თუ თარხნიშვილებთან. 1877-78 წლებში იოსებ ინაშვილი გმირულად იბრძოდა გენერალ გიორგი თარხან-მოურავის დაქვემდებარებაში. ასათხევის, არტანის, ყარსის და ავღარალაჯის ბრძოლებში. მსოფლიოში აღიარებული საოპერო სცენების: მილანის, ლასკალასა და ნიუ-იორკის მეტროპოლიტენ-ოპერის პირველი ქართველი სოლისტის ელენე თარხნიშვილის მოწაფე იყო სანდრო ინაშვილი, რომელიც გახლდათ გამოჩენილი ქართველი მომღერალი, ქართული ვოკალური ხელოვნების ერთ-ერთი ფუძემდებელი, საქართველოს და საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი. სანდროს ქალიშვილი, შესანიშნავი მხატვარი და ხელოვნებათმცოდნე ინა ინაშვილი კი საქართველოს დამსახურებული მხატვრის რევაზ თარხან-მოურავის მეუღლე იყო.

1921 წლის საეკლესიო კრების პასუხისმგებელი მდივანი გახლდათ მღვდელი გიორგი ინაშვილი, რომელიც 1924 წელს ბოლშევიკებმა ჯერ აწამეს, შემდეგ დახვრიტეს.

სარა ინაშვილი გახლდათ ცნობილი ქართველი ჟურნალისტი, ნაზი შამანაურის, დედა. 1982 წელს საბჭოთა ხელისუფლების კრიტიკის გამო დედა-შვილი ჯერ დააკავეს, შემდეგ კი გიჟად გამოაცხადეს და ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოათავსეს, სადაც ცემით დახოცეს.

ზურაბ ინაშვილი ცნობილი დოკუმენტალისტი და რეჟისორია. თამთა ინაშვილი - შესანიშნავი მსახიობი. რატი ინაშვილი კი ნიჭიერი პოეტი. დავით ინაშვილი ძიუდოში ევროპის ჩემპიონატის ორგზის პრიზიორია. ზაზა ინაშვილი კი ფოთის საფეხბურ-



თო გუნდ „კოლხეთის“ მწვრთნელი გახლავთ.

ქეთევან ინაშვილი შესანიშნავი იურისტი. ლენა და ანა ინაშვილები კი ნიჭიერი დიზაინერები გახლავთ. მაკა, ელენე და ლევან ინაშვილებს ღირსეული წვლილი შეაქვთ განათლების სფეროში.

ნანა ინაშვილი იყო მეუღლე და თანამებრძოლი ზურაბ ჭავჭავაძისა, რომელიც გახლდათ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო ლიდერი. ჯემალ ინაშვილი ცნობილი ქირურგი გახლდათ. მან საბჭოთა პერიოდში პირველმა გააკეთა მტევნის რეკონსტრუქციული ოპერაცია. მისი ვაჟი — კოტე ინაშვილი იყო იუნიორებში საქართველოს ჩემპიონი ძიუდოში. იგი აფხაზეთის ომის ვეტერანი და ცნობილი ჟურნალისტი. მისი ქალიშვილი — ირმა ინაშვილი ცნობილი ჟურნალისტი, საზოგადოების თვალსაჩინო წევრი და აფხაზეთის ომის ვეტერანი გახლავთ. იგი 150-ზე მეტი გადაცემის და 8 სატელევიზიო დოკუმენტური ფილმის ავტორია. ირმა ინაშვილი ფლობს ექვთიმე თაყაიშვილის, ნიკო ნიკოლაძის და გიორგი სააკაძის სახელობის ჯილდოებს. იგი ასევე ჟურნალისტიკის სფეროში არსებული ყველა ჯილდოს და პრემიის ლაურეატია. ამჟამად ირმა ინაშვილი საქართველოს პატრიოტთა ალიანსის გენერალური მდივანია.

ღმერთმა უმრავლოს საქართველოს ინაშვილები!



ასეთ გმირებზე იღვა საქართველო

შალვა აბაშიძე
ისტორიკოსი

რადი

(ყადირ შერვაშიძე - საქართველოს ერთიანობისა და დამოუკიდებლობისათვის თავდადებული მებრძოლი)

ყადირ შერვაშიძემ ხანმოკლე ცხოვრების მანძილზე საინტერესო და შინაარსიანი მოგონებები დაუტოვა მომავალ თაობებს. ის ყოველთვის უპირველეს მოვალეობად საქართველოს ერთიანობისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას მიიჩნევდა. ეროვნულ საქმიანობასთან ერთად ყადირ შერვაშიძე, როგორც ექიმი, არც თავის პროფესიას ივინწყებდა. 1919 წელს ახალციხის მაზრაში პარტახტიანი ტიფის ეპიდემია მძვინვარებდა. პიპოკრატეს ფიცის ერთგული, უყოყმანოდ ჩადგა მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის სამსახურში, მაგრამ თვითონაც დაავადდა. 32 წლის ასაკში 1919 წლის 8 მაისს სამხედრო ექიმი, ჩინით პოლკოვნიკი, რომელიც გენერლის ნოდებაზე იყო წარგზავნილი, გარდაიცვალა.

ყადირ შერვაშიძე დაიბადა 1887 წლის 20 ივლისს ქედის მაზრის უფროსის თუფან-ბეგ შერვაშიძის, იმ დროისათვის საქართველოში საკმაოდ ცნობილი პიროვნების, ოჯახში.

ყადირმა წერა-კითხვა ოჯახში შეისწავლა. ოჯახი საკმაოდ შეძლებული და განათლებული იყო. მათ ხშირად სტუმრობდნენ იმ დროისათვის საქართველოში ცნობილი ეთნოგრაფები, ისტორიკოსები, მწერლები: ზაქარია ჭიჭინაძე, თედო სახოკია, დიმიტრი ბაქრაძე, გიორგი ყაზბეგი, გიორგი გურიელი.

ყადირ შერვაშიძე 1897-99 წლებში სწავლობდა ორწლიან მოსამზადებელ სკოლაში, ხოლო 1899-

1905 წლებში - ბათუმის ვაჟთა გიმნაზიაში. ის 1902 წლიდან ვაჟთა გიმნაზიის სხვა მოსწავლეებთან ერთად ჩაბმული იყო ფარული წრეების მუშაობაში, რომლებიც იბრძოდნენ სასწავლებელში





გამეფებული სასტიკი რეჟიმის წინააღმდეგ, რაც აშკარად გამოვლინდა რუსეთის პირველი რევოლუციის დროს. 1905 წლის 27 იანვარს ყადირ შერვაშიძის თანაკლასელებმა ტყვიებით დაცხრილეს მეფის, ნიკოლოზ II-ის, სურათი, რის გამოც ზოგიერთი მოსწავლე დააპატიმრეს. ყადირ შერვაშიძე „მგლის ბილეთით“ დაითხოვეს გიმნაზიიდან.

მამის დიდი ავტორიტეტის გამო და ნაცნობ-მეგობრების დახმარებით, ყადირ შერვაშიძემ სწავლა გააგრძელა თბილისის ვაჟთა პირველ გიმნაზიაში. 1909 წელს მან დაამთავრა ვაჟთა გიმნაზია და სწავლა გააგრძელა იურიევის (ტარტუს) უნივერსიტეტში. ყადირს და სხვა ქართველ სტუდენტებს აქაც უთვალთვალებდა ჟანდარმერია.

1911 წლის თებერვალში 22 ქართველი სტუდენტი დააპატიმრეს. საქმეში ჩაერია უნივერსიტეტის პროფესორი, იმპერატორის ლაიბქირურგი ციოგ ფონ მანტიფელი და რექტორი. სტუდენტთა მასობრივი გამოსვლები რომ არ დაწყებულიყო, მთავრობამ ახალგაზრდები გაათავისუფლა.

1914 წელს დაიწყო I მსოფლიო ომი. ყადირ შერვაშიძე, უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, გაიწვიეს სამხედრო ექიმად ფრონტის ხაზზე ყარსის ოლქში, ქალაქ ყარაქილისში. ორი წლის განმავლობაში თავის მოვალეობას უმნიშვნელოდ ასრულებდა. მისი წყალობით, მრავალმა ადამიანმა სიცოცხლე შეინარჩუნა. მეფის რუსეთის იმპერიული ზრახვები აქაც არ ასვენებდა. სამი წელი ჯარში გაატარა. ჯარიდან დაბრუნების შემდეგ მან მუშაობა დაიწყო ქალაქ ბათუმში „ავადმყოფ და დაჭრილ მებრძოლებზე დახმარების სრულიად რუსეთის ერობის კავშირის“ რწმუნებულად, სადაც 1917 წლის აპრილამდე მსახურობდა.

ახალგაზრდა ექიმმა ქედის მაზრაში საავადმყოფოს გასახსნელად უსასყიდლოდ გადასცა კუთვნილი ორსართულიანი სახლი, რომელიც 1916-72 წლებში ქედის რაიონულ საავადმყოფოს ეკუთვნოდა.

ყადირ შერვაშიძე საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლის აქტიური მონაწილე იყო. 1918 წლის 26 მაისს ის ხელს აწერს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს. საქა-

რთველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველი დღიდან საქართველოს მთავრობამ ბათუმის ოლქში ერობის რწმუნებულის მოვალეობა დაავალა ყადირ შერვაშიძეს. დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე პროგრესულად მოაზროვნე აჭარლებმა თბილისში ჩამოაყალიბეს სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი, რომლის თავმჯდომარედ დაუსწრებლად აირჩიეს მემედ აბაშიძე (თურქეთის ციხეში იმყოფებოდა), მოადგილედ - ჰაიდარ აბაშიძე, მდივნად - სულეიმან დიასამიძე, წევრებად: ახმედ ბეჟანიძე, ყადირ შერვაშიძე, სულეიმან ირემიძე. კომიტეტმა ახალციხეში რწმუნებულად ყადირ შერვაშიძე დანიშნა.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებით შეწუხებული მოღალატე ქართველი თავადებისა და ბეგების ერთი ნაწილი მსხვილი მემამულის სერვერ-ბეგ ათაბეგოვის აქტიური მოქმედებით ცდილობდნენ ოსმალეთის ხელქვეით დარჩენილიყვნენ. სერვერ-ბეგმა ყარსში შექმნა მთავრობა, რომელიც ამიერკავკასიის დასავლეთ ნაწილის - ყარსის, არტაანის, ბათუმის, ახალციხის, ახალქალაქის მუსლიმანთა გაერთიანების პროტენზიებს აცხადებდა. მან დაარბია ოლთისისა და ახალციხის სოფლები. სოფელ აბში ორმოცი სახლი გადაწვა, ქართველი მოსახლეობის დიდი ნაწილი, 1400 ადამიანი, დახოცა, ნაწილი კი ქართულ რეგულარულ ჯარს გადაურჩინა. საქართველოს მთავრობის დავალებით, ამ საჯარისო დანაყოფში ყადირ შერვაშიძეს მნიშვნელოვანი პოსტი ეჭირა. უმწეოდ დარჩენილი მოხუცები, ბავშვები, ქალები და ავადმყოფები ყადირს ბრძოლის ველიდან გამოუყვანია და ბორჯომის მახლობლად საიმედო ადგილას გაუხიზნავს.

ახალციხეში ყადირ შერვაშიძე ინტენსიურად მუშაობდა ახალციხის, ახალქალაქის, ფოცხოვის მოსახლეობასთან. მან განმათავისუფლებელი კომიტეტის სახელით გამოაქვეყნა „მიმართვა მუსლიმანი ქართველებისადმი“, რომელიც ცალკე ფურცლებად დაიბეჭდა. ასლი ინახება სახელმწიფო მუზეუმში. გთავაზობთ ამ მიმართვის ტექსტს:



„მონოღება ქართველი მუსლიმანებისადმი.“

ძმებო, მუსლიმანო ქართველებო! თურქების უღელი ექვსი თვის მონობაში ყოფნის შემდეგ მოგიხსნათ კისრიდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჯარმა. ოსმალთაგან დატანჯულმა ხალხმა ძლივს ამოისუნთქა თავისუფლათ. ხალხის მტრები, ოსმალეთის მოსყიდული აგენტები თქვენ გაქეზებდნენ ქართველების წინააღმდეგ, გაგონებდნენ თითქოს საქართველოს ჯარები მოდიოდნენ თქვენს გასანადგურებლად და ასაოხრებლად, მაგრამ დღეს თქვენ თვითონ დაინახეთ, რომ მთელი საქრისტიანო საქართველო ჩვენ გვეპყრობა როგორც თანასწორუფლებიან ძმებს, ამყარებს წესრიგს და მომავალში ჩვენზეა დამოკიდებული, თუ როგორ მოვანყოთ ჩვენს ცხოვრებას. ექვსი თვის ბატონობის დროს თურქებმა ნათლად დაგვანახვეს, თუ რა სურდათ მათ ჩვენგან, ძმებო მოვიდნენ თუ მტრებათ.

ძმებო მუსლიმანებო, ქართველებო! ვერც ერთი მტერი ვერ გვიზამდა მას, რაც ჩვენ თურქებმა და მისმა მოსყიდულმა პირებმა გვიყვეს: შებილწეს ჩვენი წმინდა რჯული და პატიოსნება, სოფლის მეჩეთები აავსეს ნაპარავი და ნაძარცვი საქონლით, მთელი თვეები ხალხს მოუსპეს საშუალება ელოცათ. განა ამის მზგავსს რამეს სჩადის საქართველოს მთავრობა? არა, ძმებო მუსლიმანებო, საქართველოს მთავრობა არ ერევა ჩვენი სინდისის, რჯულის საქმეებში, მან საქვეყნოდ მიანიჭა სამუსლიმანო საქართველოს ფართო ავტონომია. ახალციხის ჯამე, რომელიც 90 წლის განმავლობაში რუსის ჯარს ეკლესიად ჰქონდა, საქართველოს მთავრობამ ხელუხლებელი დაუტოვა მუსლიმან ქართველებს. დღეს ახალციხის მუსლიმანი ქართველების სიხარული და ზეიმი, მაგრამ, ძმებო ახალციხელებო, იქ თქვენი ძმები, აჭარა-ქობულეთლები, ისევ მონობაში არიან. თურქეთის ოფიცრები და ასკერები დევნიან ჩვენს მეზობლებს, აჭარა-ქობულეთლებს. გზააბნეული ოსმალეთი, რომელიც დამარცხდა ბრძოლაში, ჩვენში ცდილობს ეხლა მომხრეების შოვნას და აბრიყვებს ხალხს, მარა განა თქვენ არ დაგიხოცეს როზგით ძმები? განა თურქები არ გართმევდნენ პურს, კარტოფილს და უფასოდ არ მიყავდით ბეგარაზე? განა ცოტა დაგეკარგათ შინაური ოთხფეხა?

ოსმალეებს მიყავდათ თქვენი შვილები ჯარში, არ აცვამდნენ მათ ტანზე და ფეხზე, სტანჯავდნენ ახალგაზრდებს და ხარჯს უფასოდ, ისევ თქვენგან კრეფდნენ.

საქართველოს მთავრობას კი ჯარში არ მიყავს მუსლიმანი ქართველობა, მარა თქვენი ვალია დაეხმაროთ უბედურ აჭარა-ქობულეთს მონობის უღლის მოხსნის საქმეში, მთელი სამუსლიმანო საქართველო თავის ძმა ქართველ ქრისტიანებთან ერთად უნდა იყრიდეს ერთ ოჯახში თავს.

გაუმარჯოს თავისუფალ სამუსლიმანო საქართველოს დემოკრატიულ საქართველოში!
გაუმარჯოს აჭარა-ქობულეთის განთავისუფლებას!

გაუმარჯოს ახალციხის მუსლიმან და ქრისტიან ქართველთა ძმობას!

გაუმარჯოს სამუსლიმანო საქართველოს გამანთავისუფლებელ კომიტეტს!

სამუსლიმანო საქართველოს გამანთავისუფლებელი კომიტეტის
რწმუნებული ახალციხეში,
ყადირ შერვაშიძე!“

ყადირ შერვაშიძე სათავეში ედგა იმ კომისიას, რომელმაც წერილობით გააფორმა მესხეთის მოსახლეობის საზოგადოებრივი აზრი დედამამშობლოსთან სამხრეთ საქართველოს გაერთიანების შესახებ, რაც საფუძვლად დაედო ამ საკითხზე საქართველოს მთავრობის სპეციალურ მემორანდუმს. ეს დოკუმენტი, ბრესტის ხელშეკრულების საფუძველზე, ბათუმის ოლქში 1918 წლის ზაფხულში ჩატარებული გაყალბებული არჩევნების მასალებთან ერთად, ყადირ შერვაშიძემ და ზია აბაშიძემ იმავე წლის აგვისტოში პირადად ჩაიტანეს ბერლინში გერმანიის მთავრობისთვის გასაცნობად.

ბერლინში „საქართველოს დამოუკიდებლობის ეროვნულმა კომიტეტმა“ ქვეყნის თავისუფლებისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში აქტიური მონაწილეობისა და დიდი დამსახურებისათვის 1918 წლის 10 სექტემბერს წმ. თამარ მეფის ორდენით დააჯილდოვა მემედ აბაშიძე და ყადირ შერვაშიძე. დაჯილდოების სიგელს ხელს აწერდნენ გ. კერესელიძე, მ. წერეთელი და სხვ.

1918 წლის ზაფხულიდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გადანყვეტილებით, ყადირ შერვაშიძე დაინიშნა „განსაკუთრებულ რწმუნებულად“ ახალციხეში, ზემო აჭარაში და ფოცხოვის მოსახლეობაში სამუშაოდ. იქ მუშაობის დროს მრავალჯერ მისი ფიზიკური განადგურება

სცადეს გარეშე და შინაურმა მტრებმა. 1919 წლის 1 იანვარს გაიმართა ახალციხის მაზრის გლეხთა ყრილობა, რომლის მომზადება-გამართვას ხელმძღვანელობდნენ ყადირ შერვაშიძე და ჰაიდარ აბაშიძე. ჰაიდარ აბაშიძის გამოსვლის შემდეგ ყრილობამ მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება საქართველოს შემადგენლობაში სამუსლიმანო საქართველოს დარჩენის შესახებ.

ყადირ შერვაშიძის საქმიანობა ერთი ნათელი ფურცელია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიაში, თუმცა მისი ღვაწლი დღემდე არ დაფასებულა. უპრიანი იქნება ქალაქ ახალციხის ერთ-ერთ ქუჩას მისი სახელი მიენიჭოს, აუცილებელია, იმ სახლში, რომელშიც ახალციხეში მუშაობისას პოლკოვნიკი, ექიმი ყადირ შერვაშიძე ცხოვრობდა, გაიხსნას მუზეუმი, მემორიალური დაფით. ასევე ქედაში, სადაც ნახევარ საუკუნეზე მეტი ყადირ შერვაშიძის სახლი იყო საავადმყოფოდ გამოყენებული, მემორიალური დაფა შეახსენებს ქედელებს მის გმირულ წარსულს. ეს შენობა ამჟამად დაშლილია და მის ადგილას ხუთსართულიანი საერთო საცხოვრებელია აგებული. მის სიახლოვეს მართლმადიდებლური ტაძრის აშენებას აპირებენ. მომლოცველი გაიგებს, ვინ იყო ყადირ შერვაშიძე და რა ადგილი ეკავა მას საქართველოს ისტორიაში.



სახელმწიფო და საოჯახო არქივებიდან

ГРАМОТА ЦАРЯ ВАХТАНГА К ЦАРЮ ПЕТРУ ВЕЛИКОМУ



... ჩვენ ჩვენი ხელმწიფის დიდი იმედი გვექონდა და გვაქვს და ჩვენმა ცოდვამა ასე მოგვიხდინა საქმე, ამტონი ხანია ამ უსჯულოთ ხელში ვიმყოფებით და ერთი მაგათი ნუგეშინის ცემის ამბავი და მოწყალებისა ვედარა გავიგონეთ რა: აქაური ამბავი უნინ ზურაბ ხერხეულიძის ხელით მოგახსენეთ, მერმე ფრანგისტან თურქისტანის შვილის ხელით ჩემს დას მოსწერეთ, ახლა ეს დავით ნაზარის შვილი გვიახლება და ეს მოგახსენოთ. ჩემი შვილი ბაქარ, რომ თბილისის ურუმებთან იყო, მრავლის უსამართლოებისაგან ვერ გაუძლო და გამოვიდა ამათ ხონთქარს დააბეზღეს და მტრობის მდომნი არიან და ჩვენს ამ ქვეყნიდან გამოგდებას ცდილობენ. ქვეყანა რომ გააოხრეს ხუთს აღაჯზედ ქალაქის გარეშემოში, სოფლებში, სულ სახლი გააოხრეს და შენობა მოშალეს, ტყვე მრავალი დაატყვევეს, ენით არ მოიხსენება აქაური ჭირი. კახეთი რომ სულ ლეკმა დაიჭირა და ჩვენი ქვეყნებია: თუ სხვა ქვეყნებში ქრისტიანობა არის, თუ მაგათი შებრალება არ ეღირ-

სათ, აქ ზაფხულ აქათ ქრისტეს მახსენებელი აღარ დარჩება. დასტურ, რა სამსახურისათვის ვხედავთ ამას. მაგრამ ქრისტეს გულისათვის, მოგახსენებთ ჩვენ და ამ ქვეყნებს ნუ მოგვიძულებთ და ერთი შებრალება გვაღირსეთ. თუ რამ იქნება, ამ ზაფხულს, თვარამ ამას უკან აქაური საქმე და შეწყალება ურგები იქნება.

მეფე ვახტანგი

„Переписки грузинских царей с русскими государями“
От 1659 до 1770 гг. С Петербург.



გენერალი ივანე საბინაშვილი შვილიშვილებით



ი. დ. რატიშვილი მეუღლესთან - ა. ი. რატიყვასთან და შვილებთან -
ღიმიტრისა და ოლბასთან - ერთად. 1902 წ.

ქართულ დრამატულ საზოგადოების გაგვიგებას

საქართველოს ენვია საშინელი უბედურება: დაინვა მისი სულიერი კულტურის ტაძარი. დადგა დრო თავგანწირვისა და მსხვერპლისა. ყველა ქართველს ედება ზნეობრივი მოვალეობა, ხელი შეუწყოს თეატრის აღორძინებას, წვრილმან ანგარიშს და საძრახის გულგრილობას არ უნდა ჰქონდეს ადგილი, თუ ჩვენი საზოგადოება ჯერ არ გადაგვარდა, თუ არ ჩაფერვლდა მასში ეროვნული სული. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ დროს ცხოვრება გაჭირდა, რომ ზედმეტი ფული არავის აქვს, ტფილისის საადგილ-მამულო ბანკის დამფასებელ კომისიის წევრებმა გადავწყვიტეთ ეროვნულ თეატრის აშენებისათვის გადავდოთ:

1. კომისიის თავმჯდომარემ ლევან ჩერქეზიშვილმა 200 მან.
2. თ-დ ნიკოლოზ დავითის ძე ერისთვიშვილმა 150 მან.
3. თ-დ კონსტანტინე ზაქარიას ძე მაყაშვილმა 150 მან.
4. სერგეი ნიკოლოზის ძე ყაზახიშვილმა 150 მან.
5. ივანე პაატას ძე მგალობლიშვილმა 150 მან.
6. ლევან ანტონის ძე ფურცელაძემ 150 მან.
7. სვიმონ ვასილის ძე ყიფიანმა 150 მან.
8. თ-დ ივანე დავითის ძე ავალიშვილმა 100 მან.
9. ზაქარია ზაალის ძე მაჭავარიანმა 100 მან.

Милостивый Государь Князь Константин Николаевич!

Полковникъ Иванъ Ивановичъ Тулаевъ, передалъ мне телеграмму, в которой вашему Сиятельству и Членамъ Предводителямъ Дворянства, угодно было почтить память покойной моей сестры княжны Ольги Ильиничны. Глубоко ценя это внимание Г.г. представителей Тифлисского Дворянства, приношу Вам и всемъ Вашимъ товарищамъ мою самую горячую и искреннюю благодарность в эти дорогие сердцу моему выражения Вашихъ чувствъ.

Прошу ваше Сиятельство принять уверение въ совершенном моемъ почтении и преданности.

Кн. Николай Грузинский

Г. Минск 23 июня 1913 г.

Его Сиятельству

Кн. К. Н. Абхазы

По Сиятельству
 Кн. К. Н. Абхазы



თავადი გიორგი მაყაუხვილი,
პოლკოვნიკი



თავადი გიორგი მაყაუხვილი ოჯახით

ქართველი თავადის სიცოცხლე და სიკვდილი



უნიკალური ფოტო - 147-ე პოლკის მეთაურის - გიორგი მაყაუხვილის სიკვდილის
მომენტი ბრძოლის ველზე, მუბღანთან
22/02/1905

მეცნიერება



მანანა გაბაშვილი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

„ოცნებისა და ბრძოლის ნაყოფი“...

(ქართული მეცნიერების წგრევის 20 წელი)

(გაგრძელება)

ცნობილი ტიპი მეცნიერებისათვის თავგადადებული, დღედაღამ შრომაში ჩაფლული მკვლევრისა, რომელიც მოტივირებულია მეცნიერებისა და სამშობლოს მსახურებით, ქრება. ამ სიცარიელეს ავსებენ მოხერხებული და მეცნიერებას მიტმასნილი კარიერისტები, გრანტების მოპოვების დიდოსტატები, მუდმივად გზაში და კონფერენციიდან კონფერენციაზე მოსიარულე ადამიანები, რომელთათვისაც ეს უკვე ცხოვრების წესად იქცა, ქვეყნების ნახვისა და დროის სასიამოვნოდ გატარების საშუალებად. ცხადია, კონტაქტები და კონფერენციებში

მონაწილეობა საჭირო და აუცილებელია, მაგრამ არა იმ მასშტაბით, ზოგ შემთხვევაში სამეცნიერო ტურიზმის (მითუმეტეს სხვის ხარჯზე) ხასიათი რომ მიიღო, თანაც უმრავლეს შემთხვევაში არავინ იცის ან რა თემები გააქვთ (ხშირად უბრალოდ სათაურებს რომ უცვლიან) და ან რას კითხულობენ. მაშინ, როდესაც ამ მოგზაური მეცნიერებისთვის დახარჯული ეს თანხები საკუთრივ დარგების განვითარებას და მეცნიერთა ერთი ნაწილის მცირე ხელფასების გაზრდას რომ მოხმარებოდა, გაცილებით უკეთესად გვექნებოდა საქმე და იმ მკვლევართ ნაადგებოდა, რომლებიც, მიუხედავად



უმძიმესი საყოფაცხოვრებო პირობებისა და ხელმოკლეობისა, ქართული მეცნიერების საუკეთესო ტრადიციებს აგრძელებენ. მათ ჯერ კიდევ ძალუძთ (თუკი მეცნიერება დაფასდება), მოიზიდონ და გაზარდონ ნიჭიერი ახალგაზრდები და არა ისეთები, რომელთათვისაც მეცნიერება სასხვათაშორისო და მეორეული, თავის გამოსაჩენი, კარიერისათვის მნიშვნელოვანი ასპარეზია.

დღეს ამ ტიპის ახალგაზრდები ბანკებში, სამინისტროებში, საელჩოებსა და სხვა მაღალანაზღაურებად სამსახურებში მუშაობენ, მეცნიერებას კი, როგორც ეს უკვე ითქვა, ისე მისდევენ, როგორც მათთვის მეორეულ საქმიანობას. მათ შორის სხვისი შრომების მიმთვისებელნიც არიან, რაც ქართულ მეცნიერებას, სხვა დიდ ზიანთან ერთად, უკვე დიდ პრობლემად ექცა. ეს არის უმძიმესი დანაშაული, მიმართული არა ერთი ცალკეული მკვლევრის, არამედ, ზოგადად, ქართული მეცნიერების წინააღმდეგ და ერთ-ერთი შედეგია წლების მანძილზე საქართველოში სხვადასხვა სფეროში გაბატონებული ძარცვა-გლეჯისა და სიცრუის. ამანაც, რაც უკვე მრავალი მკვლევრისათვის პრობლემად იქცა, ამაღებინა კალამი.

სულ ახლახან „ჩვენს მწერლობაში“ ზურაბ ბატიაშვილმა (დარეჯანაშვილმა), თურქეთში ქართული საელჩოს ახალგაზრდა თანამშრომელმა, რეკლამისათვის მიიტანა მონოგრაფია „ტრაპიზონის იმპერიის დაარსება“ (2012 წ.), რომლის გარეკანიც ამ ჟურნალის სარეკლამო გვერდზე დაიბეჭდა. ეს კიდევ ერთი მაგალითია, თუ რა დამართა ქართულ მეცნიერებას ამ წლების განუკითხაობამ და ყველაფრის მკადრებლობამ. ნაშრომი არათუ ასახავს ქართულ ისტორიოგრაფიაში საკითხის ირგვლივ არსებულ ლიტერატურას (რით-

აც სტუდენტური საკურსო ნაშრომის დონესაც ვერ აკმაყოფილებს), არამედ ავტორი ამ ლიტერატურის ნაწილს (რითაც მკითხველის დებორიენტაციას ეწევა) შეგნებულად მაღალს, მათ შორის ამ თემებთან დაკავშირებულ იმ სტატიებს, რომლებიც ამ ჩემს ყოფილ სტუდენტს, ბატიაშვილს, საკუთარი ხელით გადავეცი. თუმცა ვურჩიე, რომ იგი ამ თემას ჯერ ვერ დასძლევდა და, როგორც თურქული ენის მცოდნეს, შეესწავლა ტრაპიზონის იმპერიის ისტორიის საკითხები თურქული ისტორიოგრაფიის მიხედვით. მაგრამ მან სხვა გზა არჩია, რის გამოც ჩემი თვალთახედვიდან გაქრა და, იმათ შორის, ვისაც ეს წიგნი უსაჩუქრა, არ აღმოვჩნდი.

მიზეზი შემდეგია:

მან დაწერა ზემოთ აღნიშნული კომპილაციური მონოგრაფია, რომლის ორიგინალური ნაწილიც მას არ ეკუთვნის და იმ სტატიებიდან არის აღებული, რომლებიც მას გადავეცი. ხოლო, მაგალითად, „შესასწავლიაო“ წერს იმ თემაზე (ეხება ტრაპიზონის იმპერატორთა ტიტულატურას), რომელიც ხელნაწერის სახით მქონდა და არ გადავეცი, მიუხედავად იმისა, რომ დაჟინებით მთხოვდა იმ მიზეზით, რომ სურდა ამ თემაზე დაწერილი თავისი სტატიისათვის შეედარებინა, რაც ტყუილი აღმოჩნდა.

არც ეს სტატია, რომელიც ბატიაშვილის მონოგრაფიის (2012 წ.) გამოქვეყნებამდე 2009 წ. დავბეჭდე და არცერთი სხვა ჩემი ნაშრომი, რომლებიც ტრაპიზონის იმპერიის დაარსებასა და მასთან დაკავშირებულ საკითხებს ეხება („ტრაპიზონის იმპერია“, „ტრაპიზონის იმპერიის დაარსების წინაპირობები - დავით კურაპალატი“, „ტრაპიზონი ქართული წყაროების მიხედვით“, „თამარ მეფის საზღვაო პოლიტიკის ისტორიიდან“, „თამარ მეფის აღმოსავ-

ლური და დასავლური პოლიტიკა“, „ვარძიის ფრესკა, როგორც საისტორიო წყარო“, ასევე ტრაპიზონთან მიმართებით გაანალიზებული „ვეფხისტყაოსანი“, „თამარიანი“, „აბდულმესიანი“, ნუმისმატიკური და სხვა მასალა), წიგნს დართულ ბიბლიოგრაფიაში არ აისახა. სხვა მსგავსი ასეთი შემთხვევა, რომ ქართული ისტორიოგრაფიიდან ვინმე ასე პირწმინდად, თითქოსდა ჯადოსნური ჯოხის ერთი მოქნევით, გაექროთ, არც ვიცი.

მაგრამ ტყუილს მოკლე ფეხები აქვს. ამ შემთხვევაშიც ასე მოხდა. ის, რასაც ბატიაშვილი სირაქლემასავით მალავს, გარდა სამეცნიერო კრებულებისა, გამოქვეყნებული მაქვს „ჩვენი მწერლობის“ არაერთ ნომერშიც. ამას მოჰყვება მკითხველის დაინტერესება, მკითხველებთან შეხვედრა „ჩვენი მწერლობის“ სალონში და ამავე ჟურნალში მკვლევარ გიორგი გამსახურდიას გამომხაურებაც („ჩვენი მწერლობა“, 2007, №2-3, №19, №22; 2011, №17...).

მკითხველთა განსაკუთრებული ყურადღება ქართული პოლიტიკის იმ მასშტაბმა მიიპყრო, რომელიც თამარის პოლიტიკის ორ ეტაპს დავუკავშირე: ტრაპიზონის პირველი იმპერატორ ალექსი I-სა და მის ძმას, დავით კომნენოსს, შორის არსებულ კოორდინაციასა და თანხმობას, რომელშიც ჩადებული იყო ქართული პოლიტიკის კონსტანტინეპოლთან დაკავშირებული გეგმებისა და ბიზანტიის იმპერიის ჩანაცვლების იდეა.

ამ აზრის დასაბუთება მას შემდეგაც შეეძლო, როდესაც ყურადღება გავამახვილე დავით კომნენოსზე (რომელიც ქართული ისტორიოგრაფიის ყურადღების მიღმა იყო დარჩენილი), მის განსაკუთრებულ ფუნქციასა და როლზე ამ იდეის განხორციელების გზაზე. მართალია, ეს ყველაფერი ბატიაშვილმა ჩემ მიერ გადაცე-



მული სტატიიდან, მითითების გარეშე, გადაინერა, მაგრამ, როგორც ეს ასეთ ვითარებაში ხდება, უხეიროდ, და მას ისევე ვერ მოაბა თავი, როგორც ამ ურთულეს და საქართველოსთვის უმნიშვნელოვანეს პრობლემას, წიგნის სათაურად რომ გამოიტანა.

სხვათა შორის, ეს თემა და მასთან დაკავშირებული საკითხები, ქართული პოლიტიკის მასშტაბისა და მისი მნიშვნელობის საჩვენებლად ტრაპიზონის ისტორიაში (რისი გაუთვალისწინებლობითაც ბევრი რამ უბრალოდ ვერ იხსნება) საზღვარგარეთაც (ინგლისურსა და ფრანგულ ენებზე) გამოვაქვეყნე. ჩემი მიზანი იყო საერთაშორისო არეალზე გამეტანა, თუ რა არის ამ მხრივ შექმნილი უახლოესი ხანის ქართულ ისტორიოგრაფიაში (რასაც ბატიაშვილი ქართველ მკითხველს უმაღლავს).

ეს ის მიდგომაა და იმგვარი ანალიზი, რომელიც საქართველოს განსაკუთრებულ როლს



წარმოაჩენს ტრაპიზონის ისტორიაში, საქართველოს პოლიტიკის დიდ მასშტაბსა და უმნიშვნელოვანეს ადგილს მაშინდელი მსოფლიოს საერთაშორისო ცხოვრებაში, რაც ქართულ ისტორიოგრაფიაში სათანადოდ არ ყოფილა განხილული. ეს კი საფუძველს გვაძლევს გაჯარწყლოთ ამ თემებთან დაკავშირებული იმ უცხოელ ავტორთა შეხედულებანი, რომლებშიც საქართველოს როლი დაკნინებულია. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ მათ არ იცინან, ანდა ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ, საქართველოს ისტორიაზე. ამიტომ ამ საკითხებს ისინი ქართული პოლიტიკის იმ მთლიან ჭრილსა და პროგრამულ ხედვაში (რაც ბატიაშვილისთვისაც მიუწვდომელია) ვერ განიხილავენ, რომლის გარეშეც ტრაპიზონის იმპერიის დაარსებასთან დაკავშირებულ პრობლემათა განხილვა ზერელე და ზედაპირულია. სხვათა შორის, „ჩვენს მწერლობაში“ ამ თემების გამოქვეყნების შემდეგ, არცთუ ისე დიდი ხნის წინ, ამ თემებით დოკუმენტურ ფილმშიც გადაამიღეს, რომელიც სამუშაო პროცესშია.

დასავლურ მეცნიერებაში, როგორც ადრე ჩვენთან (საბჭოთა პერიოდშიც, მიუხედავად გამონაკლისებისა), კვლავ უმკაცრესი, პედანტობამდე მისული კონტროლია. მრავლისმეტყველია 2009-2011 წწ. გადადგომის მიზეზი (2011 წ. 1 მარტი) გერმანიის თავდაცვის მინისტრ კარლ თეოდორ გუტენბერგისა, რომელიც ხალხის სიყვარულითა და ანგელა მერკელის განსაკუთრებული ნდობით სარგებლობდა. მიზეზი მის მიერ 2006 წ. დაცული დისერტაცია აღმოჩნდა, რომელშიც მან რამდენიმე ციტატა ისე გამოიყენა, რომ ავტორი არ მიუთითა. მინისტრი არამარტო გადადგა, არამედ საჯაროდ ბოდიში მოუხადა უნივერსიტეტსა და გერმანელ ხალხს.

მას შემდეგ, რაც ქართულ მეცნიერებაში

მსგავსი გაგებით კონტროლი დაიკარგა, ანდა ფორმალური ხასიათი მიიღო, მეცნიერებაშიც იმდაგვარ „შრომებს“ ვიღებთ, როგორებიცაა: თბილისის გმირთა მოედნის ბოძი, ისტორიული რიყე და სხვ., რაც ყველა სფეროსათვის საერთო მიზეზებითაა განპირობებული.

ამ ტიპის ნაშრომებმა სხვადასხვაგვარ უხემ შეცდომათა მომრავლებასაც შეუწყო ხელი. საზღვარგარეთაც საქართველოს ისტორიის ის გამყალბებლები გაათამამა, ამ მიმართულებით რომ დიდი ხანია იღვნიან და რომელსაც ქართული მხარე შესაბამის წინააღმდეგობას ვეღარ უწევს. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ (ზოგჯერ პასიურობასთან ერთად) მსოფლიოში მაღალი დონის ქართული მეცნიერებისა და ქართული ხელოვნების პოპულარიზაციას თანმიმდევრული და მიზანმიმართული ხასიათი არა აქვს.

დაბალი დონის სამეცნიერო ნაშრომთა გამოცემის ერთ-ერთი მიზეზი გულგრილობა და სხვადასხვა საქმეში გაბმულ მეცნიერთა მოუცლელობაცაა. ხშირად მონოგრაფიას არ კითხულობენ რედაქტორები, რედაქოლეგიის წევრები, რეცენზირებას ფორმალური ხასიათი აქვს. მაგრამ არის სხვა შემთხვევებიც, როდესაც რედაქტორები თუ რედაქოლეგიის წევრები ნაშრომს კითხულობენ, მაგრამ არ იცინან, მასში წარმოდგენილი საკითხები როგორ განიხილება ქართულ მეცნიერებაში. ამან სამეცნიერო ნაშრომთა სწორ შეფასებაზეც იმოქმედა, რაც ადრე ნაკლებად წარმოსადგენი იყო, როდესაც კარგ და სუსტ ნაშრომსა და მეცნიერს ერთმანეთისგან მაინც ასხვავებდნენ.

კიდევ ერთი დიდი პრობლემაა. ეს არის ზოგადი განათლების დონის კატასტროფული დაცემა, რომლის გარეშეც კარგი და მოაზროვნე მეცნიერი, განსაკუთრებით ჰუმანიტარი, ვერ შედგება. ცნობილია, რომ ჰუმანი-



ტარმა ძალიან რთული და გრძელი გზა უნდა გაიაროს (ეს პლაგიატებს არ ეხებათ) მეცნიერებაში მნიშვნელოვან შედეგთა მისაღწევად.

ერთ-ერთი მიზეზი მნიშვნელოვანი თემების პროფანაციისა და ზოგ შემთხვევაში ქართული მეცნიერების გაპრიმიტიულებისა ისიც არის, რომ, ქართული სამეცნიერო სკოლების დაკნინებასთან ერთად, იკარგება სამეცნიერო ნაშრომზე მუშაობის ცოდნაც. ამას სტუდენტებს შესანიშნავი მეცნიერები, ჩვენი მასწავლებლები, პირველი კურსიდან მოყოლებული, დიდი მოთმინებითა და მონდომებით გვასწავლიდნენ, სხვისი ნაშრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულების ჩათვლით. ისინი ფართო განათლებითა და ანალიტიკური აზროვნებით, იმ განსაკუთრებულ ატმოსფეროსაც ქმნიდნენ, რომელიც სტუდენტს ზრდიდა და მომავალი სამეცნიერო კვლევა-ძიებისათვის ამზადებდა. მაშინ ჯერ კიდევ არ განწყვეტილიყო თაობებს შორის კავშირი, რაც დღეს გამიზნულად კეთდება და რამაც ყველაზე მეტად ისევ ახალგაზრდები დააზარალა. იმ ჭეშმარიტ მეცნიერთათვის, ჩვენ რომ გვასწავლიდნენ, მეცნიერება სულიერების სფეროც იყო. ისინი ძნელად თუ წარმოიდგენდნენ იმ რიტორიკას, დღეს რომ გაისმის: განათლება ძვირადღირებული სიამოვნებაა, ძვირადღირებული პროდუქტი, აზრის ალებ-მიცემობა, განათლების მომხმარებლები, განათლების აქტი და სხვ.

მეცნიერების დონის დამწვევთა შორის ის დისერტანტებიც არიან, რომლებმაც წლობის განმავლობაში არსებული არეული ვითარებით, მეცნიერების მოშლით ისარგებლეს და 1992 წლიდან მოყოლებული სასწრაფო წესით, ნაჩქარევად და მიზანმიმართულად სუსტი დისერტაციები დაიცვეს. ამ მრავლად მოვლენილ მეცნიერებათა დოქტორებს, პრეტენზიებთან

ერთად, იმდენად შთამბეჭდავი სამეცნიერო „სივები“ აქვთ, რომ ხშირად მიფიქრია, შეძლებდა კი დღეს ივანე ჯავახიშვილი გრანტების მოპოვებასა და ამ ყოჩაღ მეცნიერთა კონკურსში გამარჯვებას?! ასე დაემართა ნობელის პრემიის ლაურეატ ერთ უცხოელ მწერალს, რომლის მოთხრობაც ქართველმა ახალგაზრდამ თავისად გაასაღა, საქართველოში გამართულ ლიტერატურულ კონკურსზე გაიტანა, მაგრამ დამარცხდა.

მსგავს პრეცედენტებს მეცნიერებაშიც ვხვდავთ. ამ დროს დიდ ქართველ მკვლევართა ნაშრომების ერთი ნაწილი უკვე ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა, ხოლო მათი ბრწყინვალე სტატიები გაფანტული სხვადასხვა კრებულში, დღესაც შეკრებასა და ერთ კრებულად გამოცემას ითხოვს, ისევე როგორც ხელნაწერის სახით არსებული ზოგიერთი ამ მეცნიერის ნაშრომიც. უფრო მეტიც, დიდ ქართველ მკვლევართა სამეცნიერო მემკვიდრეობა ინგლისურადაა სათარგმნი, რაც ქართული მეცნიერების მიღწევათა პოპულარიზაციისა და საერთაშორისო ასპარეზზე გატანის გზაც არის. ვფიქრობ, რომ დღეს, უპირველეს ყოვლისა, ისევ ქართულ მეცნიერებას სჭირდება ამ დიდ მკვლევრებთან მიბრუნება, როგორც სწორი ორიენტირების აღსადგენად ქართულ მეცნიერებაში, ისე მეცნიერებისათვის (განსაკუთრებით ბოლო 20 წლის მანძილზე) მიყენებული ზიანის აღმოსაფხვრელად.

კიდევ ერთი სერიოზული პრობლემა - ყველა საკანდიდატო დისერტაცია სადოქტოროს გაუთანაბრეს. ასეა დასავლეთში, მაგრამ ჩვენთან ამან სხვაგვარი ხასიათი მიიღო. დარჩა განსხვავება შემდეგი ფორმულირებით - მეცნიერებათა დოქტორი და აკადემიური დოქტორი, რომელიც შედარებით დაბალი კატეგორიაა. ამით მეცნიერებათა კანდიდატები



(დღევანდელი აკადემიური დოქტორები) კლასში ჩარჩენილებს დაამსგავსეს, ხოლო ვინც სადოქტოროს დაცვა მოასწრო - მარად-ისობაში გადასულ ფარაონებს. საქმე ის არის, რომ კანდიდატს, დიდი აღმოჩენებიც რომ ჰქონდეს, ახალი რეფორმით (2006 წლიდან) სადოქტორო დისერტაციის დაცვის უფლება არა აქვს. სამაგიეროდ, მასზე წინ დგას ზოგიერთი მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მქონე ისეთი მკვლევარი, რომელსაც დისერტაციის დაცვის შემდეგ ან არაფერი დაუწერია, ან თუ დაუწერია, ყოველგვარ ღირებულებას მოკლებულია მისი ნაშრომი. ბუნებრივია, ამ ტიპის დოქტორებს ხელს აძლევთ ქართული მეცნიერების დღევანდელი მდგომარეობა. ამიტომ სრულიად არაადეკვატურია მეცნიერთა სახელფასო (პენსიების ჩათვლით) ანაზღაურება. კრიტერიუმი სამეცნიერო ნაშრომის ხარისხი და მეცნიერებისათვის მისი მნიშვნელობა უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს წყალში გადაყრილი ფულია.

მეცნიერთათვის სტრესების სხვა წყაროც არის, რამაც მათ დისკომფორტი და არასტაბილურობის განცდა შეუქმნა. ეს არის მათთან ხანმოკლე ვადით დადებული ხელშეკრულებანი.

მეცნიერება, თითქოს დასავლურ მეცნიერებასთან დაახლოების მიზნით (დაახ-

ლოებით, ორი წელია), ასევე დიდ გაუგებრობაში აღმოჩნდა, როდესაც აკადემიის საერთო სისტემიდან გამოყვანილი და განათლების სამინისტროს დაქვემდებარებულ ინსტიტუტთა ნაწილი ცრუ დაპირებებით, ხელფასების გაზრდისა და უკეთესი პირობების შექმნის გარანტიით, სხვადასხვა უნივერსიტეტს მიამაგრეს (რაც დასავლეთში აუცილებელი წესი არ არის). დღეს ეს ინსტიტუტები გაურკვეველ, თანაც დამცირებულ მდგომარეობაში აგრძელებენ არსებობას. რაც მთავარია, მათ, თავიანთ დიდ ტრადიციებთან ერთად, სახეც დაკარგეს, როგორც ეს საერთაშორისო სახელის მქონე აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტს დაემართა, რომლის ნაშთებსაც სამადლოდ ინახავენ.

ასეთი რეფორმები იმ პროპაგანდის ფონზე წარიმართა, რომ მეცნიერება საქართველოსთვის ფუფუნებაა და რომ არ გვჭირდება მეცნიერების ფუნდამენტური დარგები. ეს იმ დროს, როდესაც ფიზიკა, ქიმია, მათემატიკა და მეცნიერების ეს სფეროები, გამოყენების თვალსაზრისით, ფართოდ შედის წარმოებასა და სოფლის მეურნეობაში, ტელე-, რადიო-, კომპიუტერულ და სხვა სისტემებში და, თავის მხრივ (მისი კარგად დაგეგმვისა და გააზრების შემთხვევაში), როგორც მეცნიერებისთვის, ისე სახელმწიფოსთვისაც მოგების მომტანია.

(დასასრული შემდეგ ნომერში)


ქართველოლოგიის პრობლემატიკა და პენსკეპტიკა

2015 წლის 11-13 ნოემბერს საქართველოს საპატრიარქოს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნი-

ნიერების, ხელოვნებათმცოდნეობის, ლიტერატურათმცოდნეობისა და ისტორიოგრაფიის აქტუალური საკითხები.

კონგრესის საპატიო თავმჯდომარე იყო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II; თავმჯდომარე - აკად. როინ მეტრეველი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი; თანათავმჯდომარე - მეუფე დანიელი (დათუაშვილი), საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან არსებული ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრის ხელმძღვანელი.

კონგრესზე სიახლით სავსე საინტერესო მონოგრაფიები იქნა წაკითხული. ცნობილი ქართველოლოგის ბერნარდ უტიეს (საფრანგეთი) მოხსენება ეხებოდა სომხეთში აღმოჩენილ ქართული ხელნაწერის ახალ უცნობ ფრაგმენტებს; არქეოლოგმა ვახტანგ ლიჩელმა მოხსენება წარმოადგინა გრაკლიანის გორაზე აღმოჩენილი ახალი წარწერების შესახებ; რუმინეთიდან ნიკოლაი დურას მოხსენება ეხებოდა ანთიმოზ ივერიელის ცხოვრებასა და მოღვაწეობას... საინტერესო იყო შვედი პროფესორის კარინა ვამლინგის მოხსენება - „ეს ღვინის ჭურჭლები არ ჩამორჩება ძველი გოთების სასმელთა ჭურჭლებს“ - ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალები საქართველოს შესახებ“. მოხსენებაში გაანალიზებული იყო XVIII ს.-ის ბოლოსა და XIX ს.-ის დასაწყისში შვედურ ენაზე გამოქვეყნებული ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. მომხსენებლის განმარტე-



ვერსიტეტის ორგანიზატორობით გაიმართა პირველი საერთაშორისო კონგრესი „ქართველოლოგიის პრობლემები და პერსპექტივები“.

კონგრესში მსოფლიოს ათამდე ქვეყნის (საფრანგეთი, გერმანია, შვედეთი, ისრაელი, თურქეთი, რუმინეთი, ჩეხეთი, ინგუშეთი, აზერბაიჯანი, იაპონია) მეცნიერი მონაწილეობდა. მასზე განხილული იყო ენათმეც-



ბით, მასალები კარგადაა ცნობილი ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ენებზე, მაგრამ ასევე მოიპოვება „მცირე ენებზეც“, როგორცაა, მაგალითად, შვედური.

შვედი პროფესორის გამოკვლევა ემყარება ინტერნეტში მოპოვებულ შვედური პრესის მასალებს 1750 წლიდან, რომლებიც დაცულია შვედეთის სამეფო ეროვნულ ბიბლიოთეკაში. მონაცემთა ბაზა შეიცავს შვედური გაზეთების 200 000-ზე მეტ გვერდს XVIII საუკუნიდან XX საუკუნემდე. მაგალითად, „საქართველოსა“ და „ტიფლისის“ ძებნამ 1771-დან 1798 წლამდე პერიოდში აჩვენა, რომ ეს სიტყვები 50-ჯერ მოიხსენიება სხვადასხვა სტატიაში XVIII ს.-ის ბოლო ათწლეულებში, - აღნიშნა მკვლევარმა.

მოხსენებაში ყურადღება გამახვილებული იყო სტატიების სერიაზე, სახელწოდებით „ახალგაზრდა ფინელი მეომრის მოგზაურობის მოგონებები მისი და-ძმებისადმი მიწერილ წერილებში შვედეთსა და ფინეთში“, რომელიც დაიბეჭდა შვედურ გაზეთში *Post och inrikes tidningar* (1844). ავტორის ვინაობა არ ყოფილა მითითებული, მაგრამ ტექსტიდან ირკვევა, რომ იგი მსახურობდა გენერლის შტაბის ოფიცრად რუსულ არმიაში.

XIX ს.-ის დასაწყისში არეული დრო იყო შვედეთში. რუსეთთან ომის შემდეგ 1808-1809 წლებში შვედეთმა დაკარგა თავისი აღმოსავლეთი ტერიტორიები, ე. ი. ფინეთი, რომელიც მიიერთა რუსეთმა. შვედურენოვანი მოსახლე-

ობის დიდი ნაწილი დარჩა ფინეთში და შვედური კვლავაც იხმარებოდა, როგორც სალიტერატურო ენა, ფინეთში, რუსეთის იმპერიის ფარგლებში. ამით აიხსნება ის, რომ რუსული არმიის ფინელი ოფიცერი რუსეთ-კავკასიის ომის დროს შვედურად წერდა წერილებს.

ახალგაზრდა ფინელი ოფიცრის მოგზაურობის მოგონებები მისი და-ძმებისადმი მიწერილ წერილებში ფინეთსა და შვედეთში დაწერილია 1838-1839 წლებში, ხოლო გამოქვეყნებულია რამდენიმე წლის შემდეგ. ტექსტი შეიცავს დაახლოებით 13 000 სიტყვას და იყოფა შვიდ ჯგუფად. თხრობა იწყება ფინეთში, საიდანაც ავტორმა დაიწყო თავისი მოგზაურობა საქართველოში. ტექსტი მთავრდება ახულგორში, დაღესტანში. ტექსტის ოთხი ნაწილი მოიცავს საქართველოს (გამოქვეყნებულია 24-28 თებერვალს და 1-2 მარტს, 1844 წელს) და მის ნაწერებში ყველაფერი დაწვრილებითაა განხილული. აღწერილია თბილისი და ის ადგილები, რომლებიც ავტორმა მოინახულა საქართველოში თავისი მოგზაურობისას, ასევე შეხვედრებს ადგილობრივ მოსახლეობასთან და მის შეხედულებებს ურთიერთობებსა და სოციალური სტრუქტურის შესახებ, ადგილობრივ წესჩვეულებაზე, ტრადიციებსა და ცხოვრების ყაიდაზე. ავტორი მახვილი თვალთ აღიქვამს დეტალებს და გვანვდის ხატოვან აღწერას, თუ როგორ აღიქვამს იგი ცხოვრებასა და ხალხს საქართველოში 1830-იან წლებში.

ჩვენი ენა ქართული

მანანა ტაბიკა
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

უცხოებიდან თვისობაად

„ნეტაჲ მას ჟამსა, ჩაჲ იგი იქმნებოდა!“
ნინოს ცხოვრება (შატბუხეძი)

ეთნიკურ-ენობრივი იდენტობის კვლევა თანამედროვე ჰუმანიტარული დისციპლინების ერთ-ერთი საკვანძო მიმართულებაა. საკუთრივ საენათმეცნიერო დარგებიდან კი არეალური (რეგიონულობის) თვალსაზრისით იდენტობის შესწავლაში ერთმანეთს ეცილებიან არეალური ლინგვისტიკა, სოციოლინგვისტიკა, ლინგვოკულტუროლოგია, ლინგვოანთროპოლოგია და სხვ. თავად იდეა, რომ ენობრივი იდენტობის წაკითხვა მოხერხდეს არა კონკრეტული ეთნოსის ან ზეეთნოსური თავისებურებების დადგენის გზით, არამედ გეოგრაფიულად შემოსაზღვრული, მაგრამ ეთნიკურ-ენობრივად მრავალფეროვანი სივრცის შიდა საზოგადოებების მსგავსებაგანსხვავებათა გამოვლენის მეშვეობით, ადრეც არსებობდა, მაგრამ გარკვეულ დისციპლინად მისი ჩამოყალიბება შედარებით ახალი მოვლენაა. კიდევ უფრო ახალია ამ დისციპლინის ფარგლებში კავკასიური და საკუთრივ ქართული იდენტობის კვლევა; ამიტომაცაა, რომ ჯერ კიდევ პასუხგაუცემელია ისეთი სტრატეგიული კითხვები, როგორიცაა: არსებობს თუ არა საერთო ქართული იდენტობა, თუ საქართველო, როგორც ქვეყანა, და ქართველი ერი,



მთლიანობას არ წარმოადგენს? ოდენ გეოგრაფიულია თუ იდენტობისეულიცაა ცნებები ქართულში: იმერ-ამერი საქართველო; როგორია საქართველოს გეოგრაფიული, პოლიტი-



კური და სოციალურ-კულტურული საზღვრები თავად ქართველი მოსახლეობისათვის, და როგორია იგი გარედან, გარე სამყაროს თვალთ დანახული? რა ნიშნების მიხედვით ახასიათებენ ქართველები საკუთარ მეზობლებს, საკუთარ თავს, და რა ნიშნებით - სხვებს? არსებობს კი ასეთი საერთო ნიშნები? როგორ ახასიათებენ ქართველებს სხვები და ა. შ.

ჩვენი ვარაუდით, ფოლკლორი და წერილობითი ტრადიცია უეჭველად ინახავს შიდაეროვნულ წარმოდგენებს ქართველთა ცნობიერების ხასიათზე; ენა, ენობრივი მასალა, კერძოდ ლექსიკა-ფრაზეოლოგია (სიტყვანარმოებითი საშუალებები), ქართული ეთნიკური იდენტობის ცხრაკლიტულის ერთ-ერთ გასაღებს წარმოადგენს.

ქართული ჰაგიოგრაფიის მიხედვით, უცხოელისათვის გაქრისტიანება გაქართველების გავლით ხდებოდა, რადგან ქართული სასულიერო წიგნებით ეზიარებოდა იგი ქრისტეს რჯულს, ხოლო ქართველთა თვალში ეს ორი კომპონენტი (ქრისტიანობა და ქართული ენის ცოდნა) საკმარისი იყო ამ ადამიანის ქართველად მიჩნევისათვის (აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მარტო სარწმუნოებრივი განსხვავებაც საკმარისი იყო, რომ ქართველი არაქართველად ჩაეთვაღათ (მაგ., გრიგორიანელ ქართველებს რომ სომხებს ეძახდნენ, ან კათოლიკე ქართველებს - ფრანგებს): თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ქართველების დაყოლიება რჯულის გამოცვლაზე იოლი საქმე არ გახლდათ; აი, რას წერს პროპაგანდა ფიდეს კონგრეგაციის მდივანი ავიტაბილეს წერილების საფუძველზე დანერგულ ანგარიშში 1638 წელს, კონსტანტინეპოლში): „სამეგრელოში პატრებს უდგათ საცხოვრებელი სახლები, ეკლესია აქვთ წიფურიაში. ამავე დროს გადანყვებილი აქვთ გორის რეზიდენციაც აქ გადმოიტანონ. მეორე რეზიდენცია აქვთ გურიაში, რომელიც

ძალიან ცუდ მდგომარეობაშია... ქართლის პროვინციაში მისიონერებმა სულ ექვსი პირი მოაქციეს კათოლიკობაში, რომელთაგან ორი დღემდე ისევ თავიანთ სარწმუნოებას მისდევს... შევნიშნავ, რომ ჩვენი მისიონერები მეტისმეტად ექვემდებარებიან საერო მეფეთა ვრებს, ამავე მთავრებისაგან ყმებსაც კი იყვანენ და ზოგჯერ შეუფერებელ საქმეებსაც კისრულობენ“ (დონ პიეტრო ავიტაბილე, ცნობები საქართველოზე (XVII საუკუნე), თბილისი, 1977, გვ. 80).

ხოლო თავად ავიტაბილე, რომელიც კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენლისათვის დამახასიათებელი უპირატესობის გრძნობით წერს ქართველ მართლმადიდებლებზე, იძულებულია არაერთხელ აღნიშნოს, რაოდენ არაპოპულარულია მისი (და კონგრეგაციის სხვა წარმომადგენელთა) მისია მოსახლეობაში: „... მაგრამ მაინც უნდა გითხრათ მხოლოდ ერთი განსაკუთრებული რამ, რაზედაც არ შემოძლია არ დავფიქრდე უდიდესი გულისტკივილით. მე თვითონ მიკვირს, ამ ხანობამდე როგორ ვარ ცოცხალი...“ (ავიტაბილე, 1977, გვ. 21).

რჯულის გამოცვლა ეროვნულობის გამოცვლის ტოლფასი ტერმინით აღინიშნება შემდეგ მაგალითში: „და რა ჩავიდა ყაენთანა ვახტანგ, სცა დიდი პატივი და დიდად მიიჩნივეს. და შეუკვეთეს სჯული მაჰმადისა. და უთხრა პირველად ბევრი უარი, და არღარა ღონე ჰქონდა, მაშინ მორჩილ ექმნა. გაათათრეს და წარმოგზავნეს ჯანიშინად ქართლსა და მოვიდა ქართლსა“ (ქართლის ცხოვრება, II, 1959, 433).

უნდა აღინიშნოს, რომ რჯულის მიხედვით ეთნოსური კუთვნილების განსაზღვრა არაქართველებსაც ახასიათებთ და ამგვარი მიდგომა ევროპელებსაც სჩვევიათ; მაგალითად, დე გრაი დე ფუა თავის „რელაციაში“ წერს: „რამდენიმე დღის შემდეგ მან შეიტყო, რომ რამდენიმე თა-



თარმა ლეკმა ცხინვალს ჩაუარა და რომ ისინი მეზობელ სოფელში გაჩერდნენ“ (დე გრაი დე ფუა საქართველოს შესახებ, საქართველოს ისტორიის წყაროები, 38, თბილისი, 1985, გვ. 52).

ქართული ჰაგიოგრაფიული მწერლობა საუკეთესოდ გვიჩვენებს იმ ციკლს, რომელსაც გადის პიროვნება მონამობამდე და მარტვილობიდან წმიდანობამდე. ამ ციკლში ერთ-ერთი აუცილებელი პირობა ღვთისმეტყველებაში ქართულად განსწავლაა (რაც უძღვის ან ახლავს საკუთარი მისიის გაცნობიერებას) და რაც გაქართველების ტოლფასია.

გავიხსენოთ თუნდაც ჰაბოს წამება, სადაც აღწერილია სწორედ ეს ეტაპობრივი განვითარების გზა მომავალი წმიდანისა: „და რაჟამს მოვიდა იგი ქართლად, ცხონდებოდა იგი ნერსე ერისთვისა თანა და თვისთა სათნოებითა იქმნა იგი საყუარელ ყოვლისა ერისა და შესძინა სწავლად ქართულისა მწიგნობრებისა და ზრახვისა ჳსნილად. მაშინ იწყო ზედამინევენად და სწავლად წმიდათა საღმრთოთა წიგნთა ძუელისა და ახლისა შჯულისათა, რამეთუ უფალი მეცნიერჰყოფდა მას“, – წერს იოანე საბანისძე.

ამავე დამოკიდებულების დასტურია იოანე ქონქოზისძის ჰიმნოგრაფიული ნაწარმოებიც, რომლის სათაური ასეთია: „გალობანი ქრისტეს ნათლისღებისანი და ჰაბო ისმაიტელყოფილისა ქართველისანი“.

სულიერი სრულყოფისა და მისიის აღსრულებისაკენ მიმავალი გზა სწორედ ქართული ენის გავლით გაიარა წმიდა ნინომ, რომელიც კაბადოკიაში ყოფნისას ყველაზე მეტად საქართველოს, როგორც უცხო ქვეყანას, შეუშინდა და ქართული ენის არცოდნა უდიდეს დაბრკოლებად დაასახელა:

„ხოლო წმინდამან ნინო იწყო ტირილად და ვედრებად მისა: “უფალო, მე დედაკაცი ვარ უცხო და უმეცარი, და არცა ვიცი ენა, ვითარ მივიდე უცხოთა ქუეყანასა და უცხოთა ნათე-

სავთა თანა” (ქართლის ცხოვრება, I, 86, 7-9).

ეთნიკური და ენობრივი კონტაქტების, სხვადასხვა თავისებურებათა შერევისა თუ დაკარგვის შეფასება ქართველ ავტორთა მიერ:

ეროვნული თვითობის განცდა სავსებით ღრმა და გაცნობიერებული ჩანს ძველ წყაროებში. ქართველი საზოგადო თუ საეკლესიო მოღვაწენი ფხიზლად გრძნობენ ყველა იმ მომენტს, რომლის დროსაც მათი ეროვნული ღირსების გრძნობა ან ეროვნული „უფლებები“ შეიძლება შეილახოს და მუდამ მზად არიან მოიგერიონ ასეთი „შემოტევა“; ისინი უცხოელებთან საუბარში ხაზს უსვამენ ქართველთა სარწმუნოებრივ, ენობრივსა და კულტურულ ტრადიციებს:

როდესაც მიმართა ბერძენმა პატრიარქმა ქართველ ბერს, ჩვენს დაქვემდებარებაში უნდა მოექცეს ქართული ეკლესიებიო. ხოლო ბერმა, რომელიც დიდად აქო პატრიარქმა ბერძენის საუკეთესოდ ცოდნისათვის, და რომლის შესახებაც სხვა ბერძენმა ბერებმა პატრიარქს უთხრეს: „ჰე, არს ერთი ვინმე მონაზონი ღრ[ა] მატკოსი და ბერძულთა წიგნთა ქართულად თარგმანის“, პატრიარქს უპასუხა, მე ყველაზე „უნარჩევესი და უმდაბლესი“ ვარ ჩემს ძმათა შორის, ხოლო ქართველნი ანდრია მოციქულის და სვიმონ კანანელის „ნაწილნი ვართ და სამწყსონი, და მის მიერ მოქცეულნი და განათლებულნი, და ერთი წმინდათა ათორმეტთა მოციქულთაგანი - სვიმონს ვიტყვ კანანელსა - ქუეყანასა ჩუენსა დამარხულ არს აფხაზეთს, რომელსა ნიკოფსი ეწოდების“ („ცხ. გიორგი მთაწმიდელისა“).

არსენ იყალთოელი:
*„არსენ მეტყველებს ამათ იყალთოელი“:
 „...რომელმან შენთა სიტყუათა უფსკრულისა სივრცისა კერძო ფრიად შრომით წავჰლე ელლენურსა რა ქართველთა ენად ვსცვლიდი ნიშებმოსილთა მამათა სიქადულო!“*



ქართველთა ეთნიკურ-ენობრივი იდენტობის (თვითობის) კვლევაში განსაკუთრებულად საინტერესოა „ნინოს ცხოვრების“ ტექსტი. წმ. ნინოს (დაახ. 301–332 წწ.) „ცხოვრების“ ძირითადი რედაქციებია შატბერდული (X ს.), ჭელიშური (XIV ს.) [2] და სინური (X ს.). გარდა ამისა, ნინოს ცხოვრების განსხვავებული რედაქცია არის ჩართული საისტორიო თხზულებაში – „ცხოვრება ქართუელთა მეფეთა“ („ქართლის ცხოვრება“), სადაც თხრობა, განსხვავებით „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ რედაქციები-საგან, მესამე პირში მიმდინარეობს. XII საუკუნის დასაწყისში არსენ ბერმა (ფიქრობენ, რომ შესაძლოა ეს იყოს არსენ იყალთოელი) შექმნა წმ. ნინოს „ცხოვრების“ მეტაფრასული რედაქცია, ხოლო XIII საუკუნეში ანონიმი ავტორის მიერ შეიქმნა მისი პერიფრაზირებული ვერსია. სახასიათოა, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ შატბერდულ ვერსიაში, მას შემდეგ, რაც ჩამოთვლილია წმ. ნინოს უდიდესი ღვაწლი ქართლის გაქრისტიანების საქმეში და ის წინავითარება და დაბრკოლებები, რომლებიც ამ პროცესს უძლოდა, აღწერილია ამ განსაკუთრებული წმიდანის უკანასკნელი დღეები, „ვითარ მოინია ქუეყანასა კხოეთისასა, დაბასა ბუდს, დასწეულდა სწეულებითა მით, რომლითა-ცა მო-ცა-კუდა. მაშინ შეუკრბეს მეფენი ქუეყანისანი და მთავარნი დედებითურთ და სიმრავლჳ ერთა ძლიერთაჲ, რამეთუ ჰხედვიდა ყოველი კაცი პირსა ნინოჲსსა, ვითარცა ზეცისა ანგელოზისასა“.

სწორედ ამ დროს სთხოვეს სალომე უჯარმელმა და სხვა დედებმა ნინოს ეამბნა მათთვის თავისი თავგადასავალი: **„ვინაჲ ანუ ვითარ მოშუერ შენ ქუეყანასა ჩუენსა მაცხოვრად ჩუენდა, ანუ სადა-მე იყო აღზრდაჲ შენი, დედოფალო? მაუნყე ჩუენ საქმჳ შენი! რაჲსა იტყვ ტყუეობასა, ტყუეთა მჳსნელო, სანატრელო!“**

და აი, წმ. ნინო ჰყვება თავის ისტორიას და დედანი და დედოფალნი იწერენ მას. თავისი ოჯახის დახასიათების შემდეგ ნინო აღნიშნავს, რომ როდესაც თორმეტი წლისა იყო, მათი ოჯახი იერუსალიმში გადასახლდა, მათ გაყიდეს ყველაფერი, რაც გააჩნდათ. იერუსალიმში ნინოს მამამ ჯვარი აიყარა და ღვთის მსახურებაში ჩადგა. ამ დღეს მე მკერდში ჩამიკრა და ცრემლიანმა მითხრაო: „აღდეგ და სწრაფით მიართვ ესე მცხეთას მეფესა წარმართთ[ა]სა“. და ვინყე ტირ[ი]ლით ვედრებად მისსა და ვარქუ: „უფალო, დედაკ[ა]ცი ვარ უცხოჲ და უმ[ე]ცარი, ვითარ მივიდე მე, არცა ენაჲ ვიცი, თუ რაჲ ვთქუა უცხოთა ნათესავთა თანა?“ მაშინ განჴსნა წიგნი იგი და მო-მცა მე კითხვად. დაწერილი იყო ჰრომაელებრ და დაბეჭდული იყო, იესუჲსი.

დაწერილი იყ[ვ]ნეს ათნი სიტყუანი, ვითარცა-იგი პირველ ფიც[ა]რთა ქვის[ა]თა“.

ამ ათი სახელმძღვანელო მითითების დასახელების შემდეგ წმიდა ნინო თავის ქართლში (საქართველოში) მოგზაურობას უბრუნდება, „და ვპოვენ მოგზაურნი და მივიწიე სანახებსა ქართლისასა, ქალაქსა ურბნისისასა და ვიხილე ერი უცხოჲ, უცხოთა ღმერთთა მსახური: ცეცხლსა და ქვათა და ძელთა თაყუანის-სცემდეს“. ერთი თვე ნინომ ქართულის არცოდნით იცხოვრა, ამ დროს ის აღიქვამდა ამ ქვეყანას, მაგრამ უცხო რჩებოდა მისთვის: **„ჰურიათასა ენისათჳს ებრაელებისა და ვიყავ მუნ ერთ თთუე და განვიცდიდ ძალსა ამის ქუეყანისასა“**. ეს უცხოობის განცდა იმდენად მტანჯველი იყო ნინოსათვის, რომ ის თავის მონათხრობში ამ საკითხს არაერთხელ უსვამს ხაზს. „ხოლო მე წარვჰყევე მათ თანა და მივიწიენით ქალაქად მცხეთად, წიაღით მოგუთას, ჴიდსა ზედა დავდეგით მუნ და ვხედვედით ცეცხლის მსახურსა მას ერსა. და მოგუებასა და ცთომასა მათსა

ზედა ვტიროდე წარწყმედისა მათისათჳს და უცხოვებასა-ცა ჩემსა ვეგლოვდი“.

ან კიდევ ერთი ამონარიდი მოვიხმოთ „ნინოს ცხოვრებიდან“:

„...მაშინ მოვიდა დაჲ ესე ჩემი შროშანა, სეფექალი, მიხილა და მოიყვანა ბერძლ-მეტყუელი დედაკაცი და მკითხა ყოველი გზაჲ ჩემი. მაშინ ვხედევდ მე თუალთა მისთა ცრემლთა დინებასა უცხოვებისა ჩემისათჳს.

• მომიგო და მრქუა მე მან: **“უცხოვო და აქა შობილო, ტყუეო და ტყუეთა მჯსნელო, უწყი, რამეთუ შენ ზე მოინია ახალი იგი ჟამი და შენ მიერ ისმეს ჰამბავი იგი ძუელი, მამათა ჩუენთა ნაქმარი, ზეცისა მის კაცისა უბრალოჲსა სისხლისა უსამართლოდ დათხევისაჲ, რომლითა-ცა ქმნა ღმერთმან ჰურიათა სირცხვლი, ცის კიდეთა განზნევაჲ, მეფობისა დაცემაჲ და ტაძრისა მის წმიდისა მოღებაჲ, ერისა მის უცხოჲსა მოგებაჲ და თჳსად წოდებაჲ, და დიდებაჲ მათა მიცემად”**. და კუალად თქუა: “იერუსალჳმ, იერუსალჳმ, ვითარ განგიმარტვან შვილნი შენნი! და შეიკრებ ყოველთა ცის კიდისა ნათესავთა...”

კიდევ ერთი:

• „და იყო, ვითარცა შემოვიდა მეფჳ, იძროდა ყოველი იგი ქალაქი, და ჴმითა მაღლითა ლაღებდა მეფჳ და იტყოდა: “სადა უკუე არს დედაკაცი იგი უცხოჲ, რომელ არს დედაჲ ჩემი, და ღმერთი იგი მისი მჯსნელი ჩემი?”.

„ნინოს ცხოვრებაში“ ორი მთხრობელია: ნინოს თავგადასავლის აღმწერელი და თვით წმიდა ნინო. ეს ორივე „ინფორმატორი“ ერთნაირად აღწერს ნინოს ქართული სამყაროსაკენ სვლისა და ამ სამყაროში საბოლოო ინტეგრირების, „თჳსად“ ქცევის ამბავს: „ხოლო ოდეს მოინია ჟამი და მოვიდა ნეტარი ესე დედაკაცი, მოციქული და მახარებელი ძისა ღმრთისაჲ, წმიდაჲ ნინო, პირველ ვითარცა ტყუე, ვითარცა

უცხოჲ და ვითარცა მწირი, ვითარცა შეუნევენელი ვითარცა უსმი და უტყჳ, რომელი-ცა ან მექმნა ჩუენ ტყუე იგი დედოფალ, უცხოჲ იგი - დედა, შეუნევენელი - შესავედრებელ ყოველთა, და უტყჳ იგი - ქადაგ ძლიერ და მეცნიერ დაფარულთა ჩემთა გულის-სიტყუათა, ამან წმიდამან აღანთო გულსა ჩემსა სანთელი ნათლისაჲ და შუვაღამეს ოდენ მეჩუენა მე მზჳ მბრწყინვალჳ, ქრისტე ღმერთი ჩუენი, რომლისა ნათელი მისი არა მოაკლდეს უკუნისამდე. და მექმნა ჩუენ მოძღუარ და შემრთნა ჩუენ ერსა ქრისტესსა ნათლის-ღებითა წმიდითა და პატიოსნისა ძელისა თავყუანის-ცემითა. და მომცა ჩუენ შჯული ახალი ცხოვრებისაჲ და სიხარულისაჲ და ღირს-მყვნა გემოჲს-ხილვად საიდუმლოთა უხრწნელთა ზეცისათა“.

ასე და ამგვარად განხორციელდა ქართველთათვის უდიდესი მნიშვნელობის მქონე ღვთაებრივი ჩანაფიქრი: - უცხო, ქართველთა ენის არმცოდნე, სხვა სამყაროდან მოსული მშვენიერი ქალი, ხანგრძლივი და რთული გზით ქართველებისაკენ მომავალი, ქართული ენის დაუფლებით ქართველთა გულისა და გონების დედად და თჳსად გადაიქცა.





წინა მარკოზია

ნიკო ბაგრატიონის სახელობის თავად-აზნაურთა
სკოლა-ლიცეუმის ქართული ენისა და ლიტერატურის
მასწავლებელი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი

«ქართული ენა თავისი განშტოებებით»

(საზოგადოების აზრი ქართველური ენა-კილოების
დიფერენციაციის კანონზომიერების შესახებ)

ქართველური ენა-კილოების დიფერენციაციის საკითხი ერთ-ერთ ყველაზე მწვავე პრობლემად იქცა ბოლო ათწლეულის განმავლობაში. ამ საკითხზე ბევრი ითქვა და დაინერა. საენათმეცნიერო დავა, უპირველეს ყოვლისა, მეგრულ-სვანურ ენობრივ ერთეულთა სტატუსის განსაზღვრას ეხება: მათ ან ენებად მიიჩნევენ და ამგვარად ქართულ ენას უთანაბრებენ, ან დიალექტის სტატუსს ანიჭებენ და ქართული ენის სხვა კილოებს შორის ათავსებენ. კამათობენ იმის თაობაზეც, პრობლემა მხოლოდ წმინდა მეცნიერული კუთხით უნდა განიხილებოდეს თუ პოლიტიკური და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესებიც არის გასათვალისწინებელი. თუ საკითხის ისტორიას გადავხედავთ, ცხადი გახდება, რომ ის ყოველთვის მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური ნიშნით აღიძროდა.

წინამდებარე სტატიაში მხოლოდ საკითხის ისტორიას შევახსენებთ მკითხველს და წარმოვადგინებთ სხვადასხვა მკვლევარ-მეცნიერისა თუ საზოგადო მოღვაწის შეხედულებებს აღნიშნულ საკითხზე. წარსულის მაგალითები თუ შეცდომები ყოველთვის ანგარიშგასანევია მომავალში სწორი ორიენტაციის ასარჩევად.

ცნობილია, რომ მეგრელებისა და სვანების სახელდება ქართველთაგან განსხვავებულ ეთნიკურ ჯგუფებად პირველად რუსეთის იმპერიის მმართველობამ სცადა. ცხადია, ცარიზმი ამგვარად ქართველი ერის დაშლა-დანაწევრ-

ბას ცდილობდა, რასაც ემატებოდა რუსეთის კოლონიური პოლიტიკაც. ეთნიკურად აჭრელებული ქვეყნის რუსიფიკაცია კი უკვე დიდ სირთულეს აღარ წარმოადგენდა. მეგრულ-სვანთა განსხვავებულობის საფუძვლად მეტყველების თავისებურება სახელდება (სხვა შემთხვევაში ეთნოგრაფიული ჯგუფების ამგვარი განცალკევების მიზეზი რელიგიური სხვაობა იყო და, მაგალითად, აჭარლები და მესხები თურქებად იწოდებოდნენ). ქართველთა ამგვარი დაყოფა რუსეთის იმპერიის აღწერებშიც აისახებოდა, მაგალითად, 1886 წლის აღწერის მიხედვით, საქართველოში ცხოვრობდა 1.485.677 კაციდან - 914.855 ქართველი, 209.670 - მეგრული (შენიშვნა: ლაზებთან ერთად), 14.035 - სვანი (Первая Всеобщая перепись населения Российской империи 1897 г., Том 69, 1905, <http://www.ethno-kavkaz.narod.ru/rngeorgia.html>).

იმ მიზეზით, რომ სამეგრელოსა და სვანეთის სასწავლებლებში რუსული ენის დაუფლება მეგრულად და სვანურად უფრო „გაუადვილებოდათ“, 1881 წლის იანვარში დაამტკიცეს კავკასიის სასწავლო ოლქის ზედამხედველის კ. იანოვსკის პროგრამა, რომლის მიხედვით, შემოიღეს სწავლება ადგილობრივ ენებზე. სამეგრელოსა და სვანეთში ადგილობრივ „ენებად“ მიჩნეულ იქნა მეგრული და სვანური. პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენელს, პროფესორ ალ. გრენს დაევალა რუსული გრაფი-



კის საფუძველზე მეგრული ანბანის შექმნა. შექმნეს მეგრული და სვანური („ლუმნუ“) ანბანები, დაიწყო მუშაობა დანყებითი სკოლებისთვის სახელმძღვანელოების შედგენა-გამოცემისათვის მეგრულად და სვანურად. სამეგრელოში ამ საქმეში აქტიურობდა ცნობილი ავანტიურისტი **თადა აშორდია**.

გარდა ამისა, მეგრულად და სვანურად „ითარგმნა“ საღვთისმსახურო წიგნები და შემოიღეს წირვა-ლოცვა მეგრულსა და სვანურ ენებზე, მაგრამ ამ მცდელობას, როგორც ი. გოგებაშვილი აღნიშნავდა, ისეთი „ერთსულოვანი წინააღმდეგობა“ შეხვდა, როგორც სასულიერო პირებისგან, ისე მოსახლეობისგან, რომ „ამ ცდას სავსებით მიანებეს თავი“.

იმპერიის ქმედებებს განსაკუთრებით დაუპირისპირდნენ ქართველი საზოგადო მოღვაწეები (ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი, აკაკი წერეთელი, დიმიტრი ყიფიანი, ეპისკოპოსი ალექსანდრე (ოქროპირიძე), ეპისკოპოსი გრიგოლი (დადიანი), ბერ-მონაზონი ალექსი (შუშანია), ნიკო დადიანი და სხვები). მათი პოზიციის თანახმად, მეგრულ-სვანთა ერთადერთი სალიტერატურო ენა არის ქართული და დამწერლობაც ერთადერთი აქვთ - ქართული.

„თუ არა მზაკვარება და უგუნურება, გონიერება და სიმართლე იმას ვერ იტყვის, რომ მეგრელები ქართველები არ იყონ და მეგრულიც ძირითადი ქართული!.. ...არცერთს სამთავროს, არც გურიას, არც აფხაზეთს, არც სვანეთსა და არც სამეგრელოს, არ დავინყებიათ, რომ ქართველები იყვნენ!.. წირვა-ლოცვა, მნიგნობრობა და სადარბაისლო საუბარი მათი, ყველასი, იყო ქართული და ქართული“, - წერდა აკაკი წერეთელი (აკაკი წერეთელი, უბრალო საუბარი, რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. 5, თბ., 1990, 265).

მეგრელებისა და სრულიად ქართველობის შეურაცხყოფად მიიჩნევდა **იაკობ გოგებაშვილი** სწავლების ენის შეცვლას სამეგრელოსა და სვანეთში, მით უმეტეს, რომ რუსეთის იმპერიის ხელისუფლება სხვა ოლქებში მსგავს ქმედებას არ მიმართავდა: **„მეგრელებისათვის იმის თქმა,**

რომ ისინი ქართველები არ არიან, რომ მათ არა აქვთ არც ანბანი, არც დამწერლობა, არც ლიტერატურა, რომ ყველაფერი ეს ამიერიდან უნდა შეიქმნასო, განა ეს იმას არ ნიშნავს, რომ წავართვათ მათ მთელი მათი სახელოვანი წარსული, მთელი ისტორიული მონაპოვარი, გამოვაცხადოთ ისინი გონებრივ ლატაკებად და გვერდით ამოვუყენოთ ისეთ ბარბაროსულ ტომებს, რომელთაც არავითარი ისტორია არ გააჩნიათ? ...სამეგრელოს სკოლებში საუკუნეების მანძილზე არსებული სწავლების წინანდელი სისტემის გაუქმება არათუ უსაფუძვლო, უსამართლო და საზიანოა, არამედ შეურაცხმყოფელიცაა ქართველი ხალხისათვის. კავკასიაში არ მოიპოვება არც ერთი ხალხი, რომელიც რამდენიმე კილოზე არ ლაპარაკობდეს. მიუხედავად ამისა, კავკასიის სასწავლო ოლქი ყველგან სწავლებას საერთო სახალხო ენაზე აწარმოებს“, - აღნიშნავდა ის. იქვე ი. გოგებაშვილი შენიშნავს, რომ მეგრელებზე თქმული სვანებზეც უნდა გავრცელდეს: **„ის, რაც მეგრელთა შტოს შესახებ ითქვა, სავსებით შეეხება ქართველი ხალხის მეორე შტოსაც - სვანებს, რომელთა არაქართველებად გადაქცევას ლამობენ იგივე გულმოდგინე, მაგრამ ხეპრე პოლიტიკანები, წინააღმდეგ ამ სიმპათიური მთიელი ქართველების სურვილისა, რომლებიც ჩვენი წელთაღრიცხვის IV საუკუნიდან დღემდე მხოლოდ ქართულ ენას და ქართულ ალფაბეტს ხმარობენ ეკლესიაშიც, სკოლაშიც და თავისი ცხოვრების ყველა სხვა სფეროშიც“** (იაკობ გოგებაშვილი, მეგრული დანყებითი სკოლისათვის, <http://www.webmix.ge/vvi/doc.php?doc=1986>).

„მეგრულ ენაკავზე ლოცვანისა და სახელმძღვანელოების თარგმნა იქნება ანტიქრისტიანული აზრებისა და ღვთისმგმობელობის ხელოვნური გაღვიძება“, - წერდა ნიკო დადიანი (ზვიად გამსახურდია, „სამეგრელოს საკითხი“, „ლიტერატურული საქართველო“, №44, 3.11.1989, 6).

ქართველმა საზოგადოებამ მიაღწია იმას, რომ მმართველმა ხელისუფლებამ ხელი აიღო



მეგრულ-სვანურად სწავლებაზე და წირვა-ლოცვა-ც შეწყვიტეს ამ „ენებზე“, თუმცა მხოლოდ დროებით. XIX საუკუნიდან მოყოლებული ეს საკითხი პერიოდულად წამოიწვედა ხოლმე და ყოველთვის მნიშვნელოვანი პოლიტიკური ცვლილების პერიოდს ემთხვეოდა. გასაბჭოების შემდეგ, 20-იან წლებში, სამეგრელო-სვანეთის ავტონომიის საკითხი დაისვა. ზუგდიდში ჩამოყალიბდა რამდენიმეკაციანი ჯგუფი „მაფალუ“, რომელიც სეპარატიზმს აღვივებდა სამეგრელოში. ჯგუფს ხელმძღვანელობდა ზუგდიდის რაიკომის პირველი მდივანი ისააკ ჟვანია. 1925 წ. მიიღეს დადგენილება სკოლებში მეგრული „ენის“ შემოღების, მეგრული გაზეთების გამოცემის შესახებ. მეგრულად „ითარგმნა“ „ვეფხისტყაოსანი“. მეგრულს უკვე ოფიციალურად ეწოდა „ენა“. მეგრელებსა და სვანებთან ერთად ცალკე ხალხად აღიარებდნენ აჭარლებსაც.

ამ მოვლენებს არც მაშინ შეხვედრია მშვიდად ქართველი საზოგადოება. სამეგრელოს ავტონომიის წინააღმდეგ გაილაშქრეს: კონსტანტინე გამსახურდიამ, თედო სახოკიამ და სხვ., მათ შორის თავად სამეგრელოდან გამოსულმა კომუნისტებმაც.

„წუთუ მეოცე საუკუნეში ვინმემ უნდა თქვას: მეგრული სხვა არის და ქართული კიდევ სხვაო?! ... ყველას მოგეხსენებათ, რომ მეგრული ენის საკითხი რუსების შემოსვლამდე არ არსებობდა. ეს საკითხი გაჩნდა მას აქეთ, რაც რუსებმა საქართველოში ფეხი მოიკიდეს. როცა საქართველოს სხვადასხვა სამთავროები გაუქმდა და ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა ნაწილები გაერთიანდა, რუსის მთავრობამ იგრძნო ამ გაერთიანების საშიშროება და გადაწყდა ხელოვნურად შეექმნა დაქუცმაცება ჩვენის ქვეყნისა“, - წერდა თედო სახოკია (თედო სახოკია, „თქვენ რაღას მისდევთ?!“, „საქართველოს რესპუბლიკა“, №175, 12.09.1992, <http://www.georoyal.ge/?MTID=4&TID=3&id=2111>).

რაც ყველაზე მთავარია, ამჯერადაც თვითონ სამეგრელოს მოსახლეობამ გამოიჩინა მაღალი შეგნება და არ მიიღო შემოთავაზებული ცვლილებები. მეგრულ გაზეთებს თითქმის არა-

ვინ ყიდულობდა, „ქართული ყველამ ვიცით და მეგრული გაზეთი არ გეჭირდება“, - ამბობდნენ ისინი. საბოლოოდ, ბოლშევიკურმა მთავრობამ აღიარა: თავად მეგრელებს არ სურთ სამეგრელოს ავტონომიური ოლქის შექმნა და საკითხი დაიხურა. ი. ჟვანია 1937 წლის რეპრესიების მსხვერპლი გახდა. ასე დასრულდა სეპარატიზტული მოძრაობის მეორე ეტაპი სამეგრელოში.

ბრძოლა მაინც არ ცხრებოდა. 50-იანი წლებიდან მოყოლებული, ხშირად იბეჭდებოდა წერილები, რომლებშიც მეგრელები, სვანები, აჭარლები დანარჩენი ქართველებისგან განსხვავებულ ეთნოსებად იწოდებოდნენ. 80-იანი წლებიდან სამეგრელოს ზოგიერთ რაიონში გაჩნდა სეპარატიზტული განწყობილება, რომლის მართული და პროვოკაციული ხასიათი აშკარა იყო. აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში მეგრული გვარის მქონე ქართველებს ეროვნებად პასპორტში „მეგრელს“ უწოდებდნენ (1989 წლის სტატისტიკური მონაცემებით, აფხაზეთის ტერიტორიაზე 2 ათასამდე მოქალაქე „მეგრელად“ ჩაენერა), სოხუმში შეიქმნა „სამეგრელოს აღორძინების კომიტეტი“. იგი უშვებდა პროკლამაციებს, რომლებშიც ამტკიცებდნენ, რომ სამეგრელო თურმე საქართველოს მიერ იყო დაპყრობილი, და რომ მან უნდა შექმნას დამოუკიდებელი სახელმწიფო და სხვ. (ზვიად გამსახურდია, „სამეგრელოს საკითხი“, „ლიტერატურული საქართველო“, №51, 22.12.1989, 5).

1988 წელს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ე. ზეიმალი, მსჯელობდა რა საბჭოთა კავშირში ჩატარებული მოსახლეობის აღწერების შესახებ, გამოთქვამდა შემფოთებას იმის თაობაზე, რომ აღწერიდან აღწერამდე მოსახლეობის ეთნიკური ჯგუფების რაოდენობა იკლებს, განსაკუთრებით საქართველოზე ამახვილებდა ყურადღებას: **„ქართველი ერის შემადგენლობაში შერწყმული აღმოჩნდნენ მეგრელები (1926 წ. - 243 ათასი ადამიანი). ...„გაუქმებული“ ეროვნებები უკვე ნახევარი საუკუნეა მოკლებული არიან შესაძლებლობას შეისწავლონ მშობლიური ენა, იკითხონ გაზეთები და წიგნები მასზე, უსმინონ რადიოს და ა. შ. პასპორტში**

ეროვნების შესახებ ჩანაწერი არ შეესაბამება მათს ეროვნულ თვითშეგნებას“ (E. Зеймаль, О чем говорят цифры, «Советская Культура», 9.07.1988, №82, 7).

მსგავს გამონათქვამებს უყურადღებოდ არასდროს ტოვებდა ქართველი საზოგადოებრიობა. ზეიმალის წერილს აღშფოთებით უპასუხეს ქართველმა მეცნიერებმა და მწერლებმა. ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი ბესარიონ ჯორბენაძე, თსუ გამოყენებითი სოციოლოგიის კათედრის გამგე ედუარდ კოდუა, ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი დავით მუსხელიშვილი უპასუხებდნენ წერილს: „მეგრელებსა და სვანებს ქართველებთან შერწყმა სულაც არ სჭირდებოდათ, რადგან ისინი ქართველები არიან და არასოდეს ყოფილან მათგან მოკვეთილი. მეგრელებსა და სვანებს არასოდეს დაუკარგავთ მშობლიური ენის შესწავლის შესაძლებლობა, რადგან მათი მშობლიური ენა ქართული ენა გახლავთ (ხაზი ჩვენია - ავტ.). მეგრელთა და სვანთა ტომებიდან გამოსული მწერლები, მეცნიერნი, ხელოვანნი, ქართველთა სხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელთა მხარდამხარ, ქმნიდნენ თავიანთ ნაწარმოებებს ქართულ ენაზე, რითაც თავიანთი წვლილი შექმნიდათ ერთიანი ეროვნული ლიტერატურული ენის ჩამოყალიბება-განვითარების საქმეში“ (ბესარიონ ჯორბენაძე..., მეტი კომპეტენტურობაა საჭირო, „ლიტერატურული საქართველო“, №33, 12.08.1988).

„ისტორიულად ისე ჩამოყალიბდა, რომ ლიტერატურული, რელიგიური და სახელმწიფოებრივი ფუნქცია თავის მხრებზე საკუთრივ ქართულმა აიღო, ხოლო სვანურსა და მეგრულ-ჭანურს კუთხური და საოჯახო ფუნქციები შერჩა. ... იმთავითვე მეგრელმა, ლაზმა და სვანმა ცენტრალურ-ლიტერატურული, რელიგიურ-სააღმსარებლო, სახელმწიფოებრივი ადგილი მიუჩინა სრულიად საქართველოს ენას, ამავე დროს კუთხურიც არ დაუკარგავს. ქართველი ერის ზოგიერთი მოძულის მხრიდან იყო ცალკეული ცდა, ამ ნიადაგზე დაყრდნობით ბზარი დაეჩინათ ერთიანი ქართული სულისათვის, მაგრამ მსგავსი მცდელობანი

მუდამ კრახით დამთავრებულა“, - წერდა მწერალი, ლიტერატორი ჯემალ ქირია (ჯემალ ქირია, ჩვენს სიმდიდრეს ჩვენვე მივხედოთ, „ლიტერატურული საქართველო“, №49, 2.12.1988, 4).

ინგლისელი ქართველოლოგი, ლონდონის უნივერსიტეტის პროფესორი ჯორჯ ჰიუიტი (იგი დღესაც აქტიურად მუშაობს მეგრულის „უფლებების დასაცავად“: მისი მოწოდებები მეგრული სეპარატიზმისკენ ახლაც იბეჭდება გალში გამომავალ რუსულ-მეგრულ-აფხაზურენოვან გაზეთ „გალში“) ჯერ კიდევ 80-იანი წლებიდან წუხდა აფხაზური ენის მომავალზე და მასთან ერთად მეგრულსა და სვანურზეც: „1979 წელს ქართველები წარმოადგენდნენ აფხაზეთის მოსახლეობის 43 პროცენტს. მაგრამ უნდა დავსვა კითხვა - ვინ და ვინ არიან ეს „ქართველები“? თითქმის გამონაკლისის გარეშე ესენი გახლავან მეგრელები და მეგრელთა დედა-ენა (და არა დედა-დიალექტი!) გახლავთ მეგრული: - უმრავლესობამ კი იცის ქართულიც, მაგრამ ეს არის მათი მეორე ენა (მესამე იქნება რუსული). როგორც ენათმეცნიერმა და კავკასიოლოგმა უნდა გითხრათ, რომ გადაჭარბებული არ არის იმის თქმა, რომ აფხაზური გადაშენების პირას დგას, და, თუ თქვენ არ ნაიღებთ შესაბამის ზომებს, რათა უზრუნველყოთ აფხაზურის სწავლა და ხმარება, რამდენიმე თაობის შემდეგ გაქრება, როგორც გაქრა მისი და-ენა (უბიხური). სხვათა შორის როგორღა უზრუნველყოთ სვანურისა და მეგრულის მომავალი, თუკი ნებას დამრთავთ ცხვირი ჩავყო ამ საქმეში?!“ (ჯორჯ ჰიუიტი, უცხოელის დაკვირვებანი აფხაზეთისა და ქართველების დაძაბულ ურთიერთდამოკიდებულებებზე, „ლიტერატურული საქართველო“, №29, 21.07.1989, 2).

ჰიუიტის ამ სტატიას ქართველ მეცნიერთა აღშფოთება მოჰყვა.

ყველა შემთხვევაში საბოლოოდ ირკვეოდა, რომ დაკვეთა მსგავსი პროვოკაციების გასავრცელებლად „ზემოდან“ მოდიოდა. ცნობილია საბჭოთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნის მიხეილ სუსლოვის დახურული მოხსენების ფრაგმენტი, რომელშიც კომუნისტური პარტიის გეგმაა გაცხადებული:



„კომუნისტური პარტია რუსეთის წებოა და სანამ ეს წებო თავის ძალას, თავის თვისებას არ დაკარგავს, მანამდე უნდა ავამუშაოთ რუსეთის გადარჩენის გეგმა, რომელიც სხვადასხვა რესპუბლიკაში სხვადასხვა იქნება.

შორეულ აღმოსავლეთში მცხოვრებ გენერლებს უნდა მივცეთ ცხოვრების ნორმალური საშუალება. მათ ჩამოსასახლებლად გვჭირდება შავი ზღვის სასაზღვრო ტერიტორია, სადაც, როგორც მოგეხსენებათ, ქართველები ცხოვრობენ. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ქართველები ჩვენგან ძლიერ განსხვავდებიან, ადრე თუ გვიან, საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხს დააყენებენ და თავისუფლებას მოითხოვენ. მათთან ბრძოლა უნდა დავიწყოთ აფხაზეთიდან. აფხაზეთის გამოყენებით სამეგრელოს, სვანეთს, აჭარასა და სხვა კუთხეებს უნდა მივცეთ დამოუკიდებლობა. მათში ცალ-ცალკე უნდა გავაღვივოთ კუთხურ-ეროვნული გრძნობა. დასავლეთ საქართველო უნდა დავუპირისპიროთ აღმოსავლეთს, ამის შემდეგ მათ შორის მომრიგებლის ფუნქცია უნდა შევასრულოთ. პარალელურად ქართველები მეცნიერულად უნდა დავარწმუნოთ, რომ ისინი სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსახლებულნი, სხვადასხვა ერის წარმომადგენლები არიან, რაც მათი საქართველოს ტერიტორიიდან საბოლოოდ გაქეზების საშუალებას მოგვცემს“ (თეიმურაზ გვანცელაძე, ენისა და დიალექტის საკითხი ქართველოლოგიაში, თბ., 2006, 130; ასევე: ჟურნ. „მებრძოლი საქართველო“, №33, 26.05.2003).

მანამდე 1921 წლის აპრილის დოკუმენტში საბჭოთა რუსეთის სამხედრო ატაშე საქართველოში გენერალი პ. სიტინი აცხადებდა: „აფხაზეთის შემდეგ ყურადღება უნდა მიექცეს სამეგრელოს, მხარე, რომელიც ასევე განსხვავდება საქართველოსგან ენითა და ნაციონალობით და რომელიც მუდამ იტანჯებოდა ქართველთა ბატონობით. სამეგრელო ენაზე უშუალოდ ესაზღვრება აფხაზეთს და სამხრეთით მიდის მდინარე რიონამდე... სტრატეგიული თვალსაზრისით ეს უდიდესი მნიშვნელობის მქონე

ტერიტორიაა შეიძლება დაემორჩილოს რსფსრ-ს უშუალო გავლენას, თუკი მეგრელებსაც, აფხაზების მსგავსად, მიეცემათ ავტონომია... აი ეს გზა - საქართველოს რესპუბლიკის დანაწევრება ავტონომიურ ერთეულებად - მით უმეტეს რსფსრ-ს გავლენას დაქვემდებარებულ ავტონომიურ ერთეულებად დანაწევრების ეს გზა, იმსახურებს ჩვენს დიდ ყურადღებას. რაც უფრო წვრილ-წვრილი იქნება ეს ერთეულები, მით უკეთესი...“ (Гамахария Джемал, Гогия Бадри, Абхазия – историческая область Грузии, Тб. 1997, 470).

აღსანიშნავია, რომ საკითხს ქართველურ ენათა დაყოფის შესახებ, ქართველი სპეციალისტების გარდა, ყოველთვის ეხმაურებოდა და თავის პოზიციას ღიად გამოთქვამდა ჩვენი ეკლესია. კათოლიკოს-პატრიარქები: კირიონ საძაგლიშვილი, ამბროსი ხელაია, ლეონიდე ოქროპირიძე, კალისტრატე ცინცაძე ქართულ-მეგრულ-სვანური ერთობის დაშლის წინააღმდეგ გამოდიოდნენ. დღესაც, როცა ამ საკითხზე მღელვარება არ ცხრება (სულ ბოლო აქტივობა იყო ახლახან გალში მეგრული „დედაენის“ გამოცემა, რომლის სწავლებაც, სავალდებულო იქნება გალის რ-ნის ქართულ სკოლებში; იგეგმება მეგრული ტელევიზიის გახსნაც), უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი მეცნიერებს სთავაზობს, თქვან „ქართული ენა თავისი განშტოებებით“: „მსგავსად იმისა, როგორც შტო ამოუვა ხეს, - ასეა ეს დიალექტებიც. ...მათი საერთო ძირი და ფუძე არის ქართული ენა. ...ყველამ კარგად უნდა გავიაზროთ და სხვებსაც დავუმტკიცოთ, რომ ქართული ენა არის ერთი, მეგრული და სვანური დიალექტები კი მისგან გამომდინარე განშტოებუნი...“.

ვფიქრობთ, საკითხის ისტორია და მეცნიერთა თუ საზოგადო მოღვაწეთა ზემომხმობილი მოსაზრებანი კიდევ ერთხელ დააფიქრებს და სწორი ანალიზისა და მართებული დასკვნების გამოტანის საშუალებას მისცემს როგორც თანამედროვე სპეციალისტებს, ისე მთელ საზოგადოებას, რიგითი მოქალაქეების ჩათვლით.

ჩვენი იუბილარები

სამების ერთება

„ქართული ასომთავრული ანბანის კვლევამ ცხადყო, რომ ასომთავრული დამწერლობა შექმნილია საქართველოში ქართველ ქურუმთა ნიაღში. ...ერთ-ერთმა ქართველმა ქურუმთაგანმა შექმენა მარადიული და უკვდავი ძეგლი - ქართული ასომთავრული ანბანი, რაკი ამ ანბანში მარადიული დრო მდინარებს. ...ქართული ასომთავრული დამწერლობა ძვ. წ. V-VI საუკუნეთა მიჯნით დათარიღდა“.



„ქართულ ანბანში განხორციელებულია სამი ანბანური ჯგუფის ერთება. სამების ერთება“.

„ანბანური დამწერლობის თვალსაზრისით, ქართული ასომთავრული ანბანი სრულყოფილია ანბანური დამწერლობის ყველა ასპექტში. ქართულ ასომთავრულ ანბანში განხორციელებულია თვლის უფრო სრულყოფილი სისტემა იმ სისტემებთან შედარებით, რომლებიც ძველ შუამდინარეთსა, ეგვიპტესა და საბერძნეთში არსებობდა; ქართულ ასომთავრულ ანბანში განცხადებულია მათემატიკური, ასტრონომიული და კალენდარული მიღწევები, რომელთა ბადალი ძველი ცივილიზაციებისათვის უცნობია“.

რამაზ პატარიძე, „ქართული ასომთავრული“.

ქართული დამწერლობათმცოდნეობის, პალეოგრაფიის ფუძემდებელს, დიდი ივანე ჯავახიშვილის ღირსეულ მიმდევარს, მრავალი წიგნის, სამეცნიერო ნაშრომის ავტორს, დღემდე საინტერესო კვლევებით დაკავებულ, ღრმად პატივცემულ პროფესორს - რამაზ პატარიძეს 88 წელი შეუსრულდა. ვულოცავთ იუბილარს ამ თარიღს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ჩვენი ქვეყნის მდიდარი და დღემდე უცნობი ისტორიული, ენობრივი თუ კულტურული საიდუმლოების მალე გახსნას და გაშიფვრას.

თავად-აზნაურთა საკრებულო



თეატრი

ვაჟა კიზუა-რობაქია

რჩეული

ქართულ თეატრს (მუსიკალურსა თუ დრამატულს) არასდროს აკლდა ტალანტები. ღვთიური ნიჭის ნაპერწკალი გენეტიკურადაა კოდირებული ქართველთა წარმომავლობაში. ღვთისმშობლის წილხვედრ ციციქნა საქართველოს არაერთგზის გაუოცებია უკიდევანო სამყარო ეროვნული თვითმყოფადობით, მსოფლიო მიღწევათა უკომპრომისო პაექრობაში მწვერვალების დალაშქვრით! ეს ლიტონი სიტყვები არ გახლავთ, ფაქტები ლაღადებენ.

გასული საუკუნის 30-იან წლებში, როდესაც ახლად ჩამოყალიბებული ბოლშევიკური რუსეთის მიერ დაპყრობილი საქართველო, იძულებითი ხელბორკილების „თანხლებით“, ქმნიდა ქართული სულისკვეთებით განმსჭვალულ სპექტაკლებს, კოტე მარჯანიშვილისა და სანდრო ახმეტელის ხელმძღვანელობით, გმირობისა და თავგანწირვის ტოლფასი იყო. გამძვინვარებული რეპრესიების ხანაში ამ გენიოსებმა მოახერხეს ქართული თეატრის საერთაშორისო აღიარებისათვის მიეღწიათ. მათგან დამოუკიდებლად, სსრკ-ს „რკინის ფარდის“ პოლიტიკური ვერდიქტით დიდხანს დამუხრუჭდა მსოფლიო ორბიტაზე ქართული თეატრის მიღწევების გატანა. თუმცა ისიც კარგად ვიცით, რომ ცხოვრების განვითარების კანონზომიერებას ვერავითარი სატანური ძალა ვერ მოაშთობს და ქართული თეატრის ფენომენმა მთელი ძალით იფეთქა. ვასო ყუშიტაშვილი, დოდო ალექსიძე, არჩილ ჩხარტიშვილი, მიხეილ თუმანიშვილი, ლილი იოსელიანი, გიგა ლორთქიფანიძე, შალვა განერელია, რობერტ



სტურუა - ეს ის სახელებია, რომელთაც შორს გასტყორცნეს ქართული თეატრის დიდება. ამ თანავარსკვლავედში თავისი თვისებებით გამორჩეულია თემურ ჩხეიძე.

რთულია თემურ ჩხეიძის კლასიკად შერაცხილ რეჟისორულ ქმნილებებს შეეხო და კალამი არ გაგექცეს! დიდი სურვილის მიუხედავად, ამის შესაძლებლობა საჟურნალო ფორმატს არ გააჩნია. თუმცა გამოსავალს მაინც მივაგენი - თეზისების სახით მივანოდო მკითხველს ჩემეული აღქმა.

მიმაჩნია, რომ თემურ ჩხეიძის მიერ სხვადასხვა დროს სხვადასხვა ქვეყანასა თუ



თეატრში განხორციელებული უკლებლივ ყველა სპექტაკლი ღრმა ანალიზის, დაკვირვების, ფუნდამენტური განსჯის, მეცნიერული კვლევის ობიექტია. ეს შრომატევადი პროცესი მომავლის პრეროგატივაა. ამჯერად მხოლოდ ეფემერულად შევხებით ესოდენ ფართო მასშტაბის მოაზროვნე რეჟისორის მემკვიდრეობითობის მნიშვნელობას.

თემურ ჩხეიძე ფსიქოლოგიური თეატრის პროტაგონისტია საქართველოში. გვყავს კი დღეს დიალოგის ნარმართვის ასეთი ოსტატი საქართველოში?! ალბათ, დასახელება გამიჭირდება.

მისი ერთ-ერთი პირველი სპექტაკლი - შალვა დადიანის „გუშინდელნი“, რომელმაც საბჭოთა ეპოქის აღზევების ხანაში იხილა რამპის შუქი, მაყურებელი მონუსხა მოქალაქეობრივი სიმამაცით, შეურიგებელი პოზიციით მოძალადე „ურჩხულის“ მიმართ, ქართველთა გადაგვარების, სულიერი დევალვაციის რენტგენოსკოპული სიშიშველითა და, ამავე დროს, სულისშემძვრელი ტკივილიანი „გოდებით“. გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე ქართული მწერლობის განუმეორებელმა კოლორიტი-მა ოტია იოსელიანმა მისთვის ჩვეული კვიმატი იუმორით გაიხსენა: თემურს ვუსაყვედურე - „გუშინდელნი“ კი არა დღევანდელია-მეთქი. მინდა განვავარდო ბატონი ოტიას ნააზრევი - ბევრი წელი გვაშორებს სპექტაკლის პრემიერას, მაგრამ პრობლემა, რომელიც იმ დროს რეჟისორმა ნაღვერდალივით გააღვივა, დღესაც ნირუცვლელია, ვიტყვოდი, უფრო მწვავეც კი.

თემურ ჩხეიძის შემოქმედების უპირველესი საზრუნავია მრავალჭირგამოვლილი სამშობლოს ბედზე ფიქრი, ადამიანის სულიერ კუნჭულებში „ჩხირკედელაობა“, ურთერთდაპირისპირებული ტენდენციების გამოკვეთა, გმირის ხასიათის ანალიზი, მისი მსოფლმხედველობის ამოხსნა.

„ჯაყოს ხიზნების“ ორი ვერსია: ტელესპექტაკლი და მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე განსხეულებული, არამარტო თემურ ჩხეიძის,

არამედ ქართული თეატრალური სივრცის თვალ-მარგალიტებია. რეჟისორისთვის განსაკუთრებით ახლობელია მიხეილ ჯავახიშვილის პროზაული ქსოვილის თავისთავადობა, სინატიფე და იმავდროულად ფეთქებადი დრამატიზმი, ადამიანის სულიერი ლაბირინთების უსაზღვრო პანორამა. ტელესპექტაკლ „თეთრ კურდღელს“ მე პოეზიასთან დავანწყვილებდი.

თემურ ჩხეიძის სარეპერტუარო თვალსაწიერი ვრცელია. ქართველ ავტორთა გარდა - მისი რეჟისორული პალიტრის მრავალფეროვნება განაპირობა შექსპირის, შილერის, იბსენის, გარსია ლორკას, ლევ ტოლსტოის, დოსტოევსკის, ლერმონტოვის, სტრინდბერგის, ანუის მარადიულ ფასეულობებთან შეხებაში. ამ სწორუპოვარ ავტორთა მიხედვით შექმნილ სპექტაკლებში თ. ჩხეიძე არ ღალატობს თავის რეჟისორულ მრწამსს - მსახიობის მემკვიდრეობით გამოკვეთოს სათქმელი, აქტიორული ძიების გზით მიაკვლიოს ორიგინალთან ჰარმონიულობას. ანალოგიურ მოსაზრებას გამოთქვამს თემურ ჩხეიძის სპექტაკლების ერთ-ერთი გამორჩეული მსახიობი ზურაბ ყიფშიძე: „თემურ ჩხეიძე განსხვავებული მიმდინარეობის რეჟისორია. „ცალკე მდგომია“, რადგან დღეს სულ სხვა რეჟისურა წამოვიდა, თემური კი ისევ მსახიობს „უტრიალებს“.

უჩვეულო იყო „ოტელოს“ განსხვავებული რაკურსით მონოდების ცდა: პროლოგის ფინალურ აკორდში შეურაცხყოფილი, ძირს გართხმული მავრი თეთრი პერანგის სახელოთი მოიცილებდა მუქ ფერს და იწყებოდა გარდასულ დღეთა გახსენება... ამ ტრანსფორმაციამ უფრო ხელშესახებად გამოკვეთა შექსპირის პერსონაჟთა უკიდევანო ვნებათა მასშტაბები. თემურ ჩხეიძემ ტრაგიკული პათეტიკურობა შეაზავა ადამიანურ უბრალოებასთან, რითაც მსახიობთა მეტყველებაში აზრობრივი მახვილების გადანაცვლებას და განსხვავებულ მელოდიურობას მიაღწია.

დოსტოევსკის „მარად ქმარში“ გამაოგნებელი იყო ქარიშხალივით მოზღვავებული ფსიქოლოგიური ძვრების დინამიკა, განსაცვი-



ფრებელია ამ პროცესის სკრუპულოზური ნი-
უანსირება.

რწმენის დაკარგვა ადამიანს ცხოვრების
დასასრულისკენ მიაქანებს. ეს განცდა ტრაგი-
კული განწირულობის აპოგეას აღწევდა
სტრინდბერგის „მამაში“.

ჟან ანჟის „ანტიგონეში“ რეჟისორმა გა-
ნავრცო ინტელექტუალური დრამის ლოკალ-
ური საზღვრები და კანონის მორჩილებასა და
ზნეობრივ ვალდებულებებს შორის ჭიდილი
უმძაფრეს ჭრილში, განსჯის უმაღლეს განზო-
მილებამდე აიყვანა.

„ბერნარდა ალბას სახლის“ მიხედვით და-
დგმული არაერთი სპექტაკლი მინახავს ჩვენ-
თანაც და სხვა ქვეყნებშიც. თემურ ჩხეიძის
სპექტაკლიდან მიღებული შთაბეჭდილება
უძლიერესია. დამთრგუნველი, ჩაკეტილ სივ-
რცეში შავი ღრუბლების უსასტიკესი შტურმი
რეჟისორს მოჰქონდა პერსონაჟთა ხასიათების
გახსნის უზუსტესად მიკვლეული დეტალების
ერთობლიობით. თვით თ. ჩხეიძე მიიჩნევს, რომ
სპექტაკლის წარმატება მსახიობთა ჩინებულ-
მა ანსამბლმა განაპირობა. ვერ შევედავებით,
მაგრამ ასეთი ანსამბლურობა რეჟისორის გა-
რეშეც რომ არ მიიღწევა, ესეც ცხადია!

„ბრმა მხედველი“ მონოლოგებზეა აგებუ-
ლი. რეჟისორი მაქმანივით ქსოვს აზრობრივ
ხვეულებს. ამგვარი ხერხით გადაწყვეტილი
სხვა სპექტაკლი არ მაგონდება.

„გრონჰოლმის მეთოდი“ უმაღლესი პრო-
ფესიონალიზმის შოკისმომგვრელად დემონ-
სტრირების გამობრწყინებაა. რეჟისორული
აზროვნების სიმარტივე სირთულის ფსკერამ-
დეა დაშვებული. ესოდენ სიძლიერით ჩანვდე
ქვეცნობიერს, ხელშესახები გახადო ადამიანის
სულიერი ლაბირინთების უსაზღვრო მოდუ-
ლაცია, მხოლოდ თემურ ჩხეიძეს ძალუძს.

ჩემი „თეზისები“ გაფერმკრთალდება თ. ჩხ-
ეიძის სანქტ-პეტერბურგის დიდ დრამატულ
თეატრში მოღვაწეობის უმნიშვნელოვანესი
პერიოდის გარეშე. უფლებას ვიტოვებ დავეყ-

რდნო გამოჩენილი კინორეჟისორის ელდარ
შენგელაიას შეფასებას: „სანქტ-პეტერბურგში
განხორციელებული ყველა მისი სპექტაკლი,
ეს იყო დიდი რეჟისორის ნამუშევარი - გამორ-
ჩეული და საინტერესო“.

თემურ ჩხეიძის ბიოგრაფიას განუმეორებ-
ელ სხივმოსილებას სძენს საოპერო სპექტაკ-
ლები „მეტროპოლიტენ-ოპერასა“ და „ლა-სკა-
ლაში“.

თბილისის სამეფო უბნის თეატრის ბაზაზე
თემურ ჩხეიძის შემოქმედებითი სახელოსნო
დაფუძნდა. ახალგაზრდა რეჟისორებს, მსახ-
იობებს, სცენოგრაფებს გაუმართლათ, რომ
ასეთი რანგის ხელოვანთან უწევთ ურთიერ-
ობა; ეს ხომ მათი პროფესიული თვისებების
დახვეწას, გაღრმავებას და, საბოლოოდ,
დაოსტატებას განაპირობებს.

თემურ ჩხეიძე მონოდებით პედაგოგიცაა.
მიმდინარე წელს თეატრისა და კინოს უნივერ-
სიტეტში სამსახიობო ჯგუფი აიყვანა. ვულო-
ცავ მის პირველკურსელ სტუდენტებს, რომ
ფორტუნამ ასე გაუღიმა მათ. „სამეფო უბნის
თეატრმა“ სეზონი თემურ ჩხეიძის სახელოს-
ნოში მომზადებული სპექტაკლით („სამშობ-
ლო“) დახურა. ექვსი ნოველიდან ერთ-ერთში
თავისი შეგირდები, მომავალი მსახიობები ათ-
ამაშა. პირველმა ნაბიჯებმა იმედი ჩაგვისახა,
რომ სამსახიობო-სარეჟისორო კადრების აღზ-
რდას საქართველოში ნათელი მომავალი აქვს.

**P.S. თემურ ჩხეიძეს 70 წელი 2013 წელს
შეუსრულდა. მაშინ საქართველოს თავად-
აზნაურთა საკრებულოს აღმანახის („სამეფო
გვირგვინი“) გამოცემა უსახსრობის გამო შე-
ჩერებული იყო. ეს გახდა ჩვენი სახელოვანი
რეჟისორისთვის საიუბილეო თარიღის დაგ-
ვიანებით მილოცვის მიზეზი. ვუსურვოთ მას
დიდი შემოქმედებითი მიღწევები!**

**პატივისცემით, აღმანახის რედაქტორი
იან პაბრატიონ-მუხრანელი**

ვაჟა კიგუა-რობაქიძე

დიდოსტატი

წვიათობაა ქარიზმის ისეთი მოუგერი-
ბლობა, კახი კავსადის ხანგრძლივ სამ-
სახიობო გზას რომ ამკობს. კიდევ უფრო
დიდი იშვიათობაა, როდესაც მსახიობის მიღ-
ევები თანაბარი სიძლიერითაა
მონიშნული სცენასა და ეკრან-
ზე. ეს „გამოცანა“ თავსატეხი
გამხდარა არა მხოლოდ მაყურე-
ბლისათვის, პროფესიონალები-
სთვისაც. სად უნდა ვეძებოთ
სამსახიობო არსენალის ესოდენ
ფართო ამპლიტუდის საიდუმ-
ლოება? უნივერსალიზმი ბევრი
დიდი მსახიობის შემოქმედების
თანმდევი ატრიბუტია, მაგრამ
ხიბლი, რომელიც შარავანდედის
სხივმფენი ძალით აერთიანებს
ამ თვისებებს, მხოლოდ კახი
კავსადისეულია, ესოდენ უხვად
რომ უბოძა მას ზენაარმა. ხიბლი



ბოლომდე არ განიროს თავისი გმირი. თავადი
კონია (შ. დადიანის „გუშინდელნი“), სოლეი-
მანი (ა. სუმბათაშვილ-იუჟინის „ლალატი“), სი-
მონ ჩაჩავა (ბ. ბრეჰტის „კავკასიური ცარცის

კახი კავსადის პირადი ცხოვრების თილისმა-
ცაა. მეუღლის - გრაციისა და სინატიფის სიმ-
ბოლოდ მიჩნეული - ბელა მირიანაშვილისადმი
პირველქმნილი სიყვარულის გაუხუნარი ერთ-
გულება გინესების წიგნში ბინადრობას იმსახ-
ურებს.


კახი კავსადის ცხოვრება რუსთაველის
თეატრშიინტენსიურობითხასიათდება, როლე-
ბი არ აკლია, ყველა რეჟისორი სიამოვნებით
მუშაობს მასთან, თამაშობდა გმირებს, შეყვა-
რებულებს, თამაშობს მკვეთრად სახასიათო,
გროტესკულ პერსონაჟებს... აქ მათს ჩამოთ-
ვლას არ შეეუდგებით, ვიტყვით მხოლოდ,
რომ ყველა როლში, თუნდაც უკიდურესად
უარყოფითში, თავგადაკლული არქეოლოგის
მსგავსად, სიკეთის მარცვალს ეძიებს, რათა

წრე“) რადიკალურად განსხვავებული პერსონ-
აჟებია, მაგრამ მათ აერთიანებთ კახი კავსადის
აქტიორული დიაპაზონის მაღალნიჭიერება.

თენგიზ აბულაძის კინოშედეგვრებში: „ნატ-
ვრის ხე“ და „მონანიება“ კახი კავსადის აქ-
ტიორული სახეები უჩვეულო გამონათებით
ბრწყინავს, ხოლო დონ კიხოტ ლამანჩელი რ.
ჩხეიძის ფილმში ლეგენდის სახით გადაეცემა
თაობიდან თაობას. რვა ათეულმა წელმა ნირი
ვერ უცვალა ხალხის საყვარელ მსახიობს. კახი
კავსადე ჩვეულ ფორმაშია და ღრმად გვნამს,
თავისი ცეცხლოვანი ხელოვნებით, დიდი შინა-
განი ენერგეტიკით კვლავ არაერთგზის გაახ-
არებს მისი ნიჭის ურიცხვ თაყვანისმცემელს,
არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მის
ფარგლებს გარეთაც.

მუსიკა

გულბათი ტორაკა



SOS!

ქართული მუსიკალური კულტურა საფრთხეშია!

ღიას, საგანგაშოა არსებული ვითარება (ჩვენს საყვარელ მუსიკალურ ხელოვნებაში, რაც აღელვებს და აშფოთებს მთელ ქართულ კულტურულ (არამარტო მუსიკალურ) საზოგადოებას. მხედველობაში მაქვს ყოვლად შეუწყნარებელი მდგომარეობა, რომელშიც უკვე კარგა ხანია იმყოფება მისი ერთ-ერთი გენერალური სფერო - კლასიკური სიმფონიური მუსიკის შემსრულებლობა.

აბა, რა ვუნოდოთ იმას, რომ თვეობით, ზოგჯერ წლობითაც, ჩვენი საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის კონცერტებზე არ სრულდება მსოფლიო კლასიკური მუსიკის ნიმუშები (ამით იშვიათად უცხოელი გასტროლიორები თუ გვანებივრებენ).

ფაქტობრივად, სრულიად არ ჟღერს, რაც არანაკლებ მიუტევებელია, ქართველი კლასიკოსი კომპოზიტორების - ანდრია ბალ-



ანჩივაძის, შალვა მშველიძის, ალექსი მაჭავარიანის, ოთარ თაქთაქიშვილისა და სხვების სიმფონიური და ორატორული მუსიკაც.

როგორც იტყვიან დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია! საყვედურს, უპირველეს ყოვლისა, ცხადია, იმსახურებს ჩვენი ქვეყნის უმთავრესი, ხანგრძლივი და დიდებული საშემსრულებლო ტრადიციების მქონე, ბრწყინვალე ევგენი მიქელაძის სახელობის (!) სახელმწიფო (!) აკადემიური (!) სიმფონიური (!) ორკესტრი და მისი მთავარი დირიჟორი - ნიჭიერი მუსიკოსი - ნიკოლოზ რაჭველი.

სწორედ ნიკოლოზ რაჭველის შემოქმედებითი მოწოდებისა და მხატვრული სიმპათიების შესაბამისად, აკადემიური სიმფონიური ორკესტრი გადაქცეულია საესტრადო-გასართობ კოლექტივად (საკმარისია, თუნდაც ჩამოვთვალოთ მისი კონცერტების პროგრამები გასული წლის სექტემბრიდან დღემდე).

თქმა არ უნდა, რომ ამ ტიპის ორკესტრიც ძალიან საჭირო და სასურველიც კი არის, მაგრამ ყოვლად დაუშვებელია აკადემიური ორკესტრით მისი ჩანაცვლება!

ვფიქრობ, ამის შესახებ დაფიქრება მართებს არამარტო თვითონ ნიკოლოზ რაჭველს, არამედ, რაც მთავარია, საქართველოს კულტურის სამინისტროს!

რაც შეეხება „თბილისის სიმფონიური ორკესტრს“, რომელსაც სათავეში უდგას დაუვიწყარი ჯანსუღ კახიძის ვაჟი, შესანიშნავი მუსიკოსი ვახტანგ კახიძე, აქ, მართალია, სისტემატურად და ჩინებულად სრულდება მსოფლიო კლასიკური მუსიკის ნიმუშები (დიდი მადლობა ამისთვის!), მაგრამ კარგა ხანია, სამწუხაროდ, რაღაც მიზეზებით, თითქმის იგნორირებულია ქართული რეპერტუარი (?!).

აქვე დავძენ, რომ ამ მხრივ სცოდავენ ჩვენი სხვა საშემსრულებლო კოლექტივებიც და ცალკეული შემსრულებლებიც.

დასანანი და მიუტყვევებელი ფაქტია!

ახლა კი იმ ყოვლად მიუღებელი ვითარების შესახებ, რომელიც სუფევს ქართულ ტელევიზიაში.

მოგეხსენებათ, რომ ათეული წლების განმავლობაში ტელევიზია გახლდათ კლასიკური და, კერძოდ, ქართული საოპერო, სიმფონიური, კამერული (საესტრადოსიც!) მუსიკის აქტიური პროპაგანდისტი. აქ „უხსოვარი“ დროიდან მუშაობდა სპეციალური მუსიკალური რედაქცია და, რაც მთავარია, აქტიურად მოქმედებდა სრულშემადგენლობიანი, ე. წ. „საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის სიმფონიური ორკესტრი“ (2003 წლამდე!), რომელსაც სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ გამოჩენილი დირიჟორები: შალვა და გივი აზმაიფარაშვილები, ზაქარია ხუროძე, ლილე კილაძე.

რამდენი, ჩვენთვის უცნობი, უცხოელი და, რაც მთავარია, ქართველი კომპოზიტორის ახალი ნაწარმოები მოვისმინეთ ამ წლებში. ფასდაუდებელი და დაუვიწყარია მათი ღვაწლი.

როგორც აღვნიშნე, საქართველოს რადიო-ტელეკორპორაციის ორკესტრმა შეწყვიტა თავისი არსებობა საბედისწერო 2003 წელს და ამის შემდეგ, გასული დროის მანძილზე, ჩვენს სატელევიზიო ეკრანზე კლასიკური მუსიკის (კერძოდ, ქართულის) ნასახსაც ვეღარ ნახავთ და მოისმენთ.

თითქოს არც არსებულაო, საზოგადოდ, კლასიკური მუსიკის ფენომენი, რომელიც საუკუნეების მანძილზე კაცობრიობის კულტურული არსებობის ერთ-ერთ უდიდეს სულიერ ფაქტორს შეადგენდა და ახლაც შეადგენს მთელ ცივილიზებულ სამყაროში (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სრულიად განსხვავებული სიტუაციაა საქართველოს რადიოს მუსიკალური რედაქციაში, რომელიც შესანიშნავად ასრულებს თავის კულტურტრეგერულ მისიას არსებული ჩანაწერების მეშვეობით).



დღესდღეობით ჩვენი ტელევიზია უმთავრესად დაკავებულია დაბალხარისხიანი „მასკულტურის“ სხვადასხვა იაფფასიანი „შოუს“ პროპაგანდით. ამინდს აქ ქმნიან მუსიკოსები, რომლებიც მოკლებული არიან პროფესიულ კვალიფიკაციასა და გემოვნებას. თანაც, როგორც ჩანს, მათ არ ესმით, თუ რა საშიშროების წინაშე აყენებს არსებული მდგომარეობა ჩვენი ახალგაზრდობის ღირსეულ მხატვრულ აღზრდას და, მაშასადამე, **ქვეყნის კულტურულ მომავალსაც!**

სიტუაცია ძალზე საშიში და საგანგაშო იქმნება და აუცილებელია, არამარტო დავფიქრდეთ ამაზე, არამედ ოპერატიულად მივიღოთ ზომები არსებული კრიზისის, თუნდაც თანდათანობითი დაძლევისათვის.

ცხადია, რომ ზემოხსენებული კრიტიკული შენიშვნების ძირითადი ადრესატია ჩვენი ტელევიზიის ხელმძღვანელობა, მაგრამ

მაკვირვებს საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის ინერტული პოზიციაც ესოდენ მნიშვნელოვანი, აქტუალური და მტკივნეული საკითხის მიმართ.

რა თქმა უნდა, ყოველივე ზემოთქმული, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და მის ხელმძღვანელობას ეხება, ვისი საქმიანი და ოპერატიული ჩარევის გარეშე არსებულ მდგომარეობას საშველი ნამდვილად არ დაადგება.

იმედია, რომ საქართველოში მაღალი მუსიკალური კულტურის გადარჩენის (დიახ, გადარჩენის!) საქმეს მთელი სერიოზულობით მოეკიდებიან უფრო „ზევითაც“ – „იქ, სადაც ჯერ არს!“ ღმერთმა ქნას!

საფიქრებელია, რომ „გაჯანსაღების“ პროცესი უნდა დავიწყოთ იმით, რომ აღდგეს ტელევიზიაში მუსიკალური რედაქცია, რომელიც დაკომპლექტებული იქნება უმაღლესი მუსიკალური განათლების მქონე პროფესიონალი მუსიკოსებით.

საქმე არ ითმენს დაყოვნებასა და გაჭიანურებას.

ცხადია, არ მინდა, რომ ყოველივე ზემოთქმული აღქმულ იქნეს, როგორც „ხმა ღალადებისა უდაბნოსა შინა“, მით უმეტეს, რომ სწორედ ასეთივე გახლავთ მთელი ქართული მუსიკალური საზოგადოებრიობის საერთო აზრიც.



რეკლამა

ბუღუ სირბილაქა

ბამოქვაბულიდან კოსმოსამდე...

(სიტყვის და ნახაზის სინთეზი)

მხატვარი ქმნის წიგნის, ჟურნალის, გაზეთის, სპექტაკლის, კინოფილმის სახეს, ნაწარმოების არქიტექტონიკას აყალიბებს.

ადამიანმა შექმნა ანბანი, დამწერლობა, წიგნი. წიგნმა მოითხოვა მხატვრული გაფორმება - გაჩნდა ნახატი, როგორც სიუჟეტის მხატვრული გააზრება, მისი ილუსტრაცია. ასე ჩამოყალიბდა მხატვრული გაფორმების დარ-


გი, რომელიც სხვა დარგებს ამდიდრებდა.

შეიქმნა ფოტო, კინო, კომპიუტერი, რომელთა როლი ჩვენს ცხოვრებაში განუზომელია. ნებისმიერი ჟურნალ-გაზეთი წარმოდგენელია ფოტოილუსტრაციის გარეშე ან ღვინის, კონიაკის, შამპანურის, ბორჯომის ბოთლები - მხატვრულად ეფექტური ეტიკეტების გარეშე.

წარმოდგინეთ „დედა-ენა“, ი-ა, თი-თი, ხე... - სიტყვისა და ნახატის შერწყმა.

XX საუკუნის დიდი ქართველი მხატვრისა და პედაგოგის, ლადო გრიგოლიას, წიგნის გრაფიკა მხოლოდ ილუსტრაცია როდია. მხატვარმა წიგნს უდიდესი განზოგადებული ესთეტიკა შეუქმნა: ხაზით, ორნამენტით, შრიფტით, ლაქებით, ფოტოთი, უხეშად არ შეჭრილა მწერლის ნაწარმოებში, არამედ ჰარმონიულად შეერწყა მას.

80-იან წლებში გამომცემლობა „ხელოვნებამ“ დიდი საშვილიშვილო საქმე გააკეთა - მოამზადა გამოსაცემად ლ. გრიგოლიას შემოქმედების ილუსტრირებული ალბომი ორ წიგნად. 1989 წელს „ხელოვნებამ“ გამოსცა პირველი წიგნი, მაგრამ მეორე წიგნი, ჩვენდა სამწუხაროდ, დღესაც არ ჩანს. თუ ვიმსჯელებთ გამოცემული ალბომით, შეიძლება თამამად ვთქვათ, რომ ლ. გრიგოლიას წიგნის მხატვრული გაფორმების მემკვიდრეობა იმ-



დენად მნიშვნელოვანია, ზედროული, რომ მისი შემოქმედებითი ძიებანი წიგნის მხატვრულ გაფორმებაში შეიძლება ეტალონად მივიჩნიოთ.

ნუთუ დღეს ე. წ. ქართველ ბიზნესმენებში ერთი პატრიოტი არ აღმოჩნდა, რომ დაეხმაროს ჩვენს კულტურას, ამ შემთხვევაში გამოსაცემად მომზადებულ ლ. გრიგოლიას ალბომის მეორე წიგნს?

შემწვარი გოჭისა და ხინკლის ოხშივარი, ალკოპოლური სასმელით გაბრუნებული ტვინით წამოსროლილი ბრტყელ-ბრტყელი ფრაზები კულტურას ვერ განავითარებს.

აღსანიშნავია ლადო გრიგოლიას მოწაფის, ბრწყინვალე მხატვრის, ემირ ბურჯანაძის, წიგნის გაფორმების ტენდენციები, მხატვრული ილუსტრაციის არსი.

თუ მხატვარი დამოუკიდებლად ქმნის ილუსტრაციას ამა თუ იმ მწერლის მოტივზე, მის ილუსტრაციას თავისთავად მხატვრული ღირებულება აქვს.

მწერალი მხატვრულ პანორამას ქმნის ამა თუ იმ ეპოქაზე, მოვლენაზე ან გმირზე და ყოველი მკითხველი თავისებურად იგებს მას. მხატვრები ქმნიდნენ და ქმნიან წიგნის ილუსტრაციებს, ისე როგორც თვითონ გრძნობენ, მაგრამ, სამწუხაროდ, მათი ილუსტრაციები ზოგჯერ ხელს უშლიან მწერლის ნაწარმოების მასშტაბურობას, ვერ სწვდებიან განზოგადებას, დათვურ სამსახურს უწევენ ილუსტრაციას.



განა გენიოსი მწერლის ნაწარმოებს ესაჭიროება ილუსტრირება? მისი თითოეული სიტყვა ხომ ისედაც ზუსტად არის ჩამოსხმული და სწორედ ამიტომაც ვიხიბლებით მისი ღირსებით, სხვა საქმეა საბავშვო ლიტერატურა, სადაც მხატვარი მწერლის თანაავტორად უნდა განვიხილოთ და არა საკუთარი ნაწარმოების შემოქმედად. წიგნის მხატვრობის უპირველესი დანიშნულებაა გააღამაზოს, გააკეთილშობილოს, ესთეტიკურად აამაღლოს პოლიგრაფიული პროდუქცია - წიგნი.

თეორია და პრაქტიკა ნებისმიერ დარგში აძლიერებენ, აგრძელებენ და ამდიდრებენ ერთმანეთს. არ არსებობს გენიალური თეორია გენიალური პრაქტიკის გარეშე. ლიტერატურისა და ილუსტრაციის ჰარმონიული შერწყმა ქმნის შედეგს.

თეორია - პრაქტიკის ლამპარია, პრაქტიკა - თეორიის გვირგვინია.

ხელოვნებას ორივე სჭირდება შედეგის შექმნის ეკლიან გზაზე. ეს არის ჭეშმარიტების გზა გამოქვაბულიდან კოსმოსამდე.

სიხარულის კალიტრა

მხატვართა კავშირის საგამოფენო დარბაზში გაიმართა მხატვარ ელგუჯა ჩაჩავას გამოფენა. ე. ჩაჩავა ნიკო ბაგრატიონის სკოლა-ლიცეუმის პედაგოგია. სკოლის ლიცეანტები მხატვარ ელგუჯა ჩაჩავას უშუალო ხელმძღვანელობით ეუფლებიან ხელოვნების ძირითად ელემენტებს, პრინციპებსა და ტექნიკას. პატარა შემოქმედთა მიერ დანახული სამყარო საოცრად ირეკლავს ჩვენს დღევანდელ ყოფას. მათი თვითგამოხატულება, მდიდარი ფანტაზია თანამედროვეობის გამოძახილია და ზუსტად ასახავს ჩვენს რეალობას, ჩვენს სულიერ თუ ფიზიკურ მდგომარეობას.




ელგუჯა ჩაჩავა, „ქვენი“

აჭურას..., იმ მასშტაბით, რასაკვირველია, რომელსაც მათი ასაკი, შემოქმედებითი პოტენციალი სწედა...

ორგანულად ერწყმის სკოლის პედაგოგიური კოლექტივისა და ქ-ნი ია ბაგრატიონის ორიგინალურ ხედვას პედაგოგ ელგუჯა ჩაჩავას სწავლების მეთოდები და ფორმა, შემოქმედებითი აზროვნება... მხატვარი მძაფრად განიცდის საქართველოს ტრაგიკულ წარსულსა და აწმყოს. მის შემოქმედებაში ძირითადი თემაა ერისა და ქვეყნის ტკივილი: მისი მასშტაბური ტილო - „დევილები“ უკანასკნელ პერიოდში აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ტერიტორიებზე დატრიალებულ ტრაგედიებს ეხმიანება და ამავე დროს გლობალურ სახეს იძენს, რადგან მსგავსი ტრაგედია უცხო არ არის მთელი მსოფლიოსთვისაც. მხატვრის შემოქმედებაში იმედის მომცემია ის მოლოდინი, რომელიც მის ერთ-ერთ გამორჩეულ ტილოზე იკითხება: საქართველოს კვლავ უნდა მოევიწიოს მხსნელი - თეთრი გიორგი და გადაარჩინოს ერი, ქვეყანა როგორც ფიზიკური, ისე სულიერი განადგურებისაგან, უბელო ცხენი თავის მხედარს მოელის, მხედარს, რომელმაც დიდგორის გამარჯვება უსახსოვრა ქართველებს...

განსაკუთრებული სიხარულითა და ემოციებით სავსე ასურათებენ მოსწავლეები საქართველოს ძველი დიდების ამსახველ ეკლესია-მონასტრებს, ტაძრებს, ციხე-სიმაგრეებს, კოშკებს... ეუფლებიან ხატწერასაც, გამოსახვენ წმიდანებს, თავიანთ მესხიერებაში მონივნებით ფურცლავენ მათ გამოსახულებებს: წმ. ნინო, წმ. ქეთევან დედოფალი, წმ. მეფე თამარი, წმ. დავით აღმაშენებელი...

პატარები საოცარი ოსტატობით ასახავენ გარესამყაროს, ეს ეხება აბსტრაქტულ აზროვნებასა თუ დაზგურ ხელოვნებას, თეატრს, მუსიკას, არქიტექტურას, პოეზიას, ლიტერ-



ელგუჯა ჩაჩავა, „მოლოდინი“



იანონ კოზმაშვილი, 8-ე კლასი



ლონგინოზ ჩაბანაშვილი, 6-ე კლასი



სასილი გობიშვილი, 8-ე კლასი



გვანცა გვანაშვილი, 9-ე კლასი

ახალი წიგნები


დეკანოზი არჩილ მინდიაშვილი

1991-92 წ.წ. ჯვარცმული საქართველო

„ზღვაური“

...ქვეყანაში თანდათან იძაბებოდა მდგომარეობა. გარკვეული ძალები ცდილობდნენ პრეზიდენტისა და პატრიარქის ურთიერთდაპირისპირებას, ისე რომ საბოლოო მიზანს ეწინააღმდეგებინათ. ჩემს გარემოშიც ვინროვდებოდა წრე. როგორც ქართული ანდაზაც ამბობს: სიმართლის მთქმელს შეკაზმული რაში უნდა ჰყავდეს და ქარქაშიდან ამოღებული მახვილი უნდა ეჭიროსო. მაშასადამე, განუწყვეტელ დევნასა და ბრძოლაში იქნებაო. თუმცა „ნეტარ იყვენ“, - როგორც მაცხოვარი გვასწავლის, - „დევნილნი სიმართლისათვის“. აკი უფალმა ცხრა ნეტარებიდან სამი სიმართლისათვის დევნილს მიუძღვნა.

გადავწყვიტე პარლამენტსა და ქვაშვეთს გავცლოდი. პარლამენტის იმდროინდელმა თავმჯდომარემ, აკაკი ასათიანმა, მთხოვა ანაბიჯისაგან თავი შეემკავებინა, ჩვენი არაკეთილმოსურნენი ალაპარაკდებიან: - ეს რა პარლამენტია, მამა არჩილიც ტოვებსო მას. მეც გავითვალისწინე ეს თხოვნა. მეორე მხრივ, იმავე ხანებში იერარქი პირად საუბრებში მინიშნებას აკეთებს: „მამა არჩილ, ხელისუ-



ფლება მოდის და მიდის, ეკლესია კი რჩება“. როგორც ჩანს, უკვე გადაწყვეტილი იყო ეროვნული ხელისუფლების დამხობა და ზვიად გამსახურდიას გაძევება ან მოსპობა. საერთაშორისო ძალებმა ეს ადგილობრივი რენეგატებისა და რუსული საჯარისო ერთეულების დახმარებით აღასრულეს და საქართველო ერთმანეთში გადაინანილეს: აფხაზეთი და სამაჩაბლო - რუსეთს, ქვემო ქართლი - აზერბაიჯანს, ჯავახეთი - სომხეთს, აჭარა - თურქეთს (აშშ-ის მოკავშირეს), სადაც უკვე სკოლებში ასწავლიან, რომ ბათუმი და აჭარა ეს თურქეთის ძველი მიწებია, დანარჩენი - ამერიკას. მელას რაც ელანდებოდა, ის ესიზმრებოდაო. ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოს ეპატრონებიან, საქართველოს, რომელიც ერთ დროს საკუთარი მამულისა და სარწმუნოებისათვის

ლომებს ებრძოდა და ევროპას მუსლიმანური ზღვა-ოკეანისაგან იცავდა, ან კი ტურები ჭამენ, ეპატრონებიან და საკუთარიც ოხრად დარჩებათ - ასეთია წინასწარმეტყველებანი. როგორც უკვე აღვნიშნე გაკვრით, ზვიად გამსახურდიას პირველად თვალი მოგვარი



დიდუბის ტაძრის ეზოში, ბზობას, ქადაგების ჟამს. ამის შემდეგ მალევე ამოვიდა ჩემთან ტაძარში: „ნათესავი გარდამეცვალა, მღვდლები მერიდებიან (ახალი „მონანიებული“ იყო), მეც ვცდილობ განსაცდელში არ ჩავაგდო, უშიშროება ანუხებთ... წესის აგებაზე მინდა გთხოვოთ გამომყვეთ, მოსანათლიც არის. წამომყვებით?“ - დამეკითხა იგი. „რა თქმა უნდა“, - მივუგე მე. „მერედა თქვენ არ გეშინიათ?“ - გამომცდელად შემომხედა ზვიადმა. „უფალმა გვასწავლა, რომ მხოლოდ ღვთისა გვეშინოდეს, რომელსაც შემდგომად ხორცის მონყვეგისა ხელენიფება სულისაცა წარწყმედად“, - იყო პასუხი. ზვიადს სახე გაეზადრა. იმ დღიდან დავახლოვდით. თუმცა ხშირად ვერ ვხვდებოდით ერთმანეთს. და აი, ერთხელაც გაზეთ „შანსში“ დაბეჭდილი უხამსი (სოდომური) მასალის გამო შევუთვალე, შევხვდეთ-მეთქი. თავისთან, სახლში, კოლხურ კოშკში, მთხოვა მისვლა. შევთავაზე, ეგებ ეროვნულმა მოძრაობამ ეს მადლიც მოისხას და ე. წ. რიტუალების სასახლის ეზოში აღმართული ეშმაკის ძეგლიც (დიონისეს კერპი) გავიტანოთ-მეთქი. ზვიადმა მითხრა, ჯობს, ერთხანს ამისგან თავი შევიკავოთ, რადგან წითელი ინტელიგენცია ახმაურდება, ეროვნული მოძრაობა ახლა კულტურის ძეგლებსაც თავს ესხმისო. ძალისის გათხრებში აღმოჩენილი დიონისეს კერპის ასლია ეგ ძეგლი. ამით ჩვენი საუბარი დასრულდა. მოგვიანებით, როცა საპარლამენტო არჩევნები მოახლოვდა, სამჯერ გამომიგზავნა ადამიანთა ჯგუფი, მინდა, რომ ჩვენი სიით შენც მიიღო მონაწილეობა ამ არჩევნებშიო. მე ვიუარე, სჯულის კანონით ამის უფლება არა მაქვს-მეთქი. როცა მესამედაც მოვიდნენ, შევპირდი, პატრიარქს დავეკითხები-მეთქი. პატრიარქმა დამლოცა. გორის საარჩევნო ოლქში ჩემი ერთ-ერთი კონკურენტი სანდრო კავსაძე იყო, როგორც მახსოვს, გორის რაიკომის აღმასკომის თავმჯდომარე. იგი ახლა სვეტიცხოვლის ტაძრის მღვდელ-მონოზონია და როცა ცოტა ხნის წინ ხსენებულ ტაძარში შემხვდა, დიდ ღვანლში იყო: ყოველდღიურად აღავლენდა წირვა-ლოცვას. ღმერთიც შეე-

წიოს ბერ-მონოზონობის ამ გზაზე და შეუნდოს წარსულის შეცოდებანი.

ზვიადის თხოვნითა და პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, ვიდრე ახლად არჩეული პარლამენტი მუშაობას შეუდგებოდა, მისი შენობა ვაკურთხე. იმ დროებიდან მოვიგონებ რამდენიმე ეპიზოდს. ერთ-ერთ სხდომაზე ზვიადმა, როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ, პარლამენტის სახელით მთხოვა ჭადრაკის სასახლეში ჯაბა იოსელიანს დავლაპარაკებოდი. სხდომიდან პირდაპირ მათთან გავეშურე. იოსელიანი იქ არ იყო. დაურეკეს. თავდაპირველად ძალზე მტრულად შემხვდნენ. ალბათ, სამღვდლო შესამოსელმა შეაკავა. დამაყარეს კითხვები. მშვიდად, თანმიმდევრულად ვცემდი პასუხს. გზადაგზა სარწმუნოებრივ საკითხებსაც ვეხებოდი. თანდათან თბებოდა გარემო. ბოლოს ერთი მათგანი გამომიტყდა, რომ უნინ სიონის სტიქაროსანი იყო. სასულიერო ცოდნაც მეტი ჰქონდა. ამ დროს შემოდის იოსელიანი (სხვათა შორის, როცა იგი თანამოაზრეებთან ერთად ოპერის შენობასთან შიმშილობდა, მისი ახლობელი, ჩვენი საერთო ნაცნობი, სახლში მენვია და მთხოვა, გავსაუბრებოდი მას, რაზეც უარი ვუთხარი, რადგან ამ ფაქტით, შესაძლოა, სხვაგვარად ესარგებლათ), მტრულად შემომხედა და ამავე ტონით დააპირა ჩვენთან ლაპარაკი, მაგრამ იქ მყოფებმა ეს არ მოუწონეს; მიხვდა, რომ ყველას თანდასწრებით საუბარი, შესაძლოა, მისთვის წამგებიანი ყოფილიყო და თავის კაბინეტში შემომთავაზა დალაპარაკება. მეც შევყევი და ზვიადისა და პარლამენტის დანაბარები გადავეცი. მან თანხმობა განაცხადა, რომ მხედრიონი სამთავრობო დანაყოფებისათვის შეეერთებინა.

სხვათა შორის, ირაკლი წერეთელსაც შევხვდი მისსავე სახლში ზვიადის თხოვნით, რომელიც გამდგართა შემოერთებას ცდილობდა, რათა ქვეყანას არ ვნებოდა. წერეთელმა ულტიმატუმი წამოაყენა: საჯაროდ მომიხადოს ზვიადმა ბოდიში და შევურიგდებო.

დამამახსოვრდა შეხვედრა გია ჭანტურიასა და წერეთლის თანაპარტიელებთან „იმელის“

შენობაში. აქაც ზვიადმა მთხოვა მისვლა. უკვე ძალზე დიდი იყო დაპირისპირება, რასაც მალე სამხედრო ძალით ხელისუფლების დამხობა მოჰყვა.

შაბათი იყო. მწუხრის ლოცვის შემდგომ მომიწია მუნ მისვლა. ძალზე უხეშად შემხვდნენ, ზოგიერთი ლანძღვა-გინებითაც. მაგრამ ვიცოდი, თუ რაოდენ დიდი ძალა ჰქონდა ღვთის სიტყვას. ისინი მრავალრიცხოვნებით ისხდნენ ამფითეატრის მსგავს შენობაში, მე კი, მშვიერი და დალლილი, ვიდექი მათ წინაშე რამდენიმე საათის განმავლობაში და სიმშვიდით ვსაუბრობდი ღვთის სიტყვების საკითხებზე. აქაც დათბა. მტრობა სინანულმა შეცვალა. მრავალი მათგანი მოდიოდა და მხარზე მთხვევით შენდობას ითხოვდა უწინდელი შეურაცხყოფისათვის. გარეთ კი ამ დროს ორი ურთიერთდაპირისპირებული ბანაკი ერთმანეთს შეეჯახა. იმ ღამეს ამ შეტაკებაში მრავალშვილიანი მამა დაიღუპა ზვიადის ბანაკში. ამ შეტაკებამ გული ძალზე მატკინა. პუტჩი გარდაუვალი ჩანდა. ხოლო შემდგომ რა მოხდა, ეს ყველამ ვიცით. მოსაგონებლადაც კი მძიმეა.

აი საქართველოს ახლად გაძევებული პრეზიდენტის ლექსად გამოთქმული ტკივილი:

**„ლიმილი და მილოცვები
თუმცა ბევრი გავეცით,
ქრისტე აღდგა ჭეშმარიტად,
ხოლო ჩვენ კი დავეცით.
აღბათ, თვითონ ღმერთი ირჩევს - უცნაური რამეა,
ქრისტეშობა თითქმის მუდამ საოცარი ღამეა.
დეკემბერი დააჭენებს ყინვით ნახატ ეტლებსა,
ამ ღამით ხომ წამებული ქრისტე იშვა ბეთლემსა,
მერე ზეცად აღევლინე, არ გიგუეს მინაზე,
ნუთუ აღარ დაბრუნდები ცოდვილ დედამინაზე?!
ზეცად წასულს უკან მოგყვა ლოცვა - ცრემლის დამდენი,
ქვეყნად ერთი ქრისტე დარჩი და იუდა რამდენი.
აღბათ მისთვის გაიაფდა ღალატი და გაცემა,
ფეხზე დგომა არის ძნელი, ადვილია დაცემა!
მეც დავრწმუნდი არ გამქრალა ქვეყნად შური და მტრობა,
მეც მომიწევს ლეონარდოს საიდუმლო სერობა,
და წარსული სიზმრად მექცა, მომავალი - ოცნებად,
მეგობარი ვეღარ მიცნობს, მნახავს და გაოცდება.
ქრისტეშობას სხვა, ჩემს გარდა, სევდას ვინ დაიბედებს,
ძველი წელი ხსოვნას მართმევს ახალი კი - იმედებს.
ქრისტე აღსდგა! ქრისტე აღსდგა! ჩემი სული ცას უხმობს.
ჭეშმარიტად! - კვლავ იუდა ნიშნისგებით მპასუხობს,
თუმცა შუბლზე სამარცხვინო მინდა დაღი დავაკრა,
ჯვარს ვერ ვკადრებ ქრისტეს მერე ზედ იუდა გავაკრა.
შერცხვენილი, წანყმედილი, ეგდოს ქვეყნად ეთრიოს,
ხოლო შენზე მრავალ მლოცველს კვლავაც ღამე ეთიოს.
რწმენა ძნელად გადარჩება, ხატი უფრო ადვილად,
ქრისტე აღსდგა ჭეშმარიტად, ქრისტე აღსდგა ნამდვილად!“**



იგი დინების სანინალმდეგოდ მიცურავდა (როგორც ბუში მამამ შეაფასა), გლობალიზაცია-ინტეგრაციის პროცესების სანინალმდეგოდ, სურდა რა ეროვნული, თავისუფალი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული საქართველოს აღშენება, რაც მსოფლიო მასონურმა ხელისუფლებამ არ აპატია. იგი დინებას მკვდარი თევზით ვერ გაჰყვებოდა. ამაშია მისი სიმამაცე და სიდიადე. იგი ჩვენი დიდი წინაპრების ღირსეული მემკვიდრეა, ჭეშმარიტად ქრისტეს მხედარი*. და, ახლოვდება რა ქვეყნიერების აღსასრული, რასაც მრავალი რამ მოწმობს და, პირველ ყოვლისა, ევროკავშირის შექმნა, რომელზეც ხუთი წმინდა მართლმადიდებელი მამა წინასწარმეტყველებდა სხვადასხვა დროს, ზვიადი ერთ-ერთი უკანასკნელი მოჰიკანიცაა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობისა.

წინასაარჩევნოდ ჩვენს ერიშვილებს, „მრავალი მაგიდა-თავისუფალი საქართველოს“ სახელით, ამგვარად მივმართე:

„სახელითა მამისაათა და ძისაათა და წმიდისა სულისაათა!

ქრისტეს მიერ საყვარელნო დანო და ძმანო, წმიდა დიდებული მოციქული პავლე გვასწავლის: მონას თუ აქვს საშუალება განთავისუფლდეს!

საქართველოს ცხოვრების დღევანდელ ეპიზოდში ჩვენი ერის განთავისუფლების გზად გვესახება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის აღორძინება და ეროვნული პარლამენტის არჩევა. მოგაგონებთ, რომ დღესაც ხორცშესხმული უფალი ჩვენი იესუ ქრისტე მოვიდა დედამიწაზე, მისი საყვარელი და რჩეული ერი, ისრაელი, რომის კეისრისგან იყო დამონებული და მაცხოვარმა მას მადლითა და ჭეშმარიტებით შესთავაზა განთავისუფლება ცოდვისაგან, რასაც მათი დახსნა უნდა მოჰყოლოდა. ამის მსგავსად, ჩვენც ვფიქრობთ, რომ ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის წილხვედრ

ქვეყანაში პარალელურად უნდა მიმდინარეობდეს ზნეობრივი განწმენდა და ეროვნული მოძრაობა, ორივე ერთად კი უმაღლეს ღვთაებრივ იდეას უნდა ემორჩილებოდეს სულის გადარჩენისა, რადგან როგორც ეკლესიის მამები გვასწავლიან, ნებისმიერი ეროვნული მოძრაობა, რომელიც არ დაექვემდებარება ამ ღვთაებრივ იდეას, შოვინიზმსა და სისხლში გადაიჩეხება.

ღმერთმა დაგლოცოთ თქვენ და სრულიად საქართველო. ამინ!

აღორძინდებოდეთ მადლითა და მეცნიერებითა უფლისა მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა. ამინ. (2 პეტრ. 3, 18)“.

გარნა მოციქულებისა არ იყოს, „ვინ ისმინა ჩუენი?“ (ფსალმუნთაგან).

პატრიარქსა და პრეზიდენტს შორის ურთიერთობა ამანაც დაძაბა:

ოპოზიციური წრეები ზვიადზე ხმას ავრცელებდნენ, თითქოს ის და მერაბი შტაინერის მომხრეები იყვნენ. ჩემსა და ზვიადს შორის ამის თაობაზე შედგა საუბარი.

ამ ჭორებით გულნატკენმა ზვიადმა თქვა: - მამაო არჩილ, საკმაოდ კარგად მაქვს, ვთქვით, მაჰაბჰარატას ეპოსი შესწავლილი, განა მე ამით ბრაჰმანისტი ვხდები? ასევე კარგად ვიცნობდით მე და მერაბი შტაინერის სწავლებასაც. მისგან ზოგი რამ მივიღეთ, ბევრიც უკუვაგდეთ“. ჩემი მხრივ, მეც მოვუყვანე მაგალითად ის, რომ თავის დროზე ბასილი დიდმა და გრიგოლ ღვთისმეტყველმა ორიგენი, რომელიც მოგვიანებით მწვალებლად იქნა გამოცხადებული, ჩინებულად შეისწავლეს პონტოს მონასტერში ყოფნის დროს და მისი რჩეული აზრების კრებულიც კი შეადგინეს „მარგალიტად“ წოდებული. ზვიადმა მადლობა მითხრა გაგებისთვის. შემდეგ ერთხანს ჩაფიქრდა და ხმამაღლა წარმოთქვა: ბიბლიაზე ხელდადებით დავიფიცებ მართლმადიდებლობას მთელი საქართველოს წინაშე. მეც, რა თქმა უნდა, მოვუწონე გადანყვეტილება“.

* ზვიად გამსახურდია ქვაშვეთის ეკლესიაში მორიგი ქადაგებისას ბოროტების დამრთგუნველ დიდმონაშემ გიორგის შევადარე, რამაც ჩემ მიმართ ე. წ. „ოპოზიციის“ გაბოროტება გამოიწვია. ჭეშმარიტად, იგი დასავლეთისა და ჩრდილოეთის მთელ ბოროტებას დაუპირისპირდა, რის გამოც მოხდა ის, რაც მოხდა (ავტ.).



ამის შემდეგ პატრიარქს ვეახელი და ზვიადის თხოვნა გადავეცი, რომ დასწრებოდა ბიბლიაზე ხელდადებით პრეზიდენტის დაფიცებას. „თქვენ ხომ იქნებით, მამაო არჩილ, ჩემი კურთხევით. ვფიქრობ, სავსებით საკმარისია“, - მითხრა უწმიდესმა. „თქვენო უწმიდესობავ, - შევბედე მე, - მე ლიტონი მღვდელი ვარ, თქვენ კი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ბრძანდებით. თქვენ უეჭველად უნდა ესწრებოდეთ პრეზიდენტის დაფიცებას ბიბლიაზე ხელდადებით მთელი ერისა და ქვეყნის წინაშე“. პატრიარქი ჩაფიქრდა. შემდეგ კი ხმამაღლა წარმოთქვა: „ზვიადს სადაფისაგან დამზადებულ აღდგომის ხატს ვაჩუქებ. იერუსალიმიდან ჩამომიტანეს ახლახან“.

პატრიარქის საქციელმა და სიტყვებმა ძალაუნებურად მაფიქრებინა, რომ გარკვეული ძალები უკვე მოქმედებდნენ პატრიარქსა და ზვიადს შორის დაპირისპირება და უნდობლობა რომ ჩამოეგდოთ.

იმავე დღეს, როცა ზვიადთან ბიბლიაზე დაფიცების შესახებ ვსაუბრობდით, შევებე მონარქიის იდეასაც. ზვიადს ვუთხარი: ღმერთმა ორი ღვთაებრივი საწყისი გვიანდერძა ქრისტიანებს: მღვდლობა და მეფობა. ცარისტულმა რუსეთმა ერთიც წაგვართვა (ავტოკეფალია) და მეორეც გაგვიუქმა, სრულიად უკანონოდ და უსჯულოდ. ავტოკეფალია აღსდგა ჩვენი ეკლესიისა, საჭიროა აღსდგეს მირონცხეხეული მეფობაც. მე ვფიქრობ, ეროვნული მოძრაობის შედარებით შორეული მიზანი და შედეგი უნდა იყოს მონარქიის აღდგენა. შემდეგ ზვიადმა ისაუბრა კონსტიტუციური მონარქიის შესახებ. ეს საუბარი პარლამენტის შენობაში, მის კაბინეტში შედგა. ახლა ვფიქრობ, რომ ზვიადის კაბინეტში გამართული საუბრები უშიშროების სამსახურის მიერ ისმინებოდა. და აი, რა მადლევს ამის საფუძველს.

* არაერთხელ ყოფილა, რომ გორბაჩოვი დარეკავდა და ზვიადს დაემუქრებოდა: თუ ახალ პოლიტიკურ-ეკონომიკურ გაერთიანებაში საქართველოს არ შემოიყვან, ცხელ წერტილებს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში აგიმოქმედებო, გაჩნდება ახალი ცხელი წერტილებიც, მაგალითად, ჯავახეთსა და ქვემო ქართლში და სხვ. ზვიადი ყოველთვის მკაცრ უარს ეუბნებოდა, რასაც მეც შევსწრებივარ. ისე რომ, ზვიადისა და ეროვნული ხელისუფლების წნეხში მოქცევას ცდილობდნენ, ერთი მხრივ, კრემლი, ხოლო, მეორე მხრივ, ადგილობრივი რენეგატები (ავტ.).

ამ საუბრიდან რამდენიმე დღეში გია ჭანტურია თავის პარტიულ გაზეთში ბეჭდავს ცილისწამებლურ სტატიას, თითქოს ზვიადს ჩემი პატრიარქობა სურს, რათა ამის შემდეგ მე იგი მეფედ ვაკურთხო. მიმაქვს ზვიადთან ეს გაზეთი და ვეკითხები, შენ ხომ არ იცი, ეს რას უნდა ნიშნავდეს-მეთქი. ზვიადმა მხრები აიჩეჩა. ეს კი დასძინა: „პატრიარქს შენი ეპისკოპოსად კურთხევა ვთხოვე ცოტა ხნის წინ. ამას ხომ არ დაუკავშირეს?.. შესაძლოა ჩვენს საუბარსაც ისმენდნენ მონარქიის შესახებ და ცილისწამებაც აქედან შეაკონინეს“.

ზვიადს ვუსაყვედურე: - „ეს რა გაგიკეთებია. უხერხულ მდგომარეობაში ჩამაყენე პატრიარქის წინაშე. მეორეც, მე არ მეკითხები, მსურს თუ არა ეპისკოპოსობა? ეგეც არ იყოს, ოთხი მცირეწლოვანი შვილი მყავს (მაშინ ჯერ კიდევ ოთხი შვილი მყავდა)... „რა ვიცი, მეგონა კარგს ვაკეთებდი“, - დანანებით ჩაილაპარაკა ზვიადმა.

ჭანტურია ამ ცილისწამების დაბეჭდავს თავის გაზეთში არ დასჯერდა და რამდენიმე დღის შემდეგ მოსკოვში გადაფრინდა. იქაური სახელმწიფო ტელევიზიით გამოვიდა (რა დონეზე ჰქონდა, მაშასადამე, რუსეთის იმდროინდელი ხელისუფლებისაგან ხელის შეწყობა) და ეს ცილისწამება გაიმეორა.* აქ უნდა ვიხმარო ცნობილი გამოთქმა: ყველა ეს „ბობოლა პოლიტიკური ოპოზიციონერები“ კრემლის აგენტები იყვნენ. გვარებს აღარ ჩამოვთვლი. თქვენც ჩინებულად იცით. ნაწილი მათგანი უკვე წარდგა ღვთის მიუკერძოებელსა და სამართლიან სამსჯავროზე, სხვებს ჯერაც აქვთ სინანულისთვის დრო.

შემდეგ რაც მოხდა, იცით.

ეროვნული ხელისუფლების დამხობისა და გაძევების შემდგომ მიტინგები იხვრიტებოდა. ახალგაზრდებს ნარკომანია ხავსი-



ვით მოედო (არცთუ იმდროინდელი ხელისუფლების ხელშეწყობის გარეშე), გარყვნილება, ძალადობა, კაცისკვლა, რაც ე. შევარდნაძის მემკვიდრემ სახელმწიფო რანგში აიყვანა ახალი ქართველის გამოსაყვანად. აკი გახსოვთ მ. სააკაშვილის ომახიანი დაპირება 2012 წლის ოქტომბრის არჩევნების წინ: 2020 წლისთვის ქართველებს მენტალიტეტი შეცვლილი ექნებათო. მაღლობა ღმერთს, არ დასცალდა (დარწმუნებული იყო კია, რომ დასავლელი ბოსების დახმარებით, სულ ცოტა, 2020 წლამდის იქნებოდა ხელისუფლების სათავეში). ყოვლადღლიერმა ღმერთმა ამ მაოხრებელ გზირსა და მის დამქაშებს მიუზღოს თავისი სამართლიანი მსჯავრით, რასაც იმსახურებდნენ, უკეთუ არ შეინანონ!

ერთხელ პირად საუბარში, თავის კაბინეტში სევდანარევი ხმით დასძინა ზვიადმა: „ეჰ, მამა არჩილ, რა საპრეზიდენტო კაცი მე ვარ, რასაც დისიდენტურ მოძრაობაში მოღვაწეობაზე არ ვიტყვოდი, მაგრამ ამდენი ვიტანჯეთ მე და მერაბი ციხეებსა თუ გადასახლებებში და ახლა, როცა არჩევნებში გავიმარჯვეთ, კვლავ კომუნისტებს ხომ არ დავუთმობთ პირველობას?“ „ღმერთმა არ დაუშვას!“ - მივაგებე სიტყვა.

იყო ზოგჯერ ბავშვივით გულჩვილი. რომ იტყვიან ხოლმე - დიდი ბავშვი, ზოგჯერ კი ხისტი და ეჭვიანი. ვფიქრობ, ეჭვიანობა და უნდობლობა მას გადასახლებებსა თუ ციხეებში გაუთავებელმა ლალატმა და დაბეზლებამ გაუჩინა, რაც არც ციხის გარეთ აკლდა. ერთხელ და ორჯერ, როგორც მოძღვარმა, ვთხოვე, რომ უფრო სულგრძელი ყოფილიყო მტრების მიმართ.

რამდენიმე დღის შემდგომ პარლამენტის უმრავლესობამ შეკრება გამოაცხადა. მე არ შემატყობინეს. გადავწყვიტე მისვლა. თავდაპირველად პრეზიდენტი გამოვიდა სიტყვით. მოკლედ შეაფასა შექმნილი დაძაბულობა. შემდეგ კიდევ ორი-სამი გამომსვლელი და როცა დაშლა დააპირეს, წამოვიმართე და გავძახე: „მეც მაქვს სიტყვა!“ დარბაზი შეცბა. „მოყვება ახლა თავის ბუნდოვან იგავებს“ ... ნახევარ ხმა-

ში ჩაილაპარაკა ზვიადმა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ჩემი ქრისტესმიერი რჩევა არ მიელო. მე ტრიბუნისკენ გავემურე. წინა რიგებში მსხდარი ორი-სამი მლიქვნელი ანკავნკავდა. მკაცრად გადავხედე მათ და გადავძახე: „თქვენი რიგიც მოვა, ცოტა ხანს მომითმინეთ. თქვენც მოგხედავთ!“ სიჩუმე ჩამოვარდა. „მოდით, დავინწყით იქიდან, რომ მე კი არ მოვედი თქვენთან, არამედ თქვენ მოხვედით ჩემთან, - და მოვაგონე უფრო კონკრეტულად, თუ რას ვგულისხმობდი. ღვთით დაინწყეთ და ადამიანურად აგრძელებთ. შემდეგ კვლავ მოვუყევი იმ „ბუნდოვან იგავს“ და განვმარტე, თუ რას ვგულისხმობდი, რაზედაც ზემოთ მოგახსენეთ. შევახსენე ისიც, რომ პარლამენტიდან გასვლას ვაპირებდი და მხოლოდ ზვიადისა და ასათიანის თხოვნით შევიკავეთ თავი. ახლა კი აქ აღარაფერი მაკავებდა, რაკი ჩემს ნაუბარს იგავებად აღიქვამდნენ. შემდეგ კი მლიქვნელებს მივუბრუნდი და პირფერობაში ვამხილე. სიტყვა იყო მკაცრი, ვფიქრობ, დასაბუთებულიც. დაახლოებით 20 წუთი ვისაუბრე.

ზვიადს რომ შევხედე, საუბრის შემდეგ სახეზე დანანება და ნალველი შევამჩნიე. სიტყვის შემდგომ იქ მყოფმა ორმა დეპუტატმა ყურში ჩამჩურჩულა: თქვენ გარდა ზვიადს ამ სიმართლეს ვერავინ ეტყოდაო...

ზემოთ ნახსენები სიტყვის შემდეგ ზვიადი აღარ მინახავს სალაპარაკოდ, ვიდრე იგი გროზნოდან ზუგდიდში არ გადმოვიდა. სწორედ იმ ხანებში ზუგდიდში გავემგზავრე რამდენიმე მორწმუნესთან ერთად, ღვთისმშობლის კვართის მოსალოცად და, რა თქმა უნდა, ზვიადთან შესახვედრადაც, თუკი ეს ღვთის ნება იქნებოდა. პოსტებსა და ბლოკპოსტებზე ე. წ. რევოლუციონერები იდგნენ. გამვლელ-გამომვლელს მკაცრად აკონტროლებდნენ. ერთი-ორს ხელითაც შეეხნენ და აგინეს. ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს შევევედრე, რათა ზუგდიდამდე დაუბრკოლებლად ჩავსულიყავით, რაც მისი შენევნით, შევძელით კიდევ. და, ის-ის იყო, ტაძარში შესვლა დავაპირეთ, მოულოდნელად ბატონი დავით სოკოლოვი მოგვიახლოვდა და მითხრა: „თქვენ ხომ მამა არჩილი ბრძანდებით,



ზვიადს ძალიან გაუხარდებოდა თქვენი ნახვა. ეს მისთვის დიდი ნუგეში იქნებოდა. ხომ არ წამოზრდებოდა მასთან? „ჯერ თავად პრეზიდენტს დაეკითხეთ, თუ სურს შეხვედრა“, - მივუგე მე. ორივე ჩვენგანისთვის ამაღლებელი იყო შეხვედრა. ცოტა ხნის შემდეგ, ზვიადმა რომ შეიტყო, კვართის მოსალოცად ვიყავით ჩასული, განაცხადა, პარაკლისზე მეც მსურს დასწრებაო, მანამ კი, თუ შესაძლებელია, რაიმე ვიგალობოთ, დანატრებული ვარო. საბედნიეროდ, ორი ჩვენგანი მგალობელი იყო, დანარჩენები მათ ავეყვით. ზვიადი ჩინებულად გალობდა.

ამის შემდგომ მე და ზვიადი მარტონი დავრჩით. მახსოვს ხის ჯვარი მაჩვენა და მითხრა, ეს გროზნოში მაჩუქესო. შემდეგ დასძინა: „იქ ყოფნისას ვიდუფირი ჩამომიტანეს, რომელზეც თქვენი გამოსვლაა ჩანერილი უნივერსიტეტის ეზოში. შორიხლო ხუნტაც ჩანს, როგორ დააგრილებენ სამხედრო მანქანებს შეკრებილთა შესაშინებლად. თქვენ უშიშარი სიტყვა წარმოთქვით ეროვნული ხელისუფლების დასაცავად. გამდლობთ ამისთვის. ჩემთან მყოფთაგან ყველამ ნახა“. შემდეგ საუბარი სხვა საგანზე წამოვიწყეთ, სახელდობრ, თუ როგორი მდგომარეობა იყო აფხაზეთში.

ცოტა ხნის შემდგომ დადიანების სასახლიდან ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის კვართი კარის ეკლესიაში გადმოასვენეს. პარაკლისი ერთად გადავიხადეთ. ტაძარი ხალხით იყო გადავსებული. ზვიადი სამხედრო ფორმაში იყო. ლოცვის დასასრულს მცირე სიტყვა წარმოთქვა და იქიდან, თანმხლებ პირებთან ერთად, აფხაზეთში გაეშურა.

ამაზრზენი იყო ე. წ. შევარდნაძის მიღება სიონის საკათედრო ტაძარში. გულისამრევი იყო ინტელიგენციიდან, კეთილდღეობას მიჩვეულნი, მუხლებზე დამხობილნი როგორ ევედრებოდნენ: შენს გადაფურთხებულს ჩვენ ავლოკავთ, ოღონდ არ გადადგეო. ესენი შევარდნაძეზე უფრო სულმდაბალი ადამიანები იყვნენ. თუმცა იოანე ოქროპირთან ერთად ვიტყვი: ძალზე ძნელია ზოგიერთ ადამიანზე თქვა, რომ ის ადამიანია. მელამ შვა მონსტრი.

მონსტრმა ცხრა წელიწადი თხარა საქართველო, თხარა და ბოლოს გადათხარა. თუმცა ეს მაოხრებელი გზირი ჯერაც არ ცხრება.

დაბოლოს, ზვიადსა და დანარჩენებზე ვიტყვი: „ჩვენმა კაცთმოყვარე უფალმა დაუშვა, რათა კეთილნი ბოროტებთან ერთად ცხოვრობდნენ. ამ უკანასკნელთ სარგებლობა რომ მიიღონ მათთან თანაცხოვრებით, გამუდმებით ექნებათ რა თვალნინ მათი მაგალითი დამოძღვრის მისაღებად. სათნოების ძალა იმგვარია, რომ მისი არაღმასრულებელნიც ფრიად პატივს სცემდნენ მას“ (იოანე ოქროპირი).

ზვიადი ამ უღირსი ადამიანებისთვის სინდისის ქენჯნა იყო, ღვთისგან ბოძებული. მათ კი, როგორც უკეთურმა ლადარინელებმა, მოიშორეს იგი. „ყველანი უწმინდურებით შევიქნით და ყოველი ჩვენი სიქველე წარმავალი სამოსელივითაა. ფოთოლი ვართ ყველანი დამქნარნი და ჩვენი ცოდვებისაგან, როგორც ქარისგან, წაღებულნი“ (ეს. 64, 5).

ღმერთი კი საყოველთაო მანკიერებებს საყოველთაო სასჯელით ხდის უბინოს (ბასილი დიდი), და გრძელდება ჩვენი გაუბინოება...

მენტალიტეტშეცვლილი „ახალი ქართველი“ დღეს სოდომიტების უფლებებს იცავს (უფრო სწორად კი აგულიანებს სხვებსაც ამ ცოდვის ჩასადენად), ისევე როგორც ყოველნაირი უმცირესობისა, არაფრად აგდებს რა უმრავლესობის უფლებებს და ჩვენს პატრიარქთან ერთად რომ ვთქვათ, ივინყებენ, რომ ჩვენ უფლებებთან ერთად გვაქვს მოვალეობანიც.

დასასრულ, გარდასულ პუტჩზეც ვიტყვი ოქროპირის სიტყვებით. „ომი არის შედეგი არა ქრისტეს გადაწყვეტილებისა, არამედ თვით ადამიანებისა. თავად ქრისტეს სურს, რომ ყველანი ერთსულოვანნი იყვნენ ღვთისმოსაობის საქმეში (მოიგონეთ მაცხოვრის ლოცვა გეთსიმანიის ბაღში, ვიდრე შეიპყრობდნენ (ავტ.), მაგრამ იმის გამო, რომ ადამიანები ერთმანეთს დასცილდნენ, გაჩნდა ომები“.

შეგახსენებთ, რომ ნეტარ არიან არა ომის გამჩალებელნი, არამედ მშვიდობის მყოფელნი, რამეთუ იგინი ძედ ღმერთისად იწოდნენ.



საქართველოს საუნჯე

ფოლკლორისტიკის სფეროს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი შეემატა. დაიბეჭდა ქართული ფოლკლორის მკვლევრის რუსუდან ჩოლოყაშვილის მორიგი წიგნი, რომელიც ავტორის მამის - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორისა და საზოგადო მოღვაწის კონსტანტინე (კოტე) ჩოლოყაშვილის ხსოვნას ეძღვნება.

წიგნი ავტორის მეცნიერულ-ფოლკლორისტული ინტერესების ერთგვარი შეჯამებაა. მასში თავმოყრილია ავტორის მიერ 2009-2014 წლებში განხორციელებული მეცნიერული კვლევის შედეგები, კერძოდ, ზღაპართმცოდნეობითი გამოკვლევები, რომლებიც ეხება საზღაპრო ეპოსის ცალკეულ მოტივებსა და პერსონაჟთა გენეზისის საკითხებს: ჯადოსნური ზღაპრის არსი და მნიშვნელობა, მუდმივი განახლების შესაძლებლობაზე რომ მოგვითხრობს; მისი გმირები კი ღვთაებრივი წარმომავლობისა არიან - ისინი მოივლიან სამსკნელს ან ოთხ მხარეს ან სამყაროს ურთიერთდაპირისპირებულ ორივე ნახევარს და ეს რთული, დაბრკოლებებით აღსავსე გზა გმირის განახლებით, აღდგომით სრულდება, რაც განაპირობებს კიდევ სამყაროს მარადიულობას; ორმაგობის პრინციპი ზღაპრულ ეპოსში; ტრაგიკული და კომიკური მოტივები ქართულ ფოლკლორში; არაამქვეყნიური არსებები ქართულ ეპოსში; სასულიერო პირის სახე ზღაპარში; ნაცარქექიას არქეტიპი; ამირანოლოგიის სათავეები და სხვ. განხილულია ფოლკლორის მიმართება ლიტერატურულ ნაწარმოებებთან (ღვთაება ტარ-ჭაბუკისა და „ვეფხისტყაოსნის“ ტარიელის ურთიერთმიმართების საკითხი; ვაჟაფშაველას „გველისმჭამელის“ მიმართება მითოსურ სამყაროსთან...).



განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს კრებულში შესული ანტისაბჭოური სიტყვიერება, რომელიც ფოლკლორისტიკის ახალი ჟანრობრივი სახეობის - „ზეპირი ისტორიების“ კრებულს წარმოადგენს (წიგნში მასალის კლასიფიკაციაა მოცემული).

გარდა ამისა, კრებულში წარმოდგენილია ფოლკლორის ლექსიკონი - ენციკლოპედიური ცნობარის თანამედროვე ვითარების ამსახველი მასალა, რომელიც ფოლკლორის ახალი ლექსიკონისთვის მუშავდებოდა.

ისე რომ, მკითხველს რუსუდან ჩოლოყაშვილის წიგნის გაცნობით ფოლკლორის სამყაროსთან საინტერესო შეხვედრა ელის.



თავად-აზნაურთა საკრებულოს ქრონიკა



ზესტაფონში გაიმართა პოეზიის საღამო - „ხალხში გაბნეული მახგალიტები“. წამყვანი - პოეტი მაცხაზ მაჭავახიანი და მონაწილეები მადლობის სიგელით დააჯილდოვა ზესტაფონის თავად-აზნაურთა საკრებულოს თავმჯდომარემ ოლეგ აბაშიძემ

მალხაზ მაჭავახიანი

ფსალმუნები

ისრაელი - ჯვარი ჩემი,
და სიცოცხლის დასაბამი...
სალამს ვუძღვნი მოძმე სემიტს,
ვინც ჩემს ლოცვას უთხრა - ამინ!

ვისაც ახსოვს სიდონია -
სვეტიცხოვლის წმიდა სვეტი,
საქართველოს ისტორიას
კვლავ განაგებს შემოქმედი...


ზეციერმა გარდასახვით -
ქვეყნად მხსნელი მოგვივლინა
და სიბნელეს ჩასცემს მახვილს
ბრწყინვალეობით შობის კვირა.

და იხილავს მისტერიას
ქართველი და ებრაელი:
(მოსე, ქრისტე და ელია
შემოსილან მზის ნათელით)...

და ლაზარეს აღდგინებას -
იბერიის მზიურ თვალებს...
ჩვენი ტანჯვა ვინც ინება,
ის გაგვიღებს შვების კარებს...

ისრაელი - ჯვარი ჩემი
და აღდგომის დასაბამი...
სალამს ვუძღვნი მოძმე სემიტს,
ვინც ჩემს ლოცვას ეტყვის - ამინ!

„საქუფო გვირგვინი“ - ერის საღარაჯოზე



ეყოლება თუ არა მეფე საქართველოს, დროის გადასაწყვეტია, მაგრამ ჩვენ ის ერი ვართ, რომლისთვისაც მონარქია და მისი თანმდევი ღირებულებები მისაღებია. ალბათ, იმიტომაც, რომ ჩვენი დიდებულები, წინაპრები ყოველთვის ხმლით, საკუთარი სისხლითა და სიკვდილით წერდნენ ხოლმე საქართველოს ისტორიას. თავადაზნაურობა მტერსა თუ მომხდურს მედგრად ხვდებოდა და თავგანწირვით იბრძოდა საკუთარი მამულის დასაცავად. ისტორია გრძელდება. დღესაც იმავე შემართებით დგანან ქვეყნის საღარაჯოზე დიდებული გვარების წარმომადგენლები და კიდევ უფრო მძაფრად განიცდიან ჟამთა ტრიალით მოგვრილ ავსა და კარგს.

„სამეფო გვირგვინი“ - ასე ჰქვია ალმანახს, რომელიც ჩვენი პატრიარქის ილია II-ის

ლოცვა-კურთხევით გამოვიდა და რომელსაც სათავეში უდგას ქალბატონი ია ბაგრატიონ-მუხრანელი. „წლების მანძილზე საქართველოს თავად-აზნაურთა საკრებულო უშვებდა გაზეთებს, ჟურნალებს „გვირგვინი“, „სამეფო გვირგვინი“, რომლებიც ჩვენი საზოგადოების წევრების, ერთგული მკითხველის მიერ ქვეყნის ეროვნულ ტრიბუნად აღიქმებოდა. სუბიექტური და ობიექტური მიზეზების გამო (გოტალური განუკითხაობა, დევნა და ზენოლა შევარდნაძისა და სააკაშვილის რეჟიმების პერიოდში) ჟურნალ-გაზეთებმა შეწყვიტა არსებობა.

ამჟამად ჩვენს ძვირფას მკითხველს, მონარქისტულად მოაზროვნე ქართველებს, კვლავ ვთავაზობთ „სამეფო გვირგვინს“, სქელტანიანი ფერადი, ილუსტრირებული ალმანახის სახით. ალმანახი გააშუქებს ქართული მონარქიზმის თავისებურებებს; ჩვენი ისტორიის, მეცნიერების, კულტურის, გვარების ეთნოგენეზის, ჰერალდიკის, უძველესი მართლმადიდებლური კერების ჩამოყალიბების საკითხებს, ქართველებისა და საქართველოს წვლილს მსოფლიო ცივილიზაციაში. ვფიქრობთ, რომ სამეფო გვირგვინი უფლის ერთ-ერთი სიმბოლოა... „სამეფო გვირგვინი“ შევა თქვენს გულეებში, თქვენს სახლებში, რამეთუ გვირგვინი - ჩვენი ქვეყნის ძლიერი სანყისი, გაერთიანებისა და გამთლიანების დამაგვირგვინებელი იქნება“, - წერს ია ბაგრატიონ-მუხრანელი რედაქტორის სვეტში. ჟურნალის პრეზენტაცია ზურაბ წერეთლის საგამოფენო სივრცეში მოეწყო. იქ ერის სატკივარსა და ჭირ-ვარამზე უფრო მეტი ითქვა, ვიდრე დალხენასა და სიამტკბილობაზე. განსაკუთრებული გულისტკივილით რთულ დემოგრაფიულ ვითარებაზე ისაუბრა დავით თარხან-მოურავმა: „2050 წლისათვის ვარაუდობენ, რომ თითქმის მილიონით შემცირდება

ქართველობა. თუ ასე გაგრძელდა, ჩვენსავე ქვეყანაში უმცირესობაში აღმოვჩნდებით. ამ საკითხებზე დაფიქრება გვმართებს და რაღაც ზომების მიღება, რომ გადავრჩეთ, შევინარჩუნოთ მეობა, ზნეობა, დავიცვათ ის სინმინდები, რისთვისაც ჩვენი წინაპრები იბრძოდნენ“.

ჟურნალის სარედაქციო კოლეგიას წარმოადგენენ: მეუფე ანანია (ჯაფარიძე), ოთარ ჟორდანიანი, ვაჟა აბაკელია, ადა მარშანიანი, ნანა ანდრონიკაშვილი, პროტოპრესვიტერი გიორგი (ზვიადაძე), იური ჩიქოვანი, მანანა გაბაშვილი, ელენე ბარათაშვილი. მაღალი პოლიგრაფიული ხარისხის გამოცემაში ძალიან მნიშვნელოვან თემებზე არის ყურადღება გამახვილებული. აქ ნახავთ პატრიარქის სააღდგომო ეპისტოლეს, პრობლემურ თემებს ჩვენს კულტურაზე, ისტორიაზე, ღირებულებებზე, წინაპართა გმირობის ამბებს, სამეფო გვარის წარმომადგენელთა თავგადასავლებს, სახელოვანი თანამედროვე საზოგადო მოღვაწეების მიღწევებსა და წარმატებებს. როგორც პროფესორმა ოთარ ჟორდანიანმა აღნიშნა: „აღმანახს პრეტენზია აქვს, რომ ეროვნული ტრიბუნა გახდეს. მან უნდა დარაზმოს ჩვენი

დაქსაქსული საზოგადოება“.

საქართველოს ისტორიის 23 საუკუნე უკავშირდება მეფეს. საგულისხმოა, რომ თითქმის 10 საუკუნის განმავლობაში ბაგრატიონთა დინასტია მართავდა ქვეყანას. მათ საკუთარი ერთგულებით, ნიჭით, სიყვარულით ატარეს სამშობლო ოღროჩოღრო ბილიკებით და დღემდე მოიყვანეს.

„ეს არის ჩვენი სისხლიანი ისტორია“, - ამბობს ია ბაგრატიონ-მუხრანელი, - თავადაზნაურობა ერთან და სამღვდელოებასთან ერთად იბრძოდა ქვეყნის შესანარჩუნებლად, ამიტომ ამ წვლილის დავინყება შეუძლებელია. ჩვენც, მათი შთამომავლები, ვალდებულნი ვართ, ღირსეულად მოვეპყროთ ჩვენი წინაპრების ხსოვნას და ისტორია შევუქმნათ მომავალს“.

„მოდი, ვიყოთ პატრიოტები!“, - მოგვინოვებს ქალბატონი ია, რომელმაც ასეთი დევიზი შეურჩია აღმანახს: მამულიშვილის გვირგვინი სამშობლოს სამსხვერპლოზე ჰკიდია... მამ ასე, „სამეფო გვირგვინი“ კვლავ ერის სადარაჯოზეა!

**„საქართველოს რესპუბლიკა“,
№105, 10 ივნისი, 2015**



ახალგაზრდა თავად-აზნაურთა მეორე



ცეკვა - სილაგაზინა და სიყვარულის სიხვონია

მეჯლისი. სარკვებიანი ღარბაზი



მეჯლისის ლაურეატები, თავადიშვილები:
ირაკლი გაბრატინი, თეკლა ლორთქიფანიძე



თავად-აზნაურთა საკრებულოს სამი თამაზი





მომავალი მათია!





ქართული ცეკვა —





სილამაჯის ვოკაბა



იური მაჩიტოშვილის ფოტოგრაფია

აქციები, შესვენებები,



სტუმრად კოტა ჩოლოყაშვილთან, ნიკო თოფურიასთან (ნიუ-იორკი)



ტრადიციული სამგლოვიარო მიტინგი ვაკის პარკის მიღამოებში, სადაც 1923 წ. 20 მაისს უმოწყალოდ დახვრიტეს გენერალი კოტე აფხაზი და 15 მაგულიშვილი

ქონიერების ციხე...



თამარ გვერდნითელი სვდგა მღვდელ ზაქარია ინათაშვილს და ჯარისკაცებს წმ. იოთამ ზეღბინიძის სახელობის მხენებარე ტაძარში. 2015 წ.



თბილისი. საპროტესტო აქცია მთავრობის სახლის წინ. გაოლოგობის მეცნიერებათა დოქტორი ელენე აბაშიძე, მხატვარი გუდუ სირგილაძე

საქართველო, საქართველო!

საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბ-ნ ირაკლი ღარიბაშვილს!

მოგმართავთ დიდი გულისტკივილით და იმედით! შეგახსენებთ, რომ ყველა უძველესი გვარების შთამომავალი, მრავალი თაობის აზნაურნი, ასაკისა და პროფესიის მიუხედავად, ყოველთვის იდგნენ ერისა და ქვეყნის სადარაჯოზე, სისხლს ღვრიდნენ რწმენის, ეროვნული იდეის, საზღვრების, ტრადიციული ფასეულობების, ღირსების დასაცავად. 1801 წლიდან მრავალი პატრიოტის, მათ შორის გენერალ კოტე აფხაზის, თავად-აზნაურთა წინამძღოლის, და სხვა მრავალი მამულიშვილის სიცოცხლე სამშობლოს სამსხვერპლოზე დაიდო. ჩვენი წევრები ებრძოდნენ საქართველოს მტრებს 1921-22 წლებში დამოუკიდებლობის დასაცავად, აფხაზეთში, შიდა ქართლში, აჭარაში, ე. შევარდნაძისა და მ. სააკაშვილის ანტიეროვნულ რეჟიმებს.

31 ოქტომბერს საგარეჯოს რ-ნში შუალედური არჩევნების შემდეგ 4%-იანი სხვაობით ცენ-



ტრალურმა საარჩევნო კომისიამ მრავალი კანონდარღვევის (გაყალბებული ოქმები, მინისტრების ჩარევა, ადმინისტრაციული რესურსის, ჯარის გამოყენება, ღია მუქარა, ძალადობა, კანდიდატების მოტაცება) შედეგად გაამარჯვებინა „ქართული ოცნების“ კანდიდატს, რესპუბლიკელ თამარ ხიდაშელს, დააკანონეს სიყალბე, გათელეს ჭეშმარიტება. ეს მოხდა იმის მიუხედავად, რომ „პატრიოტთა ალიანსის“ კანდიდატმა, ცნობილმა ჟურნალისტმა, აფხაზეთის ომის ვეტერანმა ირმა ინაშვილმა საკუთარი პროგრამით, სულისკვეთებითა და შემართებით მიიღო საგარეჯო-ელეების დიდი აღიარება. ეს ე. წ. არჩევნები წარმოადგენდა მხოლოდ მმართველი კოალიციის ერთ-ერთი პარტიის - რესპუბლიკელების ნებას, საკუთარი „დინასტიური“ კანდიდატის გაყვანას ყველა აკრძალული ხერხის გამოყენებით. სამწუხაროდ, ჭეშმარიტების აღსადგენად არც სამართლებრივი ინსტიტუციები, არც მთავრობა, არც სახალხო დამცველი არაფერს აკეთებდნენ. დუმს პარლამენტი, დუმს მთავრობა, დუმს მრავალი არასამთავრობო ორგანიზაცია. საქართველოს კანცელარიასთან მე-9 დღეა შიმშილობენ ირმა ინაშვილი, ადა მარშანია, ემზარ კვიციანი, ლევან თედიაშვილი... 100-ზე მეტი პატრიოტი პროტესტის უკიდურეს ფორმას მიმართავს საქართველოს



10 ქალაქში. განუკითხაობას გადაუდგნენ ჟურნალისტები, საზოგადო მოღვაწეები საქართველოსა და უცხოეთში. მოშიმშილეებს უკრძალავენ კარვებში ყოფნას, მოაშორეს წვიმისაგან დასაცავი ტენტები, უარი უთხრეს ბიოტუალეტებზე... ეს არაადამიანური გამოვლინება ხდება სამთავრობო კანცელარიის წინ.

საშინელი ტერაქტის შემდეგ პარიზის გულში მსოფლიო გმობს ტერორს და ძალადობას. სამართლიან ბრძოლას თბილისის გულში ჭემმარიტების აღსადგენად ბრმა მთავრობა ვერ ხედავს, ვერ თანაუგრძნობს სიმართლეს და საქართველოს.

ბ-ნო პრემიერო! იცვლება მსოფლიო პოლიტიკური რუკა, დასძლიეთ იმპერიული ცენტრების დიქტატი! თუ არ გაიგონებთ ერის ხმას - მოიმკით ქარიშხალს!

საქართველოს
თავად-აზნაურთა
გამგეობა
16.10. 2015



ვიზიტი ბორჯი




ბასსენება



საქართველოს თავად-აზნაურთა საკრებულო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის თავად-აზნაურთა საკრებულოს წინამძღოლი, აფხაზეთის მთავართა შთამომავალი, ცნობილი ექიმი და საზოგადო მოღვაწე, კოტე აფხაზის მედალის ლაურეატი, თავადი **გიორგი გივის ძე შარვაშიძე**. ბატონ გიორგის არ დასცალდა მშობლიურ აფხაზეთში დაბრუნება.

ტრაგიკულად გარდაიცვალა დიდ მთავართა შთამომავალი, ახალგაზრდა მხატვარი, პედაგოგი, გულანთებული პატრიოტი, **ქეთევან ბაღრის ასული მხეიძე**.

ქეთევანი (ქეთი) სიყვარულის, ოპტიმიზმის, სიკეთის სიმბოლო იყო. მისი პალიტრა, ფუნჯი გაციხკროვნებული იყო სინათლით, სილამაზით, ემოციით. გაზაფხულის ყვავილში მთელ სამყაროს დაინახავდა, სამყაროს ცენტრში კი - ადამიანი, სამშობლო, შვილი. ქეთი დარჩა ჩვენს გულეში მარად ახალგაზრდა, ლამაზი, სიცოცხლით სავსე...



ქალბატონი **ვენერა ანდრონიკაშვილი** - რეჟისორი, მწერალი, პედაგოგი, მთელი სიცოცხლე თეატრით იყო მოჯადოებული, თეატრს უძღვნა სიცოცხლე, ნიჭი, შემოქმედება. თეატრი მისთვის იყო ტაძარიც, სამუშაო ადგილიც, ოჯახიც... ცნობილი მსახიობის და პედაგოგის - ბიჭიკო ანდრონიკაშვილის მეუღლე, ის ქალიშვილსაც - ნანას ზრდიდა თეატრის უანგარო მსახურად და მქადაგებლად. ქალბატონი ვენერა მშვენივრად ფლობდა კალამს, წერდა თეატრზე, უმნიშვნელოვანესი ნიგნი უძღვნა დიდ შემოქმედს და პედაგოგს - მიხეილ თუმანიშვილს. თავად-აზნაურთა საკრებულოს აქტიური წევრი - ქ-ნი ვენერა სიცოცხლის ბოლო წუთამდე ფიქრობდა თეატრზე, ოჯახზე, საქართველოზე...



ნიკო გაბრატიონის სახელობის სკოლა-ლიცეუმის აღსაზრდელები აკაკი წერეთლის საიუბილეო წელს ესტუმრნენ დიდი მგოსნის სასახლას სსვითორში. 20 ნოემბერი, 2015 წელი.





ნიკო ბაგრატიონის (ნიკო ჯუნიის) სასწავლო თავადაზნაუნთა სკოლა-ლიცეუმი

(დაარსებული კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის
ლოცვა-კურთხევითა და პატრონაჟით)

- ❖ ლიცეანტები წარჩინებით აბარებენ საატესტატო და ეროვნულ გამოცდებს;
- ❖ სკოლა-ლიცეუმს ჰყავს მოძღვარი; დამკვიდრდა სახარების, კატეხიზმოს, „ვეფხისტყაოსნის“ პროგრამები; ისწავლება ეტიკეტი, ქადრაკი, სამბო, კალიგრაფია, გალობა, ქართული ცეკვა;
- ❖ I-VI კლასებში წლიურ გადასახადში შედის კვება, გაკვეთილების მომზადება, მუშაობს გახანგრძლივებული ჯგუფი 9.00-18.00 სთ., დამატებით, სურვილისამებრ, ტრანსპორტი და ცურვა;
- ❖ მაღალი რანგის პროფესიონალები მოზარდებს შეასწავლიან საგნების ძირითად არსს, გაუღვივებენ ლტოლვას კითხვისადმი, გაუძლიერებენ ეროვნულ-ქრისტიანულ მრწამსს, გააცნობენ ქართული კულტურის, ისტორიის უნიკალურ მიღწევებს;
- ❖ 4-5 წლის აღსაზრდელთათვის გაიხსნა საბავშვო ბაღი სკოლისთვის მოსამზადებელი პროგრამით;
- ❖ დირექცია გაითვალისწინებს მრავალშვილიანთა, სოციალურად დაუცველთა და დევნილთა მდგომარეობას.

**წ. ბაგრატიონის №6 ტელეფონი: 2 38 46 72 ელფოსტა: nikobagratiioni@gmail.com
6 J. Bagrationi str. Tbilisi 0160 Georgia. Tel.: 2 38 46 72 Email: nikobagratiioni@gmail.com**



ISSN 2346-7886



9 772346 788003



საქართველოს თავაღ-აზნაურთა სპირიტუალური აზნაღაზრდული მუჯლისი სარკიეზიან დარბაზში. 2014 წელი, 7 აპრილი